# საერთო გაზეთი

№34 (395) • 14 სექტემბერი, 2016 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## ქუთაისში საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობა იწყება



ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქისა და თბილისში განლაგებული ტექნოლოგიური ცენტრის საერთო ბიუჯეტი, ამ ეტაპზე, 1 მილიარდ ევროს შეადგენს და მას სრულად აფინანსებს ფონდი „ქართუ“.



## ოთარ დანელია:

არ არსებობს ორი სწორი არჩევანი. სწორი არჩევანი მხოლოდ ერთია და ეს არის „ქართული ოცნება“!



## ელიზბარ ჯაველიძე:

დიახ, სამეგრელოს სრულიად საქართველო უნდა დაუდგეს გვერდით, რომ სამეგრელოში „ნაციონალების“ პარაპაში ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს!



## ლევან კობერიძე:

ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ერთადერთი გზა ბიზნესის ამოქმედებაა



## „პუსტა-პუსტა“ კაცი

## შემზარავი ფაქტები სანდრა რულოვსის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ

რა ბრალდებას უყენებს გარდაცვლილი პატიმრის ძმა სანდრა რულოვსს?



## რატომ არის სიმშვიდე იქ, სადაც „რესპუბლიკელები“ არიან?

# ბიძინა ივანიშვილის შეხვედრები რეგიონულ მედიასთან

## ს ა მ ე გ რ ე ლ ო



„კორცხელის ინციდენტის გამოძიება არ დასრულებულა, თუმცა ის ხელკეტები რომელ მანქანებში იდო უკვე კარგად ჩანდა — პროფესიონალები არიან პროვოკაციის დაგეგმვაში. „ქართულ ოცნებას“ მართებს მეტი სიფრთხილე. მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ — კამერები უნდა იყოს ძალიან ბევრი, ისევე, როგორც იყო 2012 წლის არჩევნებში და ჩვენ კამერებით მოვახერხეთ იმ ძალადობის შეჩერება, რაც სახელმწიფო სტრუქტურებიდან მოდიოდა, პოლიციიდან მოდიოდა და პოლიცია იყო, ვთქვათ, ძირითადი ინსტრუმენტი „ნაციონალების“ ხელში ძალადობისთვის საკუთარ ხალხზე. ასეთი დღეს არაა, პროვოკაციებიც ნაკლები იქნება — ჩემი აზრით, თუმცა მცდელობები იქნება ბევრი. ფხიზლად უნდა ვიყოთ, ფხიზლად უნდა იყოს თითოეული ამომრჩეველი რომ სწორად დავაფიქსიროთ, საიდან მოდიოდა და როგორ მოდიოდა“.

* * *

„ბოტანიკური ბაღით ჩემი ინტერესი ყოველთვის დიდია, მაგრამ ღმერთმა დამიფაროს ის, რაც გავრცელდა ჭორები, თითქოს ხეების გადარგვა მინდოდა ბოტანიკურიდან ან ამის მსგავსი. ეს ჭორები აბსოლუტურად უსაფუძვლოა. ვინც მე მიცნობს — იცის, უკვე 20-25 წელიწადზე მეტია რომ ბოტანიკურ ბაღებს მე ვეხმარები აქტიურად — თბილისის და ბათუმისას. სხვათაშორის, როდესაც ვიყავი ზუგდიდში, დირექციას შევთავაზე დახმარება. თავიდან სკეპტიკურად მიყურებდნენ, ასევე იყო დადიანების სასახლეზეც — მითხრეს საიდან მოდიოდა დაფინანსება და ჩემი დახმარება არ იყო საჭირო. უფრო გვიან მაინც დაგვიკავშირდნენ. მე როგორც ვიცი, ბოტანიკურ ბაღში „ქართუ ჯგუფი“ „ქართუ ფონდი“ განახორციელებს პროექტს და გარკვეულ ინვესტიციებს.

რაც შეეხება განმუხურს — მე მიმაჩნია ძალიან სამაგალითოდ ის, რომ განმუხურში შეიძლება ძალიან მაღალი კლასის სასტუმრო აშენდეს, რასაც მე ვაპირებ თანაინვესტირების ფონდთან ერთად — ჩემთან კავშირშია ეს ყველაფერი. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოახერხა აქაც მივარდნა და ზღვას გვიკეტავენ. როგორ უნდა გადაგვიკეტონ ზღვა, ვერ წარმომიმიდგენია — ან ზღვაზე მისასვლელს დაგვიკეტავენ... ახლა ამბობენ, რომ ბულვარს ვითვისებთ. პირიქით, ბულვარი გაფართოვდება და უფრო საინტერესო იქნება.

განმუხურში ე.წ საზღვართან, პირდაპირ მიჯრილზე რომ აშენდება მაღალი კლასის სასტუმრო, თუ ამას ვინმე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, რომ ეს პოზიტივის გარდა სხვა რამეს შეიცავს, ეს ძალიან პრობლემაა თითოეული იმ მოქალაქისთვის, ვინც ასე ფიქრობს.

დამატებით გეტყვით — ვისაც არ მოსწონს იქ სასტუმროს მშენებლობა, კიდევ უფრო გავაწბილებ. იქ იგეგმება დენდროლოგიური პარკის მშენებლობა, რასაც ისევ „ქართუ ფონდი“ დააფინანსებს. ანაკლია, მოგეხსენებათ, ულამაზესი ადგილია, უნიკალური ბუნება და უნიკალარი კლიმატია, მაგრამ თუ ნახავთ, ხეების სიმრავლით არ გამოირჩევა, ძალიან დაბალი ბუჩქოვანი ტყე არის შემორჩენილი. მე მქონდა აზრი და დღესაც მაქვს, რომ კარგი იქნება, თუ ბოტანიკური ბაღი გაკეთდება, დაახლოებით 100 ჰექტარზე.“

„მე არ მგონია, რომ ხეებისადმი მაქვს განსაკუთრებული დამოკიდებულება ან ბუნებისადმი. ხეში, ჰგონიათ, ნახავენ რაღაც ისეთს, რომ ცუდი აღმოაჩინონ ჩემში, მაგრამ ვინც ჩემს მოღვაწეობას იცნობს საქართველოში, იცის, მე დავიწყე კულტურული ძეგლების აღდგენით. საკუთარ თავზე და საკუთარ გაკეთებულზე არ ვსაუბრობ, მაგრამ როდესაც ხესთან აკავშირებენ და თქვენც ასე გგონიათ, რომ განსაკუთრებულად ხეები მიყვარს — განსაკუთრებულად ადამიანები მიყვარს. ყველაფერი თანმიმდევრულად და სწორად მაქვს მე მგონი დალაგებული — იმიტომ რომ ნორმალური ადამიანი ვარ. ჩემი ქვეყანა მიყვარს და ხეებსაც მივწვდი და ბუნებასაც მიწვდა ჩემი სიყვარული. მე ძალიან მიყვარს ჩვენი ისტორია, ჩვენი კულტურა და ძალიან ვცდილობ როგორმე დავეხმარო. 500-ზე მეტი ძეგლი აღვადგინეთ და არავინ არ იცის, ამაზე არავინ არ საუბრობს. სწორედ რომ ხე გაახსენდათ და ხეზე უნდათ გადაიტანონ, რომ თითქოს ივანიშვილს მეტი საზრუნავი არ აქვს და მხოლოდ ხეებით არის დატვირთული. მათ რიცხვში ესეც კარგია, ჩემი აზრით, თავისუფალ დროს...“

* * *

„ძალიან ოცნებობენ, მაგრამ რასაც ეძახიან წასვლას, ისეთი წასვლა არ შედგება. პოლიტიკიდან მე წავედი და წავედი გახსნილად, გამოვაცხადე და დღესაც შემიძლია გავიმეორო თუ რამე კითხვები დარჩა.

**მე ვარ მოქალაქე, ჩვენი ქვეყნის მოქალაქე და არ ვაპირებ ქვეყნიდან წასვლას — ამასთან აიგივებენ ჩემს წასვლას. ამის დიდი სურვილი აქვთ ოპონენტებს, რომ ეგებ როგორმე წავიდე ქვეყნიდან და დავაცადო, ის ძველი ტაშ-ფანდური როგორმე დააბრუნონ და ამასაც ძალიან ხშირად აღვივებენ.**

პოლიტიკიდან მე წავედი და ჩემი აზრით, წავედი ძალიან ღირსეულად მიუხედავად იმ კითხვებისა, რომლებსაც ბევრი პოლიტიკოსი აბსოლუტურად უსაფუძვლოდ სვამს. და ისე ღირსეულად წავედი, რომ შეიძლება, მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში ვერ ნახოთ. მე ვაჩვენე, რომ არ მქონდა პოლიტიკაში ყოფნის სურვილი, მაგრამ დასჭირდა ჩემს ქვეყანას და მოვედი, თავი გადავდე, გავწირე. გადავალაგეე, გავუშვი ის მოძალადე ხელისუფლება, გავყევი და წავედი პოლიტიკიდან.“

„დავიწყებდი „რესპუბლიკური პარტიით“. „რესპუბლიკურ პარტიას“ ბევრი საქებარი სიტყვა შეხვდა ჩემგან და გადავედი კრიტიკაზე, რასაც აქაც გავაგრძელებდი, რატომ ვთქვი და რატომ მოვიხსენიე, რომ ეს პარტია ახერხებს მხოლოდ საკუთარი პარტიის მოფერებას და სახელმწიფო იწყება იქ სადაც იწყება მათი პარტია და მთავრდება იქ, სადაც მთავრდება მათი პარტია. იმ დღეს ამის დასაბუთება ვერ მოვასწარი და დღეს შევეცდები რაც შეიძლება მოკლედ ავხსნა რომ ბევრი დრო არ წაგართვათ.

ძალიან დიდი იმედი მქონდა, რომ საკუთარ გამოცდილებას, რაც მართლა აქვთ მათ, იურიდიულ განათლებას და სხვა პოზიტივს შეიტანდნენ კოალიციაში და კოალაციასაც ამ გზით განავითარებდნენ. საუბედუროდ, მოხდა საპირისპირო, ვერ მოახერხეს ამ თვისებების დანერგვა. უფრო მეტიც, ისინი იყვნენ ცუდი პარტნიორები მთელი 4 წლის განმავლობაში. ძალიან ბევრ თემებში, რაც იყო პრინციპული, ბევრი პროექტი პარლამენტში თუ პარლამენტსგარეთ, ისინი, როგორც წესი, ოპოზიციის როლში გვევლინებოდნენ. გავიხსენებ ერთ-ერთს — როდესაც უსაფრთხოების სამსახური გამოეყო პოლიციას. ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი რაც განახორციელა ახალმა ხელისუფლებამ. რა თქმა უნდა, ვერც ერთი პროექტი ვერ იქნება იდეალური, რადგან ყველა პროექტი საჭიროებს დახვეწას და შემდგომ განვითარებას. აქ ვნახეთ, რომ ხმალაძე, რომელიც არის ძალიან კარგი იურისტი; უსუფაშვილი, რომელიც არის კარგი იურისტი, ჰყავს იურისტები, განათლებულია... მაგრამ რა, რა დავინახეთ ჩვენ — მათი ცოდნა საქმის საწინაალმდეგ მოხმარდა და არა სასარგებლოდ. ადრეც ვთქვი, იმდენად გაერთვნენ ხმალაძე და უსუფაშვილი, ეს მცოდნე იურისტები, რომ დღეში 2-2 კანონს იგონებდნენ, რაც არც ევროპას დასიზმრებია და არც ამერიკას. დამოკიდებულება ყველგან ჩანდა ერთი და იგივე, რაც ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობას“, რომ როგორმე დაესუსტებინათ პოლიცია და დაესუსტებინათ უსაფრთხოების სამსახური. ასეთი შთაბეჭდილება დატოვა მათმა ცოდნამ და მათმა განათლებამ იურისპრუდენციის საკითხებში, რომ ისინი რეალურად „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გაერთიანებული მხარს არ უჭერდნენ. იკვეთებოდა დიდი ეჭვი, რომ რა სურვილი ჰქონდა დასაწყისიდანვე „ნაციონალურ მოძრაობას“, დაესუსტებინა პოლიცია და საერთოდ, სახელმწიფო სტრუქტურები, აქ მათი როლი თანხვედრაში მოვიდა. მცოდნე იურისტებს ავიწყდებოდათ მთავარი, რომ უსაფრთხოების სამსახური არის ერთ-ერთი მთავარი სამსახური ქვეყნის უსაფრთხოებისთვის.

ის, რომ ყოველმხრივ ცდილობდნენ, ოღონდ რამე მოეფიქრებინათ ისეთი, რომ მოსმენები არ შეძლებოდათ ჩვეულებრივი მოქალაქების, რა თქმა უნდა, ამ დროს ავიწყდებოდათ რომ მათ ძირითად ფუნქციას დიდი ხიფათი უჩნდებოდა მათი გამოგონებული ახალი მეთოდებით. მათი ცოდნა არ წაადგა არც პოზიციას და არც სახელმწიფოს — სხვა საკითხებიც შემიძლია დავასახელო, ყოველთვის (ძალიან ხშირად), უარყოფითად წარმოჩინდებოდნენ.

მათ ობიექტურობასაც მინდა გავუსვა ხაზი, რამდენად ობიექტურები არიან ხოლმე — როდესაც მარგველაშვილი გამოვიდა ოფისიდან და შევიდა სააკაშვილის სასახლეში, უსუფაშვილთან მქონდა საუბარი და არგუმენტი არ დარჩა. გამოვიდა ტელევიზიით და „გააპრავა“ — ის ეძებდა რესურსს მარგველაშვილის სახით. როგორი რესურსი მიიღო, კი, ვნახეთ პრინციპში... მარგველაშვილს თავადაც ვერ გაურკვევია რა უნდა და ამათაც ვერაფრით დაეხმარა, უფრო გვიან ამათ მოუტრიალდა...

ყველაზე დიდი შეცდომა და უნიჭობა რაც გამოავლინეს მათ

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



ამ ბოლოს, გახლავთ ის, რომ დღეს, რაც ხელისუფლებამ უამრავი პოზიტივი მოიტანა, ნაცვლად იმისა, რომ მიიწერონ და თვითონაც იამაყონ, გადმოხტნენ და თითქოს საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა არაფერში, მკვეთრ კრიტიკაზე გადაერთნენ."

* * *

„უსუფაშვილს შევთავაზე, იქნებ დამოუკიდებელ დეპუტატად გამოხვიდე და ის რესურსი, რაც შენ გაგაჩნია, იქნებ პოზიტივში მოახმარო სახელმწიფოს განვითარებას, „რესპუბლიკურ პარტიაზე" გადაგებული და ამ მცირე რესურსით, ძალიან ხშირად დესტრუქციული იყავით-მეთქი კოალიციაში მყოფნი. სხვათაშორის, კიდევ კარგი, რომ არ გამოვიდა — ბოლო გამოსვლებითა და გამონათქვამებით საბოლოოდ დამარწმუნა რომ ის არის „რესპუბლიკური პარტიის" წევრი და იქ დარჩა".

* * *

„მე მგონია, გადააცდომაა რომ მე ვპირდებოდი დევნილებს 100 ათას ბინას — მაშინ, მაჩვენეთ ეს გამონათქვამი სად იყო. თუმცა, დიდი სურვილი იმისა, რომ დევნილები რაც შეიძლება სწრაფად დაკმაყოფილდნენ, გამაჩნდა და გამაჩნია დღესაც.

სიტუაცია სამეგრელოში არის მართლაც მძიმე. ახალი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს — ოთხ წელიწადში საუბედუროდ მეტი ვერ მოხერხდა. მოგეხსენებათ, 1 000-ზე მეტმა დევნილმა მიიღო ბინა, 400-ს სახლების გამოსყიდვაში დაეხმარნენ, 4 000-ს დაუსაკუთრეს და რაც მთავარია, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ის დამატებითი შეურაცხყოფა, ნილბიანი ხალხი რომ ყრიდნენ ქუჩაში, აღარ ხდება. როგორც ვიცი, შენდება 26 კორპუსი, რაც ძირითადად გადატეხავს იმ პრობლემის სიმწვავეს, რაც დღეს დგას. ბიუჯეტში, ჩვენ რომ მოვედით დაფინანსება 24 მლნ ჰქონდათ, დღეს 85 მლნ-ია და იზრდება. იმასაც შეგახსენებთ, რომ როდესაც ეს გაუაზრებელი ომი მოახვიეს ხალხს 2008 წელს, ჩვენმა მეგობრებმა საზღვარგარეთიდან 4,5 მლრდ გამოუყვეს ხალხს და მეხუთედი მაინც რომ მიემართათ დევნილებისთვის, ეს პრობლემა საერთოდ აღარ იქნებოდა. დონორებთან მიმდინარეობს მოლაპარაკება და დიდი ალბათობაა რომ დადებითად გადაწყდეს — ზუგდიდში, ფოთში, ქუთაისში და წყალტუბოში შეიძლება აშენდეს 3-სართულიანი სახლები მზის სისტემაზე, თან დასაქმდებიან. ასევე, მარნეულსა და კრწანისში ოღონდ სხვა ტიპის პროექტი, რომ კოტეჯებთან ერთად, ვთქვათ, ფერმერული მეურნეობა ჩამოყალიბდეს და ადგილზე შეეძლოთ ბიზნესის კეთება."

* * *

„ძალიან ბევრია და არა მხოლოდ სამეგრელოში — მთელი საქართველოს მასშტაბით, გულანთებული ხალხი, ვინც მხარში გვედგა და მხარს გვიჭერდა (ის არ იყო არჩევნები, ის იყო ომი), ძალიან ბევრი ადამიანი დარჩა თანამდებობის მიღმა და ვერ მოხერხდა დასაქმება და შესატყვისი ადგილების გამოყოფა. აქ პრობლემა არის სუბიექტური, როდესაც გარკვეული ჩინოვნიკი არასწორ შერჩევას აკეთებს და ერთ ადგილზე დაახლოებით 10 კაცი მოდის. საქართველოს ძირითადი პრობლემა რაც გახლავთ, დასაქმების პრობლემაა, უმუშევრობის პრობლემა. მოხდა ეს გარღვევა — შეუძლებელი იყო. მე მესმის ძალიან გულისტკივილი ჩვენი თანამოაზრეების, ვიზიარებ მათ გულისტკივილს, მაგრამ დასაქმების პრობლემა დღესაც რჩება."

* * *

**„ზვიადის დროს უამრავი პოზიტივი მოხდა საქართველოში — ყველაზე დიდი აღზევება და გაერთიანება საქართველოსი. ის დიდი პატრიოტიზმი, ის დიდი სულისკვეთება რაც უნდა იყოს ხალხში და არსებობს დღესაც, ზვიადის დროს მივაღწიეთ პიკს, მაქსიმუმს, ჩვენი სამშობლოს სიყვარულის გამოვლინებას. ჩემთვის გულანთებული პატრიოტი იყო ზვიადი და რჩება დღესაც!**



ახალმა ხელისუფლებამ მოახერხა სწორედ რომ საქმე გადაეტანა მის განზრახ მკვლელობაზე და გამოძიება ამ მიმართულებით გრძელდება, რაზეც დიდი ეჭვი გამაჩნია რომ ის მოკლეს.

ზოგადად თუ რამე მმართველობაზე ვთქვი და ამ კონტექსტში ვახსენე დაწყებული ზვიად გამსახურდიათი და დამთავრებული სააკაშვილით, რომ გამოუცდელი ხელისუფლება იყო — ამაში სირცხვილი არაფერი არ არის, ჩვენ ჩვენი ქვეყანა არ გვიმართავს რამდენი ხანია. ახლა ეს 20-25 წელიწადი წრეზე დავდივართ. სწორედ ზვიად გამსახურდიამ დაიწყო და ყველაზე მეტი გამოუცდელობაც იმ დროს ახლდა და ალბათ, ეს მქონდა მხედველობაში, დიდი აღზევება და სამოქალაქო ომიც მივიღეთ საუბედუროდ...

**ძალიან დიდი პატივისმცემელი ვარ ზვიად გამსახურდიასი და უარყოფით კონტექსტში არასდროს მოვიხსენიებ**. ამ კონტექსტში მოვიხსენიებ ზოგადად, 25 წელიწადს. ყველაზე დიდი გამოუცდელობა სწორედ იმ გუნდს გააჩნდა, პირველი მოვიდა. შემდგომ სხვებმა მათზე ისწავლეს და დღეს, ამაზე გავაკეთე აქცენტი, გამახსენდა, როგორც იქნა მივიღეთ ხელისუფლება, რომელსაც გამოცდილებაც აქვს უკვე და მასში გამსახურდიასდროინდელი გამოცდილებაც მონაწილეობს, რა თქმა უნდა, ისინი პირველი მერცხლები იყვნენ."

* * *

„არც ერთი მაჟორიტარი ჩემი დასახელებული არაა, ერთ-ორ კაცზე, შეიძლება, მივეცი რეკომენდაცია. დღევანდელ გუნდს აკომპლექტებს კვირიკაშვილი, კალაძე, კობახიძე და ა. შ „ქართული ოცნება". მთავარი რაც არის, მარგველაშვილს მე ვთვლი ყველაზე დიდ შეცდომად, მაგრამ ბოდიშიც მოვუხადე საზოგადოებას — არ მინახავს ჯერ ამ ასაკის კაცი დიამეტრალურად იცვლიდეს ხასიათს; ღარიბაშვილი იყო ძალიან კარგი შერჩეული. სტანდარტებს უნდა დაემორჩილოს კაცი, ხალხს უნდა ემსახუროს და იყოს გამჭვირვალე, საკუთარ გუნდსა და ნათესავებზე ვერ აგებს პასუხს. გაჩნდა კითხვები ღარიბაშვილზე? — ამ კაცმა რეაქცია გააკეთა და ნაცვლად დაცვისა, ღირსეულად წავიდა სამსახურიდან; ნარმანია არის ძალიან მეთოდური, განათლებული, კარგი მენეჯერი. შეადარეთ, როგორ იმართებოდა წინა თბილისი, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობამ" ახლაც მოახერხა თემის აგორება და ნახეთ, როგორი ხალხი, რა გვარია ის ქალბატონი – ფერაძე — ეს არის სახე „ნაციონალური მოძრაობისა". არც ნარმანიაა უნაკლო, საზოგადოებასთან კომუნიკაცია უჭირს, მაგრამ ზოგადად, სტანდარტებს იცავს".

* * *

„მესიჯებია ის ის, რომ ყველანი მოდით არჩევებზე, ნუ მიანდობთ თქვენს ბედს სხვას!"

* * *

„არც ერთ შემთხვევაში არ აქვს ალტერნატივა საქართველოს და ტყუილად ნუ აქვთ ჩემზე ეჭვი — ჩვენ ევროპელები ვართ. რუსეთმა, მე მგონი, ჯერ თვითონ უნდა გამოკვეთოს რა აქვს სურვილი. რუსეთი ძალიან დიდი სახელმწიფოა და მე არ მინდა დადებით ან უარყოფით კონტექსტში რაიმე მინიშნება გავაკეთო — იმიტომ, რომ ჩვენ ურთიერთობები უნდა დავალაგოთ, ჩვენი ძმები დავიბრუნოთ და ასე შემდგომ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ რომ რაც შეიძლება სწრაფად ევროკავშირის წევრები უნდა გავხდეთ. ჩვენ უნდა დავაფუძნოთ ევროპული ღირებულებები, ძირითადი ესაა, რომ ევროპელებს მოუნდეთ ჩვენთან თანაცხოვრება."

* * *

„გაზეთის დაფინანსება უამრავ კითხვებს იწვევს — რომ აფინანსებს ე.ი მასზე გავლენას ახდენას; ქველმოქმედებაც არ შეიძლება, მაგ მხრივ – ძალიან ბევრი კითხვები ჩნდება.

რაც შეეხება კოჰაბიტაციას და სამართლიანობის აღდგენას — გამოძიებები გრძელდება. უამრავი იყო ეს თემა და გამოძიებას იმიტომაც გაეწელა. ზოგადად, კოჰაბიტაცია და მასთან დაკავშირებით რა კრიტიკაც ისმოდა, მე არ ვეთანხმები ამ კრიტიკას. ჩვენ ერთი სამშობლო გვაქვს ოპოზიციასაც და პოზიციასაც, მთავარია, რომ ძალადობაზე უარი თქვან, შეიცვალონ პოზიცია, მოემსახურონ საკუთარ ხალხს, უყვარდეთ საკუთარი სამშობლო — დამნაშავე იქნება თუ კრიმინალი, ჩვენი მოსავლელია ყველა.

მე იმედი მაქვს, რომ ამ არჩევნების შემდეგ, ეს დიდი აგრესია, რაც ძალიან მაწუხებს და აწუხებს მთელ საქართველოს, ჩაცხრება.

ის რაც მივიღეთ შთამომავლობით, ასეთი ანტაგონიზმი — რა გვჭირს ჩვენ! ყოველ წუთში აუტანლობას ვხედავ პარტიებს შორის, მზად არიან ლამის ერთმანეთი გაგლიჯონ და ერთმანეთი შეჭამონ."

* * *

„ვერ დაგიმალავთ და ვერ ვნახე გულწრფელი მონანიება. მონანიება მაშინ იქნება, როდესაც აღიარებენ თავიანთ დანაშაულებებს. მე არ მომისმენია არავისგან, მათ შორის ქალბატონისგან რომ აღიარებენ — **ისინი ზოგადად ამბობენ. ზოგადად განაცხადა ქალბატონმა, რომ ჩახედა თვალებში საკუთარ მეუღლეს და ამოიკითხა, რომ ძველ შეცდომებს აღარ გაიმეორებდა. რომელ შეცდომებზეა საუბარი? გადაცდომაა? გადაცდომებზეა საუბარი როცა ახალგაზრდა ბიჭები ჩახოცეს? რომ აწამებდნენ პატიმარს? რომ უდანაშაულო ხალხს იჭერდნენ? — დააკონკრეტონ! ჯერ უნდა აღიარო დანაშაული, ბოდიში მოიხადო და მერე უნდა თქვა, აღარ გავაკეთებ მეტსო** – ჯერ მე არ მომისმენია მათგან აღიარება. როცა ჯერ ისევ პოლიტპატიმრებად აცხადებენ ახალაიას და მერაბიშვილს, ესენი მოინანიებენ? როცა მე „ნაციონალური მოძრაობის" წევრები დამხვდნენ გურიაში და შემომაძახეს, ჩამომითვალეს „პოლიტპატიმრები" სასწრაფოდ, ახალაია, მერაბიშვილი და ასე შემდგომ. გამოვიდეს ქალბატონი სანდრა და განაცხადოს, არიან ესენი პოლიტპატიმრები თუ აცხადებს რომ დანაშაული ჩაიდინეს ქვეყნის წინაშე — გამოვიდეს და გარკვევით თქვას ეს!

ამ დროს, მის პირველ განცხადებებს თუ ვნახავთ, ლამის იდეოლოგიაში ჩასვეს, რომ მიშა ისეთი კაცია, ხალხს უნდა ეშინოდეს მისი — შიშზე უნდა იყოს აგებული მართვა? ხალხს კი არ უნდა ეშინოდეს ხელისუფლების, ხელისუფლებას უნდა ეშინოდეს ხალხის!"

## ელიზბარ ჯაველიძე:

# დიახ, სრულიად საქართველო სამეგრელოს უნდა დაუდგეს გვერდით, რომ სამეგრელოში „ნაციონალების“ პარპაში ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს!

გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:

**— ბატონო ელიზბარ, წინასაარჩევნოდ სამეგრელოში სიტუაცია საკმაოდ გამწვავდა. „ნაციონალებმა“ ეს კუთხე ასევე, აჭარაც მიზანში ამოიღეს, რაც ალბათ, შემთხვევითი არაა.**

— საქმე ისაა, რომ როდესაც რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა, ჩვენი ქართული ძირი ყოველთვის სამეგრელო იყო და ყველაფერი აქ წყდებოდა. ეს შესანიშნავად იცის რუსეთმაც და დასავლეთმაც. როცა ზვიად გამსახურდია თავისი ძალებით იბრძოდა, მაშინ ერთი წელი მეც იქ გახლდით, მსგავსი პატივისცემა, როგორსაც მეგრელები გამოხატავდნენ ჩემს მიმართ, არსად მსმენია, ბინაც დაგვიტოვეს და ყოველდღე საკვებით გვამარაგებდნენ. მაშინ მთელი ქართული სულიერება, განწყობა აქ იქმნებოდა. მაგრამ მერე, სხვადასხვა ძალები ჩაერთნენ და ზვიადს უთხრეს: საქართველო ორად გაყავი, დასავლეთში თავად იყავი და აღმოსავლეთში შევარდნაძე იქნებაო. მათთვის მთავარი ის იყო, რომ საქართველო ორად გაყოფილიყო. ეს მიზანი რომ საქართველო გაიმიჯნოს, გაიყოს დღემდე არ ამოუგდია თავიდან არც დასავლეთს და არც რუსეთს. ახლა, სწორედ ამის განხორციელების მცდელობაა. სულ ვამბობ და ყოველთვის ვიტყვი, რომ ქართული ენის ერთ-ერთი ძირი ლაზური, მეგრული და სვანურია. ხომ გახსოვთ რას ამბობს ამაზე გრიგოლ ხანძთელი. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზებსაც არასოდეს მოსვლიათ აზრად, განმდგარიყვნენ. სხვათა შორის, ძველი წყაროებით, აფხაზი და ქართველი მონათესავე ტომები ერთად ცხოვრობდნენ, ერთი კულტურა, სულიერება, რწმენა გვქონდა. აფხაზი თავადი საქართველოს თავადი იყო. მერე, რუსულ ენციკლოპედიებში გაჩნდა მოსაზრება, რომ აფხაზი სხვა ხალხია, ქართველი სხვა, სვანები სხვა, მეგრელები სხვა, რაც დღემდე გრძელდება. სამწუხაროდ ახლა, იქამდეც მივედით, რომ ეს ჩვენი „დედოფალი“ — სააკაშვილის მეუღლე სამეგრელოში მაჟორიტარად იყრის კენჭს, დადის და მეგრულ სიმღერებს მღერის. ეს დიდი უბედურებაა. იქ, სააკაშვილს თავიდანვე ჰქონდა ბუდე, ახალაიებიც ზურგს უმაგრებდნენ. სამეგრელო იყო ძირითადი ცენტრი, სადაც ადამიანების წამება ხდებოდა. ვისაც უნახავს ის კადრები, კოჭლი კაცი როგორ აუპატიურებს მეუღლისა და ყმაწვილი ბიჭის წინაშე მამას, გულგრილი ვერ დარჩებოდა. ეს სურათები ისევ სკივრებშია დამალული. ამას იმიტომ იღებდნენ, რომ ხალხი დაეშინებინათ. ამით თავის პოლიტიკას ატარებდნენ. სამეგრელო თავის დროზე რამდენიმეჯერ ააოხრეს მხედრიონელებმა. კადრები მაქვს ნანახი, როდესაც ბოდიში თქვენთან და გარდაცვლილ მეგრელს კაცს ასოს ჭრიდნენ და პირში უდებდნენ. აი, ასეთ დონემდე იყო საქმე მისული. მაგრამ მერე, მეგრელებმა ვეღარ მოითმინეს, აიწყვიტეს და დედა უტირეს — მხედრიონი გამოდევნეს და სამეგრელო ერთგვარი თავისუფლების კუნძული გახდა. ერთი ახლობელი სულ მეუბნებოდა დაგიჭერენ, დაგიჭერენო. მეც ავდექი და სამეგრელოში წავედი, ერთი წელი ვცხოვრობდი. ეს იყო მართლა თავისუფლების კუნძული, რაც შევარდნაძემ ვერ მოინელა, მისი პოლიტიკა სხვანაირი იყო. განსაკუთრებით, იმას გვაბრალებენ, თითქოს ზვიად გამსახურდიას ძალები აფხაზ სეპარატისტებს და რუსეთის ძალებს არ ებრძოდნენ და პირიქით, მხარს უჭერდნენ. პირველი რაც ზვიად გამსახურდიამ თქვა როცა ჩამოვიდა და უამრავი ხალხი შეიკრიბა, ეს იყო შემდეგი — ჩვენ, თბილისთან საბრძოლველი არ გვაქვს, ჩვენ საქართველოს საზღვრები, მისი მთლიანობა უნდა დავიცვათ და მთელი ძალები სოხუმისაკენ მივმართოთო. ეს ლიტონი სიტყვები არ იყო. ლოთი ქობალია და სხვა ძალები გალში წავიდნენ. კიტოვანმა რომ გაიგო ზვიად გამსახურდია მოდისო, ფანჯრიდან გადახტა. მან თქვა: ახლა, ერთად უნდა დავდგეთ და ჩვენი ტერიტორია გალიც, ოჩამჩირეც დავიცვათო. მერე, ბრძანება მოვიდა, ალბათ, შევარდნაძისგან — ტერიტორია მოაშიშვლეთ და წამოდითო. ამის შემდეგ, სამეგრელოს გზები თითქოს გადაიღობა. მეგრელები იხვეწებოდნენ ჩვენთან მოდით. ამ შუღლის გაღვივებით უნდოდათ ზვიად გამსახურდიასადმი ზიზღი გამოეწვიათ, მაგრამ აფხაზებმა იცოდნენ, რომ ეს სისულელე იყო. მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ ლტოლვილებს დახმარება გაუწია. ისე, მათ პურსაც არავინ აძლევდა.



**— დღეს შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე რას იტყვით?**

— ერთი რამ მინდა ვთქვა, მარგველაშვილის პრეზიდენტად არჩევა დიდი შეცდომა იყო. მისი ფესვები იმ ჭაობშია საიდანაც „თავისუფლების ინსტიტუტი“ ამოიზარდა. კაცი, რომელიც ამბობს ქართველი ერი ავადმყოფია, ნიჩურტა მე ქართველი ვარო, რაღაზე უნდა ილაპარაკო. ივანიშვილი გვიან მიხვდა და თქვა: ასეთი რამ არ მინახავს, კაცი ორ დღეში გადაკეტდესო. ივანიშვილს ადამიანებისადმი ნდობა თავისი პატიოსნებით მოსდის, თვითონ ალალი კაცია. ზოგადად, საქართველოში ისეა გათახსირებული კაცი, რომ ერთს ამბობს, მეორეს ფიქრობს და მესამეს აკეთებს. აი, როგორ მოიქცა მარგველაშვილი. ჩემი აზრით, ღარიბაშვილი იყო ხელისუფლებაში ერთადერთი კაცი, რომელიც ქართველი ერის ინტერესებს იცავდა. ის ამბობდა: „ნაციონალებთან“ ურთიერთობა არ შეიძლება, არასამთავრობოები ქვეყნის მტრები არიანო. მაგრამ იგი არ გაახარეს — ასო-ებმა, „რესპუბლიკელმა“ ცოლ-ქმარმა და მისთანებმა ამერიკაში დაიწყეს სირბილი. ესენი ამერიკის აგენტები არიან. მთელი უბედურება ისაა, რომ ეს შემთხვევითი არაა. ხდება საზოგადოების ტვინის გამორეცხვა. მსოფლიოში, დაახლოებით, სამოცამდე ინსტიტუტია, მხოლოდ ერთ მათგანს გაცილებით მეტი ბიუჯეტი აქვს, ვიდრე მთლიანად საქართველოს. აქ, ადამიანი ტელევიზორს უყურებს და ჰგონია, რომ რასაც უსმენს მისი აზრია. პირველ რიგში, „რუსთავი-2“ ტვინს ურეცხავს ხალხს. ტელევიზიების დიდი ნაწილი ანტიეროვნულ, ანტიქართულ პოზიციებზეა. დღეს ჟურნალისტიკაში ისეთი უვიცი დონე არსებობს, მსგავსი არ მინახავს. ახლა, ტელე-ეკრანზე იმის მიხედვით სვამენ ჟურნალისტს, ვისაც უფრო მოკლე კაბა აცვია, ეს საზოგადოებაზეც აისახება.

**— ბატონო ელიზბარ, ისევ სამეგრელოს დავუბრუნდეთ, რომლის მნიშვნელობა ოდითგანვე დიდი იყო. ეს რეგიონი ქართული სახელმწიფოს თანაავტორია. პრობლემები რაც ამ რეგიონშია, ზოგადქართულია. ამ კუთხეს, ქართველი ერი გვერდით არ უნდა დაუდგეს?**

— დიახ, სამეგრელომ ბევრჯერ განიცადა ტკივილი, სააკაშვილის დროს იქ ხალხს ხოცავდნენ და აუპატიურებდნენ. მაგრამ სამეგრელომ იმ ბრძოლის სამაგიერო, რაც გასწია, ვერ მიიღო. მთელი სამეგრელო „ქართულ ოცნებას“ უჭერდა მხარს, მაგრამ ბევრმა ეს არ დააფასა და ვერ გაითავისა. იცით, რას ვაკვირდები, შუა ფენა გნებავთ სამინისტროებში, გნებავთ განათლებაში, უნივერსიტეტებში სულ „ნაცები“ არიან. დემოკრატია არჩევითობაა. როდესაც შენ ირჩევ, სამართალი უნდა დაამყარო. ვერავინ მაიძულებს ხელი ჩამოვართვა იმ ნაძირლებს, რომლებიც ხალხს აუპატიურებდნენ, ხოცავდნენ. დღეს,





დაიწყეს ლაპარაკი, ივანიშვილს ხეები უყვარსო. გამოვიდა ვიღაც ფერაძე, ეს გათახსირებული ქალი და რაები იბჟუტურა. ვიღაც-ვიღაცები ამით ამაყობენ, არც რცხვენიათ. რა გვაქვს საამაყო?! საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი თავის კაბინეტში ერთ ამბავშია, ეს გამოუქვეყნეს და აჩვენეს. ხელისუფლებაში რომ ხარ თავი ხომ უნდა მოთოკო. ამ დროს, ეს ქალი მოდის და ალასანიას პარტიაში პირველ ათეულშია და სიის წარდგენისას ხალხის წინაშე ამაყად გამოდის. არადა, თავმოყვარე ქალი ქუჩაში არ უნდა გამოდიოდეს იმიტომ, რომ ეს კადრები მარტო საქართველოში კი არა, მთელს მსოფლიოში აქვთ ნანახი. ესაა მთელი უბედურება. ეს უზნეობა გააჯერეს ჩვენში, ეს დამოკიდებულება გათავისდა. ამიტომ, ახლა, რულოვსი ვინ თუ არის, არავის აინტერესებს, მთავარია მეგრული იცის, არ აინტერესებთ, რომ იგი ის ქალბატონია, რომელიც ადამიანის, ბავშვის ორგანოებით ვაჭრობს. იგი მაჟორიტარად იყრის კენჭს, „ნაციონალები“ დაყვებიან და მისი მომხრეები ყვავილებით ხვდებიან, რაც თავის მოჭრა, საქართველოსთვის სულში ჩაფურთხებაა. აქედან გამომდინარე, არსებობს რაღაცები, რაც ადამიანს უნდა აპატიო, მაგრამ როცა კაცი კაცს კლავს, ამის პატიება არ შეიძლება, ამათ 140 ახალგაზრდა განუკითხავად ჩახოცეს ქუჩაში. რისთვის? იმიტომ, რომ ეს სააკაშვილს უნდოდა. მან სვანეთში მთელი ოჯახი ამოხოცა და თან ამაყობს, ჩემი გაკეთებულიაო. კი მაგრამ მოსამართლეა თუ რა, მარტო ამის გამო იყო დასასჯელი. სააკაშვილი თავის დროზე იმის გამოც იყო დასასჯელი, როდესაც საკრებულოს თავზე თავისი პარტიული დროშა აღმართა. ეს სახელმწიფო დანაშაულია. ამაზე ინგლისში 7 წელს უსჯიან. ცუდ დღეში ვართ. ხლა, აასეთი დამოკიდებულებაცაა — „ქართულ ოცნებაზე“ გაბრაზებული ვარ და ჯინაზე ნაცებს მივცემ ხმასო.

ეს უკვე ტრაგედია, უბედურებაა. ნაცებს ხმას რომ მისცემ და მოვლენ, მარტო ცოცხით კი აღარ გიხმარენ, იქვე ჩაგხოცავენ, ჩაგაძაღლებენ. სააკაშვილის მეუღლე რულოვსი ამბობს: მიშას თვალებში ჩავხედე და შევატყვე, აღარ იქნება მკაცრიო. ეს უკვე ცინიზმია. „ქართულმა ოცნებამ“



ბევრი რამ გააკეთა. ერთი, რაც მთავარია არავის აღარ ეშინია, ვისაც უნდა და რასაც უნდა იმას ლაპარაკობს. ამიტომ, ამდენი ოპოზიციონერი ჯერ არ მახსოვს, ყველა თავს იწონებს. მაგრამ სისტემა რომელიც მუშაობს ამერიკულია. ამიტომ, ვამბობ, ამ არჩევნებმა შეიძლება მშვიდობით ჩაიაროს, მაგრამ მერე, აღარ იქნება მშვიდობა. კი ბატონო, ამერიკას დიდი შესაძლებლობა აქვს, მაგრამ აზერბაიჯანი, სომხეთი გაცილებით კარგად იცავენ თავიანთ ინტერესებს, ვიდრე ჩვენ. აზერბაიჯანში ამერიკელებმა მამათმავალი ელჩი რომ გამოგზავნეს, მეორე დღესვე გააბუნძულეს ქვეყნიდან, სომხეთში სამი ელჩი გააგდეს, რადგან მათ საქმეებში ერეოდა. ჩვენ რა გვჭირს, კერის და მისი მსგავსის მონები გავხდით?! მონობა ყველაზე დიდი უბედურებაა. საბჭოთა კავშირის დროს ჩვენ მონები არ ვიყავით, არამედ ვიყავით ყველაზე თავისუფალი ერი. მწერლობაში, ხელოვნებასა თუ მეცნიერებაში სკოლები შევქმენით იმი-

ტომ, რომ თავისუფალი ვიყავით. დღეს, მოდის სოროსი და გვეუბნება: თქვენ, დახურული სივრცე ხართ და უნდა გაგათავისუფლოთო. ამათ დემოკრატია და თავისუფლება ადამიანის ცხოველად მოქცევა ჰგონიათ. როდესაც ინგლისში დედა თავის ახალგაზრდა ვაჟს ცოლად მიჰყვება, ეს თურმე ნორმალურად უნდა აღიქვა, ადამიანის უფლება ყოფილა. როდესაც ავსტრიაში, შუა ევროპის ცენტრში, მამამ შვილი სარდაფში ჩაკეტა და სამოთხი შვილი გაუჩინა, მერე ეს გოგო საშველად გაიქცა ძმასთან და იმანაც რომ გააუპატიურა, ეს ჰგონიათ თავისუფლება, არადა, ეს ცხოველური თავისუფლებაა. დღეს, მსოფლიოს შვიდი ტრილიონერი მართავს, რომლებიც ამბობენ: ამერიკას ჩვენი ვალი აქვსო, ჩვენი ტელევიზიები და საქართველო ერთ ლუკმად არ ეყოფათ მითუმეტეს იმ ფონზე, რომ აქ, დემოგრაფიული კატასტროფა, ზნეობრივი წარღვნაა. ამერიკამ სააკაშვილი დემოკრატიის შუქურად გამოაცხადა და კაცად აქცია. არადა, ესაა კაცი რომელსაც ამერიკა ვისზეც მიუთითებდა იმას კლავდა, მე, ყოველთვის იმ ადამიანის მწამს ვისაც სამშობლო უყვარს და ამას საქმით ამჟღავნებს. ივანიშვილმა გვითხრა, „ნაცებისგან“ გაგათავისუფლებთო და ასეც მოხდა. მერე, ამერიკამ კოაბიტაცია მოგვახვია თავს. „ნაციონალები“ ხვლიკებივით იყვნენ შემძვრალი, გარეთ არ იყურებოდნენ. ახლა, ქარიც რომ ამოვარდება, იმასაც ივანიშვილს აბრალებენ. დღეს, ქართველმა ხალხმა თავის ბედი უნდა გადაწყვიტოს, ცოტა მეტად უნდა იაზროვნოს. თუნდაც, სამეგრელოში ხალხმა ისეთი ადამიანი უნდა აირჩიოს, ვინც საქართველოს ინტერესს გაატარებს. გიგაური და ლომჯარია, ქართული არასამთავრობოების „ვარსკვლავები“ თურმე, მომავალი სახელისუფლო კანდიდატურებია. ესაა ის, რაც ხორციელდება — კონგრესმა დაადგინა, რომ არასამთავრობოები ხელისუფლებაში უნდა ჩაენაცვლონ. ამ ძალის მოყვანა რომელიც მიწასთან გაასწორებს საქართველოს, სახელმწიფოსთვის სისხლის გამოცლას, გათეთრებას ნიშნავს.

**— ბატონო ელიზბარ, დასაწყისში საქართველოს დაყოფაზე ისაუბრეთ. ეს საფრთხე დღეს რამდენად რეალურია?**

— დიახ, ის იდეა რაც გამსახურდიას უთხრეს დღემდე მოქმედებს. ასლან აბაშიძემ პირადად მაჩვენა შვიდ ნაწილად დაყოფილი საქართველოს გეგმა. აი, რა აქვთ ჩაფიქრებული.

**— სწორედ ამიტომაც სჭირდება სამეგრელოს გვერდით დგომა, რომ მავანმა დაწყებული პროვოკაცია წარმატებით არ განახორციელოს.**

— დიახ, სამეგრელოს სრულიად საქართველო უნდა დაუდგეს გვერდით. მის დასაცავად მთელი ქვეყანა ფეხზე უნდა დავაყენოთ. ქართველი ამასაც უნდა დაუკვირდეს. ერში, სადაც „ნაცებს“ 300 ათასი მომხრე ყავთ, ე. ი. ის ერი აღარაა. ამ სექტას — ერის სულში ჩამფურთხებელს თუ კიდევ 300 ათასი მომხრე ჰყავს, ერი აღარ ვყოფილვართ. მაგრამ 300 ათასის გარდა, კიდევ არსებობს 2 მილიონ რაღაც ქართველი და იგი აუცილებლად, ამოიღებს ხმას. თუ „ნაცები“ ჭკუას არ მოეგებიან, აქედან ცოცხლები ვერ გაასწრებენ. ეს მათ კარგად დაიმახსოვრონ.

**— ბატონო ელიზბარ, რატომღაც სანდრა რულოვსის, ნაციონალების სამეგრელოში პარპაშს მეგრელებს აბრალებენ. რეალურად, იმის ბრალი ხომ არ არის, რომ თავის დროზე მათ დანაშაულის გამო პასუხი არავინ აგებინა?**

— რა თქმა უნდა, ესეც არის. მაგრამ არც ის მომწონს რულოვსს ყვავილებით რომ ხვდებიან. ეს ალბათ, მათი ხალხია და ადამიანის გადაგვარებაზე მიუთითებს, სხვა არაფერზე. ეს ცუდი, მსოფლიო პოლიტიკის შედეგია. კარგად უნდა დავიმახსოვროთ, რომ ნაწილი მთელის გარეშე არ არსებობს. სურა რომ გატყდება, ცალკე აღებული ყური მნიშვნელობას კარგავს.

სამეგრელოში სანდრა რულოვსმა ან სხვა ნაციონალებმა რომ გაიმარჯვონ, ეს არამარტო სამეგრელოს უდიდესი სირცხვილი იქნება, არამედ ეს იქნება საბედისწერო შეცდომა, რომელსაც შეიძლება საქართველოს რღვევა და დაშლა მოჰყვეს.

აქვე მინდა მივმართო ჩემს ძმებს, ჩემს კოლხ თანამებრძოლებს: ზვიად გამსახურდიამ საქართველოს ერთიანობას შესწირა სიცოცხლე. „ნაციონალების“, ყოველივე ქართულის და სრულიად საქართველოს მტრების გვერდით დგომა ზვიად გამსახურდიას ნათელი ხსოვნის შეურაცხყოფაა, მისი საქმის და მისი იდეების ღალატია.

თამარ შველიძე
555 23 28 24



# ოთარ დანელია:
# ერთი რამ ახსოვდეს ყველას – არ არსებობს ორი სწორი არჩევანი. სწორი არჩევანი მხოლოდ ერთია და ეს არის „ქართული ოცნება“!

### გვესაუბრება აბაშისა და მარტვილის მაჟორიტარობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“, ბატონი ოთარ დანელია



**– ბატონო ოთარ, მოუყევით საზოგადოებას თქვენს შესახებ. რა გზა გაიარეთ, სანამ აბაშისა და მარტვილის მაჟორიტარობის კანდიდატად დაგასახელებდათ „ქართული ოცნება“.**

– სანამ დეპუტატობის კანდიდატად დამასახელებდნენ სოფლის მეურნეობის მინისტრი გახლდით. მანამდე მინისტრის მოადგილე ვიყავი, ვმუშაობდი შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორად, სადაც ძალიან ბევრი საინტერესო პროექტი განვახორციელეთ.

პროფესიით ვარ იურისტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტის კვალიფიკაციით, ასევე, ბიზნესადმინისტრირების კუთხითაც მაქვს გარკვეული ცოდნა. დაახლოებით 7 წელიწადი გაეროს სხვადასხვა მისიებში ვიმუშავე, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, მაქვს გამოცდილება კერძო სექტორში მოღვაწეობის, ვიმუშავე საბანკო სექტორშიც. დასაქმებული ვიყავი სატელეკომუნიკაციო ბიზნესში, მაქვს სხვადასხვა პროფესიული გამოცდილების პრაქტიკა.

ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა, ვფიქრობ, იქნება თუკი გავხდები აბაშისა და მარტვილის წარმომადგენელი პარლამენტში, რადგან სულ სხვა განცდაა, როცა ხალხის რჩეული ხარ, ადამიანებს აქვთ შენი ნდობა და ეს აუცილებლად უნდა გაამართლო.

მიმაჩნია, რომ ბევრი რამის გაკეთება შემიძლია ორივე მუნიციპალიტეტისთვის და უნდა გითხრათ, რომ უკვე დავიწყე საქმიანობა. მქონდა შეხვედრები ინვესტორებთან.

**– მაგრამ მაინც, რატომ დაგასახელათ თქვენ „ქართულმა ოცნებამ“ და არა სხვა. რა ნიშნით გამოგარჩიეს?**

– ეს იყო გუნდური გადაწყვეტილება.

პრემიერ-მინისტრთან არაერთი შეხვედრა მქონდა. ბევრი ვისაუბრეთ აბაშასა და მარტვილში არსებულ პრობლემებსა და მიღწევებზე. გაითვალისწინეს ჩემი მიღწევებიც სოფლის მეურნეობის სამინისტროში. და როცა არჩევანი ჩემზე გააკეთეს, ცხადია, მოხარული დავრჩი, უდიდესი პასუხისმგებლობის განცდაც გამიჩნდა. ეს იყო ნდობის მანდატი, რაც უნდა გამემართლებინა და ამ ნდობას მე გავამართლებ.

ახლა რაც შეეხება ბოლო წლებში ჩემი სოფლის მეურნეობის მინისტრობისას მიღწეულ წარმატებებს.

ჩემი მინისტრობის პერიოდში გაიხსნა 150 ახალი საწარმო, დასაქმდა მოსახლეობა.

განხორციელდა კოოპერირების ხელშეწყობის პროექტები, დღეს საქართველოში 1600-ზე მეტი კოოპერატივი გვაქვს.

ღვინის პოპულარიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის, რომ ჩინეთის ბაზარი გაიხსნა ჩვენთვის და მიმდინარე წლის ბოლომდე ვვარაუდობთ, რომ ღვინის ექსპორტს განვახორციელებთ ჩინეთში, რითიც ექსპორტიორი ქვეყნების სიაში მეორე რიგს დავიკავებთ.

მნიშვნელოვანია სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება. ანასეულის ნიადაგებისა და სუბტროპიკული კულტურების ცენტრში მნიშვნელოვან პროექტებს განვახორციელებთ და წლის ბოლომდე მოხდება ახალი ინფრასტრუქტურის ინაუგურაცია. ამას შემდგომი მინისტრი გახსნის, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რომ მინისტრობისას სოფლის მეურნეობის სამინისტროში არსებობდა ადამიანური რესურსი, რომელმაც ხელი შემიწყო, სასიკეთო საქმეები მეკეთებინა.

მუხურის მეფუტკრეობის ცენტრს სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე, უახლოეს თვეებში გავხსნით. ჩემი აზრით, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია კოოპერირების კუთხით. დიდი ინტერესია ევროპის ქვეყნებში ქართულ თაფლზე; რაც ნიშნავს, რომ ქართული თაფლის რეალიზაციის პრობლემა არ იარსებებს.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო მელიორაციის შესახებაც. 25000 ჰა-ზე მეტ ფართობზე მოხდა წყალუზრუნველყოფა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამ კუთხითაც პრობლემები მოხსნილია. ყველაფრის გაკეთებას დასჭირდება რამდენიმე წელი, მაგრამ მთავარია, რომ საქმე დაძრულია, ჩამოვიტანეთ გადასატანი სადგურები, რომელთაც ვაწვდით იმ ადგილებს, სადაც ინფრასტრუქტურული გაუმართაობის გამო, შესაძლოა, მუშაობის საშუალება არ იყოს.

მცენარეთა დაცვა და ვეტერინარია ჩვენი მთავარი საზრუნავი იყო. შეიძლება ითქვას, ამ კუთხით,რევოლუციური ნაბიჯები გადაიდგა.

მივაღწიეთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის იდენტიფიცირების უზრუნველყოფას, მათი მონაცემების ელექტრონულ ბაზაში აღწერას, რაც კეთილსაიმედოობის კუთხით საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იქნება.

მნიშვნელოვანი შანსები გვაქვს, გავხდეთ ჰაბი სავაჭრო და აბრეშუმის გზის მიმართულებით. პროექტი, რომელიც ჩინეთის მხარესთან ერთად განხორციელდება და საქართველოს მნიშვნელოვან როლს კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს.

მცენარეთა დაცვა ვახსენე და არ შემიძლია არ აღვნიშნო ის, რომ უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ფიტოსანიტარული ლაბორატორია, რომელიც ჩვენი მმართველობის დროს აშენდა, არის პირველი საქართველოში და ერთ-ერთი სანიმუშო რეგიონში..

მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობის საკითხის გადაჭრა. ამ ნაწილში ყველაზე საამაყო ჩვენს მიერ დანერგილი პრაქტიკა გახლავთ რძის პროდუქტების რეგლამენტი, რომელმაც ყველა მითი დაამსხვრია იმის შესახებ, რომ თურმე შესაძლებელი ყოფილა საქმის გაკეთება. იყო სკეპტიციზმი, მაგრამ მე დღეს ვამაყობ, რომ გუნდთან ერთად მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ ამ მიმართულებითაც.

პროექტების მართვის სააგენტოს მიერ ასევე ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა.

„დანერგე მომავალი“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია.

გამოვყოფ ჩაის რეალიზაციის პროექტსაც. უკვე მეექვსე პროექტი დამტკიცდა და მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები და 2-3 წელიწადში გვექნება აბსოლუტური პოტენციალი ამ კუთხით და სერიოზულ ნიშას დაიკავებს ქართული ჩაი ევროკავშირის ქვეყნებშიც.

მე ვფიქრობ, ბევრი პროექტი განხორციელდა, კიდევ უფრო მეტი გაკეთდება, რადგან ჩვენ შევიმუშავეთ სტრატეგია 20/20, რომელიც ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის განვითარებას 2020 წლამდე. ამ პეროიდშივე განხორციელდება გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია 20/30-ის ფარგლებში.

შეგახსენებთ, რომ აგროსასურსათო პროდუქციის 1/3 მეტი უკვე ევროპაში გადის.

ძირითადი სტრატეგიაა მაქსიმალური ხელშეწყობა ღვინის ექსპორტის, თხილის გადამუშავების, რომ საქართველოში დარჩეს დამატებითი ღირებულება. ჩვენ არაერთი საწარმო დავაფინანსეთ სწორედ ამ მიმართულებით.

ვფიქრობთ, რომ ჩაის აქვს საინტერესო პოტენციალი. თაფლის და თევზის მიმართ დიდი ინტერესებია ევროკავშირის ქვეყნებიდან.

სულ ცოტა ხნის წინ თურქეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი და მთავრობის რამდენიმე წარმომადგენელი გვეწვია სტუმრად. მათთან ერთად შევიმუშავეთ ის საკითხები, რაც აუცილებელია ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით. ვფიქრობ, ამ მიმართულებითაც არის დიდი შესაძლებლობები და ასათვისებელია ბევრი საშეღავათო პირობა, რადგან გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, გადასახედია ეს პროცესი.ამაზე მუშაობა უკვე დავიწყეთ. ვფიქრობთ, ეს საჭიროა. არის საშუალება, კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ეს ურთიერთობები.

**– საინტერესო მიღწევებია, არადა, ამაზე პრესა არ ლაპარაკობს.**

– არავის აინტერესებს და იმიტომ. სკანდალები უფრო აინტერესებთ, არადა, ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოდან არ გასულა ექსპორტით იმდენი ღვინო, რამდენიც გავიდა ბოლო 3 წლის განმავლობაში.

აი, მაგალითად, იცოდით იმის შესახებ, რომ ჩვენ მასშტაბური ღონისძიებები განვახორციელეთ აგროდაზღვევის თვალსაზრისით? საქართველოს ისტორიის მანძილზე





313 მლნ გვაქვს განხორციელებული. 2011 წელს აგროსასურსათო პორტფელი დაფინანსების თვალსაზრისით არ აღემატებოდა 59 მლნ ლარს, ახლა ეს არის 600 მლნ ლარით მეტი.

2 მლრდ ლარზე მეტი ლარის კაპიტალიზაცია მოხდა სოფლის მეურნეობაში. მელიორაცია, თანადაფინანსებები და ა. შ. წარმოიდგინეთ, რამხელა ციფრებზეა საუბარი. 10-ჯერ გაიზარდა სოფლის მეურნეობის ბიუჯეტი. პირადად მე, სოფლის მეურნეობის მინისტრობისას, სამინისტროს ბიუჯეტში დავტოვე 321 მლნ ლარი.

იმის მიუხედავად, რომ საქართველო აგრარული ქვეყანაა, სოფლის მეურნეობის პრიორიტეტები წლების მანძილზე დაკარგული იყო. იმ წლებს ველარ დავიბრუნებთ. რაც დაიკარგა, ველარ მივეწევით.

— **რატომ ისპობოდა ეს დარგები გასულ წლებში. ეს მიზანმიმართულად ხდებოდა თუ რა იყო მიზეზი?**

— ვერ გეტყვით. ფაქტია, რომ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტი არ ყოფილა. როგორც ჩანს, ამ მიმართულებით პერსპექტივებს ვერ ხედავდნენ, თუმცა ესეც ძალიან რთული დასაჯერებელია, რადგან ჩვენი მოსახლეობის 53% სოფლად არის დასაქმებული.

ჩვენი მიზანია, ხელით შრომა



მაქსიმალურად შევცვალოთ მექანიზაციით. ამ მიზნით უკვე გამოვუშვით ქართულ-ბელორუსული ტრაქტორები. ეს არის პირველი, საქართველოში აწყობილი ტრაქტორი, რომელიც ასევე ითვალისწინებს 40%-მდე თანადაფინანსებას. თუ კოოპერატივი შეიძენს ამ ტრაქტორს, ან ნებისმიერ სხვა ტრაქტორს, რომელიც საქართველოშია აწყობილი, ჩვენ ხელს შევუწყობთ და სტიმულირებას მოვახდენთ, რომ საქართველოში მოხდეს საწარმოო ციკლის დასრულება, ვეცადოთ, რაც შეგვიძლია, თვითონ ვაკეთოთ.

— **სამეგრელოს რეგიონი, მოგეხსენებათ, ესაზღვრება აფხაზეთს, რომელიც დროებით მოწყვეტილია საქართველოსგან. „ქართულ ოცნებას" შეიძლება ხმამაღლა დეკლარირებული კონცეფცია არ აქვს აფხაზეთთან მიმართებაში, მაგრამ რასაც აკეთებს ხელისუფლება რეგიონში, ეს შეიძლება აფხაზეთის დაბრუნებისკენ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებად ჩავთვალოთ. მაგალითად, რუხში, აფხაზეთის საზღვართან მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება...**

— მე წეღან საუბრისას შეგნებულად არ დავასახელე სხვა პროექტებიც. გვაქვს სხვა მნიშვნელოვანი გეგმებიც.

გაეროში მუშაობისას არაერთი წელი დავყავი აფხაზეთში, ვიმუშავე გალში და სოხუმში 2000-დან 2005 წლამდე. უამრავი მეგობარი მყავს აფხაზეთში, სტუმრადაც იყვნენ ჩემთან, მიხარია მათთან ურთიერთობა. აფხაზეთი ჩვენი ნაწილია, ჩვენ ერთნი ვართ. ურთიერთობების აღდგენას სჭირდება თანმიმდევრული პოლიტიკა, გეგმაზომიერი ქმედებების განხორციელება იგივე ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურული, სოფლის მეურნეობის, სამრეწველო მიმართულებით. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ურთიერთობები, სადაც ძალიან დიდი პროგრესს მივაღწიეთ, რომ განმტკიცდეს და მიიღოს რეალური სახე. ამისთვის ყველა ღონე უნდა გამოვიყენოთ, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების ავტორიტეტი და გამოცდილება. როგორც გითხარით, მე მაქვს გამოცდილება დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობების და ჩემს თავს არ ვზოგავ, რომ ამ კუთხით შედეგი მივიღოთ.

— **ბატონო ოთარ, რა არის ის აუცილებელი, რაც ხელისუფლებას რეგიონში უნდა გაეკეთებინა და ან გამორჩა, ან ვერ მოასწრო, ან არ ან ვერ განახორციელა? რა არის ის აუცილებელი, რაც გასაკეთებელია?**

— ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პროექტია განსახორციელებელი. თუმცა ბევრი რამ გაკეთდა. ძალიან ბევრი გზაა დაგებული, ბევრი ხიდია გაკეთებული, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია გაზიფიცირება, მოხსნილია ქუჩის განათებების პრობლემები. პრაქტიკულად, ის საქმეები, რომლებიც ახლა კეთდება. მოკლედ, დღეს „არაპოპულისტურ" საქმეებს ვაკეთებთ — კანალიზაციის კეთება ქალაქში, არ ჩანს, არ რეკლამირდება, მაგრამ, მოგეხსენებათ, რამდენად მნიშვნელოვანია.

ფასადური შენობების აშენება ჩანდა, ოღონდ ღირებული ფუნქცია მას არ ჰქონდა.

ასე ვმუშაობთ ჩვენ — ვარჩევთ, რა არის უფრო პრიორიტეტული, საჭირო და ვაკეთებთ იმას, რაც პირველ რიგში აუცილებელია.

პრობლემების უმრავლესობა, რაც სამეგრელოს სოფლებში დგას, აბსოლუტურად მოგვარებადია. ყველაფერი უცებ ვერ გაკეთდება. აუცილებელია სწორი კომუნიკაცია, საჭიროა იცოდეს სოფლის მოსახლეობამ, როდის იწყება და როდის მთავრდება თითოეული პროექტი. ამის შესახებ ხალხი საქმის კურსში უნდა ჩააყენოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ეს არის ერთადერთი, რაც მე დავინახე გასაუმჯობესებელ საკითხად.

— **ყველაზე დიდი ზიანი „ნაცმოძრაობამ" სამეგრელოს რეგიონს მიაყენა. რა განწყობაა ხალხში, დაივიწყეს მძიმე წარსული? თქვენ თვითონ რას ფიქრობთ თქვენს ოპონენტებზე, კერძოდ, „ნაცმოძრაობის" დეპუტატობის კანდიდატზე?**

— მე ყველას მიმართ ღირსეული დამოკიდებულება მაქვს და თუ რაიმეს ვამბობთ, აუცილებლად უნდა ახლდეს ამას კონკრეტიკა.

რაც ბრძანეთ, ეს ნამდვილად ასეა — სამეგრელომ დიდი ტკივილი გადაიტანა, მაგრამ ამან უკვე მიიღო სტანდარტული სახე და კონკრეტულად, სწორედ იქედან გამომდინარე, რომ საზოგადოება ხედავს დღეს ხელისუფლების გაკეთებულ საქმეებს, გული მწყდება, რომ სათანადო პიარი არ არის.

კომუნიკაციის ნაწილში დიდი დეფიციტია საზოგადოებაში, მიუხედავად იმისა, რაც სოფლის მეურნეობის სამინისტროზე გითხარით, ძალისხმევას არ ვიშურებდი, ამ სამინისტროსთან ყოფილიყო კომუნიკაცია, ვიზიტები, გაზეთიც კი გამოვეცით, რომ მეტი ინფორმაცია გაგვეცა. გავხსენით სატელეფონო მომსახურების ცენტრი, შემოდიოდა ინფორმაცია, ხდებოდა ამ ინფორმაციების ანალიზი და ასე ვაკეთებდით პროექტებს.

მოკლედ, არის ორი აპრობირებული ციტატა — ერთი მხრივ, ხელისუფლება არაფერს არ აკეთებს და მეორე, ბევრ რამეს აკეთებენ, მაგრამ პიარი არ უვარგათ. ეს კრიტიკა უფრო მისაღებია. დიახ, ხელისუფლება ძალიან ბევრ რამეს აკეთებს, მაგრამ ამის აფიშირება არ ხდება.

— **არის თუ არა საშიშროება კორცხელის განმეორების? ბატონო ოთარ, აბაშა-მარტვილში რა მდგომარეობაა ამ კუთხით, „ნაცმოძრაობის" აგრესიულ გამოხტომებს როგორ უმკლავდებით?**

— ყველა ღონეს გამოვიყენებთ, რომ მსგავსი ინციდენტები არ მოხდეს.

არც აბაშაში და არც მარტვილში „ნაცმოძრაობის" აქტივობები თვალშისაცემი არაა. ვხვდები ხალხს. ძალიან პოზიტიურია განწყობები. ვსაუბრობთ ამომრჩეველთან, ვცვლით აზრებს. შეხლა-შემოხლა ჯერ არსად არ ყოფილა. მე ჩემს მეგობრებთან ერთად თუ ყურს მოვკრავთ, რომ მსგავსი რამ ხდება, პრევენციისთვის მზად ვართ.

არეულობას ჩვენ არ ვაპირებთ. თუ ამას ვინმე დააპირებს, ეს ოპონენტები იქნებიან, ან მათი მხარდამჭერები და ამაზე, ალბათ, შესაბამისი რეაგირებები იქნება.

— **რამდენად კარგად იცნობთ აბაშისა და მარტვილის პრობლემებს და, პირველ რიგში რის გაკეთებას გეგმავთ?**

— ძალიან კარგად ვიცნობ ორივე რაიონის პრობლემებს და ამ საქმეში განსაკუთრებით დამეხმარა ის სამუშაოები, რომელიც გავწიე მინისტრობისას.



ყველაზე ხშირად რაზეც არის საუბარი, ეს არის გზები, გაზიფიცირება, ქუჩების განათება. საზოგადოება არ შეიძლება დაკმაყოფილდეს იმით, რაც აქვს და ეს არ მოხდება სამეგრელოში. ამიტომაც არის ეს კუთხე ჩემთვის განსაკუთრებული. ჩვენ ვართ პროგრესზე ორიენტირებული ხალხი, ჩვენთვის დამაკმაყოფილებელი არასდროს იქნება ის, რაც გვაქვს. ჩვენ ვართ მაქსიმალისტები.

შესაქმნელია ახალი სამუშაო ადგილები. უნდა შემოვიდეს ინვესტიციები, გაკეთდეს გადამამუშავებელი საწარმოები, დასაქმდნენ ადამიანები. არის საკითხები, რომელთა გადაჭრას, ვფიქრობ, რომ შევძლებ. მუშაობა უკვე დაწყებული მაქვს. კერძოდ, ჯანდაცვის მიმართულებით. სპორტის თვალსაზრისით ძალიან საინტერესო მიმართულებები გამოიკვეთა, გვაქვს საკმაოდ დიდი რესურსი, როგორც აბაშაში, ისე მარტვილში, მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული ხელშეწყობა, რომ ახალგაზრდებს შეექმნათ ხელსაყრელი პირობები.

განსაკუთრებულად და უფრო შრომატევადად მიმაჩნია ინვესტიციების მოზიდვა ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით. ამ კუთხით მნიშვნელოვანი პროექტების პრეზენტირებას იხილავთ ოქტომბრის თვეში „ღვინის კვირეულის" ფარგლებში. წინასწარ გეტყვით, რომ „ოჯალეში" იქნება ამ კუთხით ერთ-ერთი ლაიტმოტივი და, ვფიქრობ, რომ ქართული მეღვინეობის ერთ-ერთი კონტრიბუტორი გახდება სამეგრელო და ეს სულ რაღაც 3-4 წელიწადში მოხდება.

— **რას ეტყვით თქვენს ამომრჩეველს!**

— ხმა მომცენ! (იცინის)

მთავარია, გააკეთონ სწორი არჩევანი. იმის მიუხედავად, რომ იქნება ინფორმაციების ნაკადი, იქნება ძალიან ძლიერი ინფორმაციული შემოტევა, მაგრამ აირჩიონ პროგრესი, ის, რაც მათთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის იქნება საჭირო, აუცილებელი და სასარგებლო. აირჩიონ სწორი და სწრაფი განვითარება, ახალი სამუშაო ადგილები. ერთი რამ ახსოვდეს ყველას — არ არსებობს ორი სწორი არჩევანი. სწორი არჩევანი მხოლოდ ერთია და ეს არის „ქართული ოცნება".

**ირანდა კალანდაძე**
აბაშა-თბილისი
593 56 11 18

®

# ლევან კობერიძე:
# ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ერთადერთი გზა მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის ამოქმედებაა, რასაც აუცილებლად მივაღწევთ

**„ასეთი განათლების მქონე ადამიანები ძალიან სჭირდება ჩვენს ქვეყანას და ჩვენ ვალდებულნი ვართ ისინი გავიყვანოთ მოწინვე პოზიციებზე, რათა ჰქონდეთ ძლიერი ბერკეტები ხალხის სამსახურისთვის“ – ამ სიტყვებით წარადგინა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა ექიმი, ბიზნესმენი და სტრატეგიული მარკეტინგის სპეციალისტი ლევან კობერიძე „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს” თბილისის მაჟორიტარ დეპუტატად. სტოკჰოლმის ბიზნეს სკოლის კურსდამთავრებული, ბრენდინგისა და მარკეტინგული კვლევების კომპანია „Bრანდინგ.გე“ დირექტორი კენჭს გლდანის 22-ე საარჩევნო ოლქში იყრის.**

**ლევან კობერიძის წარდგენისას, მაჟორიტარ კანდიდატს და მთლიანად სახელისუფლებო გუნდს მხარდაჭერა ევროპარლამენტის „სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსის“ ჯგუფის ვიცე-პრეზიდენტმა საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში კნუტ**



**ფლეკენშტეინმა გამოუცხადა:**

**„ჩემი აქ ყოფნის მთავარი მიზანია, რომ მხარს ვუჭერ „ქართულ ოცნებას“. ჩვენ, ევროპის სოციალ-დემოკრატებმა დიდი პროგრესი დავინახეთ, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელდა. ჩემთვის ასევე მნიშვნელოვანია, მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმა, რომელიც წარმატებით განხორციელდა გერმანიაში და მჯერა, რომ თქვენთანაც ასევე წარმატებულად განხორციელდება. ლევან კობერიძემ, ბევრი გააკეთა კერძო სექტორში და მნიშვნელოვანია ასეთი ადამიანი გყავდეთ პარლამენტში. მან იცის, როგორ შექმნას სამუშაო ადგილები და გადაჭრას ეს პრობლემა. მინდა ლევანს და მის გუნდს წარმატებები ვუსურვო მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე“ – განაცხადა კნუტ ფლეკეშტეინმა.**

**რას ფიქრობს „დაუღვინებელ“ პოლიტიკურ პარტიებზე, როგორ აპირებს გლდანისა და მუხიანის პრესტიჟულ უბნებად ქცევას და თავისი ამომრჩევლებისთვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ვინ გულშემატკივრობს ოჯახში და ვინ აკვირდება ყველაზე მეტი ყურადღებით მის წინასაარჩევნო საქმიანობას? „საერთო გაზეთს“ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გლდანის 22-ე ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატი ლევან კობერიძე ესაუბრა:**

**– ბატონო ლევან, საუბარი ოჯახით დავიწყოთ. თქვენი ოჯახის წევრებზე გვიამბეთ..**

– სიამოვნებით. მყავს პენსიონერი დედა- ნაირა ქუჩულორია, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდება, რომ წინასაარჩევნო საქმიანობასა და დაპირებებში პენსიონერებთან მიმართებაში რაიმე არ გამომრჩეს. მყავს მეუღლე- ჟურნალისტი სოფო მოსიძე, რომელსაც სხვადასხვა დროს, რამდენიმე საინფორმაციო, ანალიტიკური და შემეცნებითი გადაცემა მიჰყავდა და მყავს ქალიშვილი- სესილი კობერიძე, რომელიც წარჩინებით სწავლობს და იმედი გვაქვს, რომ ასე გააგრძელებს.

**– მოახლოვებულ საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნებისა“ და მისი კონკურენტების შანსებზე რა აზრის ხართ?**

– „ქართულმა ოცნებამ“, როგორც მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ მოახერხა წინასაარჩევნოდ ძალადობისგან მთლიანად თავისუფალი პოლიტიკური ველი შეექმნა. ეს ცოტას არ ნიშნავს, რადგან კაცობრიობის ისტორიაში იმაზე დიდი მონაპოვარი, ვიდრე არჩევანის თავისუფლებაა, არ არსებობს. რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებში ქართული ოცნებისა და მისი კონკურენტების შანსებს, რეალური კვლევები გვაჩვენებს, რომ ჯამში აღებული კონკურენტების რეიტინგიც კი ჩამორჩება, „ქართული ოცნებისა“ და მისი ლიდერების რეიტინგს, ამიტომ მმართველი ძალის წინაშე სხვა ამოცანები და გამოწვევები დგას. პირველ რიგში, ეს არის ეკონომიკის სწრაფი განვითარება, რასაც უნდა მოჰყვეს მოქალაქეების დასაქმება და თითოეული ოჯახის კეთილდღეობა. „ქართულ ოცნებას“ წინასაარჩევნო დაპირებების „შეკოწიწება“ არ დაუწყია. ჩვენს გუნდს ქვეყნის განვითარების მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა აქვს. ეს ხედვა გიორგი კვირიკაშვილის მიერ წარმოდგენილი ოთხპუნქტიანი გეგმაში აისახა, რომლის საფუძველზეც მმართველი პოლიტიკური გუნდი მუშაობს. შესაბამისად, ჩვენი წინასაარჩევნო დაპირებები სწორედ ამ ოთხპუნქტიან გეგმაზეა დაფუძნებული და ეს არა „თითიდან გამოწოვილ“ ციფრებზე. „ქართული ოცნების“ პროგრამაში წარმოდგენილია მმართველი გუნდის ხედვა და დაპირებები, რომლითაც ის არჩევნებზე მოდის.



**– როგორც ინტელექტუალური კლუბის „რა? სად? როდის?“ ერთ-ერთი დამაარსებელი, კლუბის მოაზროვნეების „ქართულ ოცნებაში“ და ზოგადად, პოლიტიკაში მომრავლებაზე რა აზრის ხართ?**

– ინტელექტუალური კლუბი ყოველთვის აპოლიტიკური იყო და ასეთად დარჩება. აქ მთავარი ღირებულებაა ცოდნა, განათლება და მომავალი თაობებისათვის გარკვეული პლატფორმის შექმნა, სადაც ისინი ცოდნის დაუფლებას შეძლებენ. რაც შეეხება პოლიტიკას, აქ პირველ რიგში უნდა ხვდებოდნენ პროფესიულ საქმიანობაში წარმატებული ადამიანები, რომლებსაც საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული ხედვები და იმის ენერგია გააჩნიათ, რომ ხალხს და ქვეყანას ემსახურონ. კლუბში „რა, სად, როდის?“ ათასობით ბავშვი და ახალგაზრდა არის გაწევრიანებული. ბუნებრივია, რომ ეს ცოდნა და პროფესიულ სამიანობაში მოპოვებული წარმატებულობა არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ადამიანების პოლიტიკაში მოსვლას განსაზღვრავს. შესაბამისად, ინტელექტ-კლუბში გაწევრიანებული ადამიანები პოლიტიკაში კლუბის წევრობის კი არა, განათლებისა და წარმატებულობის ნიშნით ხვდებიან. სასიხარულოა, რომ კლუბში ბევრმა ასეთმა ადამიანმა მოიყარა თავი.

**– რას უპასუხებდით ოპონენტებს, რომლებმაც გოგა ხაინდრავას „ჰეროკრატიის“ წინასაარჩევნოდ ჩვენება იმით ახსნეს, რომ მმართველ გუნდს რეიტინგის პრობლემა აქვს და 2012 წლის მსგავსად, გამარჯვებას ციხის თემატიკით აპირებს?**

– ჩემი აზრით, გოგა ხაინდრავას შემოქმედება არანაირად არ უკავშირდება „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიას, თუმცა კარგია, რომ მოსახლეობა ამ ფილმს ნახავს. ვფიქრობ, არ უნდა გავექცეთ იმ სინამდვილეს, რომელშიც ვცხოვრობდით თუ გვაცხოვრებდნენ. სხვანაირად პასუხისმგებლობით განმსჭვალული მომავლის აშენებას ვერ მოვახერხებთ.

**– ერთ-ერთ ინტერვიუში, საინტერესოდ შეაფასეთ პაატა ბურჭულაძის პარტიისა და ვაშაძე-ჯაფარიძე-კაციტაძის ბლოკის გაერთიანება და თქვით, რომ ნაციონალური მოძრაობა უდრის ნაციონალურ მოძრაობას და შესაკრებთა გადააადგილებით ჯამი არ იცვლება. ზოგადად, წინასაარჩევნოდ ბლოკებისა და გაერთიანებების შექმნაზე რა აზრის ხართ?**

- ძალიან სამწუხაროა, როდესაც ქართული პოლიტიკური პარტიები გარკვეული პლატფორმისა და ღირებულებების გაუთვალისწინებლად ახდენენ სხვადასხვა ბლოკებში გაერთიანებას. ბოლო 20-25 წლის განმავლობაში, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში უამრავი ასეთი გადაადგილება მოხდა. ხანდახან, პარადოქსულ სიტუაციამდეც კი მივდივართ, როცა პარტიები აბსოლუტურად, ყველანაირი ტიპის პოლიტიკურ გაერთიანებებში ერთიანდებიან. მემარცხენეები უცებ მემარჯვენეები ხდებიან, ცენტრისტები – რადიკალები და ამითი ცდილობენ ამომრჩევლის გულის მოგებას. ძალიან ხშირად, პოლი-



ტიკურ პარტიებს და პოლიტიკოსებს ჰგონიათ, რომ ამომრჩევლის პოლიტიკური ცნობიერება მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში, ორი ან სამი თვის განმავლობაში ყალიბდება და მანამდე რას ლაპარაკობდნენ ან აკეთებდნენ, მნიშვნელობა არა აქვს, თუ ახალ ბლოკად გაერთიანდებიან და ლამაზ დაპირებებს გასცემენ. ასეთი აზროვნება ამომრჩევლის და მოსახლეობის შეურაცხყოფაა, რადგან ადამიანების არჩევანი მთელი იმ პერიოდის განმავლობაში ყალიბდება, რაც ესა თუ ის პოლიტიკური აქტივობა არსებობს. პოლიტიკურ პარტიებს და პოლიტიკოსებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ რასაც ამბობენ და აკეთებენ, მნიშვნელოვნად განაპირობებს ოთხი წლის მერე მისაღებ გადაწყვეტილებას. პოლიტიკურმა პარტიებმა და პოლიტიკოსებმა აუცილებლად უნდა ვიფიქროთ ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაზე და ჩვენს მიერ გაკეთებულ განცხადებებზე, რადგან ის უნდა წარმოადგენდეს გარკვეული ხედვის თანამიმდევრულ ქმედებებს და არა სპონტანურად, კონკრეტული არჩევნებისთვის მორგებულ მესიჯებს და სლოგანებს. ქვეყნებში, სადაც პოლიტიკურ პარტიებს ჩამოყალიბება და „დაღვინება“ აკლიათ, წინასაარჩევნო ბლოკებისა და გაერთიანებების შექმნა ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ცუდია, როცა ეს ამომრჩევლის მოსატყუებლად და „თვალის ასახვევად“ კეთდება. თითქოს იქმნება ახალი პოლიტიკური ბლოკი, რომელსაც მასში შემავალი პარტიებისგან განსხვავებული მიზნები და ამოცანები აქვს და სინამდვილეში, ეს არის ამომრჩევლის აღქმით მანიპულირების მცდელობა, რეალურად კი, არაფერი იცვლება. სწორედ ასეთი იყო ბლოკი, რომელზეც თქვენს მიერ ხსენებული შეფასება გავაკეთე. ეს ბლოკი ფაქტობრივად, ნაციონალური მოძრაობის განახლებული სახით წარმოდგენის მცდელობაა. აქ თავმოყრილია ყველა ის ცნობილი სახე, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია ნაციონალურ მოძრაობასთან. ამდენად, მგონია, რომ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მსგავსი ტიპის გაერთიანება პოლიტიკურ ღირებულებას არ წარმოდგენს და ამომრჩევლისთვის მაინცდამაინც საინტერესო არაა. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მოსახლეობა ასეთ ბლოკთან მიმართებაშიც იგივე არჩევანს გააკეთებს, რაც ნაციონალურ მოძრაობასთან მიმართებაში გააკეთა. ეს წარსულის პარტია. ამომრჩეველი კი როგორც წესი, წარსულს არ უბრუნდება.





— **თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს ქვეყანაში სწრაფი ეკონომიკური აღმავლობისთვის, სოციალური ფონის გაუმჯობესებისა და ადამიანების დასაქმებისთვის?**

— 2012 წლის შემდეგ ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა, თუმცა, მოსახლეობის კეთილდღეობა გაცილებით სწრაფად უნდა გაიზარდოს და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში სწორედ ეს იქნება ჩვენი მთავარი ამოცანა. ჩვენ ადამიანებს საშუალება უნდა მივცეთ თვითრეალიზება მოახდინონ ახალ სამუშაო ადგილებზე, რომლებიც აუცილებლად უნდა შეიქმნას. ამ ამოცანის შესრულებაში განსაკუთრებული როლი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ეკისრება. რა თქმა უნდა, დიდი საწარმოების გახსნაც მნიშვნელოვანია, მაგრამ საზოგადოების კეთილდღეობასა და ეკონომიკის განვითარებაში მთავარი როლი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესს მიუძღვის. ევროპული ან ევროატლანტიკური სივრცის ნებისმიერი წარმატებული ქვეყნის ეკონომიკაში 60-70%-ზე მეტი შენატანი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის. ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი ორიენტირი და ეს იქნება ჩემი მთავარი ორიენტირი მუხიანისა და გლდანის 22-ე ოლქის ამომრჩეველთან.





— **რაკი მუხიანისა და გლდანის ამომრჩეველი ახსენეთ, იქნებ გაგვიმხილოთ, როგორ აპირებთ ამ უბნების პრესტიჟულად ქცევას და ამ უბნის მაცხოვრებელთა დასაქმებას?**

— დღევანდელ მსოფლიოში პრესტიჟულად ითვლება არა ცენტრალური უბნები, რომლებსაც ძირითადად, მაინც ტურისტული დანიშნულება აქვთ, არამედ ასეთი მყუდრო, საინტერესო, ლამაზი და მიმზიდველი უბნები, როგორიც გლდანი და მუხიანია. ვფიქრობ, რომ ამ უბნებმა უნდა შეინარჩუნონ ის ეკოსისტემა და სიმყუდროვე, რომელიც სხვა უბნებისაგან გამოარჩევთ. მე კი როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, ყველაფერს გავაკეთებ, რომ მუხიანი და გლდანი ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ, პრესტიჟულ, საინტერესო და მყუდრო საცხოვრებელ უბნებად იქცეს და ეს ყველაფერი პირველ რიგში, მისი მაცხოვრებლების დასაქმებისა და პირადი კეთილდღეობის გაუმჯობესების ფონზე უნდა მოხდეს. მე უკვე დავაანონსე ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის პროექტი და სიმბოლურად „სტარტაპ -22“ დავარქვი, რადგან 22-ე საარჩევნო ოლქში მუხიანისა და გლდანის გარკვეული ნაწილი ერთიანდება. ეს იქნება ინოვაციებისა და პროგრესული იდეების ცენტრი, სადაც მუხიანსა და გლდანში მცხოვრებ ადამიანებს ( და არა მარტო მათ) შეეძლებათ მოვიდნენ და ბიზნესთან და ხელოვნებასთან დაკავშირებით, თავიანთი იდეები მოიტანონ. მე შევეცდები მათ თავიანთი იდეების განხორციელებაში ხელი შევუწყო. ამასთან ერთად, გლდანისა და მუხიანის ოლქში აუცილებლად გავაკეთებთ ბიზნეს-ინკუბატორს, სადაც ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც მცირე ბიზნესის წამოწყების სურვილი აქვს, საშუალება ექნება, მოვიდეს და წარმოადგინოს საკუთარი პროექტი, რომლის ბედი სპეციალურ კომისიის შერჩევის შედეგად გადაწყდება. ჩვენ კი შევეცდებით, რომ მოვიპოვოთ ამ პროექტებისათვის დაფინანსება. „ქართული ოცნების“ მთავარი დაპირება, რომელსაც აუცილებლად შევასრულებთ, სწრაფი ეკონომიკური ზრდა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაა. ამის გარეშე, სოციალური კეთილდღეობის ზრდა წარმოუდგენელია. თავის მხრივ, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ერთადერთი გზა მცირე, საშუალო თუ მსხვილი ბიზნესის ამოქმედებაა, რასაც აუცილებლად მივაღწევთ.



— **წარმატებებს გისურვებთ.**

**ნელი თორდია**

571 35 36 88

®

# ქალბატონი, რომლის ბედ-იღბალი სპეცსამსახურების კაბინეტებში დაიწერა

## შემზარავი ფაქტები სანდრა რულოვსის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ



(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ს.გ“ N33)

სკრინინგ პროგრამა განსაკუთრებით მძიმედ აისახა ქალ პატიმრებზე, სანდრას „სიკვდილის“ სკრინინგ ავტომანქანები ქალთა კოლონიას ხშირად სტუმრობდნენ. რომელიმე პატიმრისთვის მკურნალობის კურსის ჩატარების შესახებ არ მსმენია. სამაგიეროდ ერთნაირი დიაგნოზით - კიბო. კიბოს საწყისი ეტაპით პატიმარი ქალბატონების უმრავლესობას სასწრაფო წესით მიაქანებდნენ საოპერაციოდ და აჭრიდნენ საშვილოსნოს დანამატებთან ერთად. როცა აღნიშნულმა პროცესმა მასიური ხასიათი მიიღო პატიმარმა ქალებმა დიაგნოზების შედარების შემდგომ აღმოაჩინეს, რომ ყველას ერთი უბედურება ჭირდა. რასაკვირველია გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩატარებული ოპერაციებით სერიოზული თანხა მიედინებოდა ვიღაცის ჯულაბაში, თუმცა მაინცდამაინც საშვილოსნოებით და საკვერცხეებით რომელ გველეშაპს კვებავდა სანდრა, დღემდე გაურკვეველია... პატიმარი ქალები სანამ აღნიშნულ საკითხზე ფიქრობდნენ გველეშაპმა ყაურმა მოინდომა და ფილტვის ოპერაციების სერიაც დაიწყო... (აღნიშნულ საკითხსაც შევეხები)

ჯანდაცვაში დიდძალი საგრანტო დაფინანსებები შემოდიოდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციებიდან, „გლობალ ფონდიდან“, „იუესაიდიდან“ და ა. შ. ამ დაფინანსებებზე მაშინ ვერავის მიუწვდებოდა ხელი სანდრა რულოვსის ჩაურევლად. რაც უნდა გენიალური აზრი ან ინიციატივა ჰქონოდა ადამიანს, ჯანდაცვაში, გამორიცხული იყო გრანტი მიეღო, თუ იგი სანდრას ინტერესებშიც არ შედიოდა. მის გარშემო მყოფი არასამთავრობოები სისტემატურად ღებულობდნენ გრანტებს, არადა ფაქტი ის იყო, რომ ჯანდაცვაში საქმე უკან მიდიოდა და არა წინ.

სხვათა შორის, ჯანდაცვის ყოფილ მინისტრს, სანდრას ფავორიტს, სანდრო კვიტაშვილს და რამდენიმე პიროვნებასაც ჰქონდათ არასამთავრობო, რომელიც გრანტით ფინანსდებოდა. ეს არასამთავრობო გრანტებს უწყვეტად ღებულობდა, მაგრამ სინამდვილეში რას აკეთებდა, ან საერთოდ აკეთებდა თუ არა რამეს, ესეც არავინ იცოდა. ერთადერთი მაღალჩინოსანი ვინც ნაციონალების დროს, ამ სამინისტროდან ციხეში წავიდა, კოკა ფრუიძე იყო და მისი დაპატიმრების ერთ-ერთ რეალურ ვერსიად, სწორედ სანდრასთან მის უთანხმოებას ასახელებდნენ. სანდრას ინტერესები საავადმყოფოების პრივატიზაციის პროცესებშიც იდო და მათი ინტერესებიც ამ დროს გადაკვეთილა. მართალია ფრუიძე სრულიად სხვა ფაქტის გამო დააპატიმრეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩაუსაფრდნენ და.. „100 საავადმყოფოს“ პროექტთან დაკავშირებული სამართლიანობის აღდგენის პროცესი ამბობენ, დღემდე არ დაწყებულა. ამის გარკვევას თუ ოდესმე ვინმე დაიწყებს, იქ აუცილებლად ამოვარდება „ქველმოქმედი“ ექსლედის ინტერესები, მაგრამ სააკაშვილი ისეთ გონორზეა და ეს ხელისუფლებაც იმდენს აბედინებს, არა მგონია ეს რომ მოხდეს.

„ტუბერკულოზის პროგრამაც“ ხომ სანდრას სახელს უკავშირდებოდა. იგი საერთაშორისო ორგანიზაციაში ტუბერკულოზის პროგრამის წარმომადგენელი გახლდათ. საქართველოში ტუბერკულოზის მართვა რომ არ ხდებოდა ეგეც თვალნათელი იყო, რადგან ციხეებშიც და გარეთაც ტუბერკულოზი მძვინვარებდა და მისი პროფილაქტიკა და აღრიცხვა არ ხდებოდა. ტუბერკულოზის ცენტრის გარემონტება დაავადებასთან ბრძოლის ერთი პატარა სეგმენტი იყო და მთავარი დანარჩენი გახლდათ. ისინი აცხადებდნენ, რომ ტუბერკულოზს ვერ, ან არ მართავდნენ, რადგან ის ატიპური ფორმები განვითარდა. ეს კი გამოიწვია არასწორმა მკურნალობამ და თანმხლებმა დაავადებებმა, რომელიც პროგრამის არასწორი მართვის შედეგი იყო. საქმე იმაში გახლდაღთ, რომ ატიპური ფორმების გამოვლენის დროს ტუბერკულოზის მკურნალობა უფასო აღარ იყო და დიახაც რომ აქ იყო „ძაღლის თავიც დამარხული“, ანუ ყველაფრისგან ფული კეთდებოდა ხალხის გაუბედურების ხარჯზე და ამას ყველა კადრულობდა, მათ შორის, პირველი ლედიც. თუ ამ საქმეების გამოძიება და სიმართლის გარკვევა შეუძლებელია, ხელისუფლებამ ის მაინც გააკეთოს, რომ ასეთ ადამიანებს კიდევ არ აყრევინოს ხალხისთვის თვალში ნაცარი. ბოლოს და ბოლოს ამ თემებზე ლაპარაკით მაინც.

სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშის მიხედვით, ციხეებში პატიმართა სიკვდილიანობა, 2009 წელთან შედარებით, 50%-ით იყო გაზრდილი. სახალხო დამცველის ინფორმაციით, გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობამ 2010 წელს 142 შეადგინა, როდესაც ეს მაჩვენებელი 2009 წელს 100-ზე ქვემოთ იყო.

სახალხო დამცველი პატიმართა გარდაცვალების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ტუბერკულიოზს ასახელებდა, ასევე გულსისხლძარღვთა და სხვადასხვა ინფექციურ დაავადებებს, მათ შორის ძალიან ბევრი გარდაცვლილ პატიმარს ტუბერკულიოზის გარდა C ჰეპატიტი აღენიშნებოდა; ეს გაკვეთის შედეგებმა დაადასტურა. გიორგი ტუღუშის განცხადებით, ტუბერკულიოზთან დაკავშირებული პრობლემა გაღრმავდა არათუ მოგვარდა.



(სწორედ აღნიშნულ პერიოდში შემოაქვს სანდრას დოც და დოც+პროგრამა), ასევე 2010 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა „სიკვდილის ექსპორტს“ – როდესაც ფაქტიურად გარდაცვლილი პატიმრები სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გაჰყავდათ. ძალიან ბევრი პატიმარი, რომელიც გაიყვანეს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ან პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან შეიძლება გზაში არ გარდაიცვალა, მაგრამ მაქსიმუმ ორი დღე იცოცხლა სამოქალაქო ტიპის საავადმყოფოში. ეს მონაცემები დეტალურადაა ანგარიშში. იმავე ანგარიშში არაერთი სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლის გვარი და სახელია მითითებული, რომლებიც შემჩნეული იყვნენ პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობაში.ფილმში „ჰეროკრატია“ მეორე ნაწილი, ციხის ექიმის და ნაწამები პატიმრის შეხვედრით მთავრდება ექიმი ნაწამებ პაციენტს დაზიანებებს თვალნათლივ ხედავს, მაგრამ ფორმა 100-ში არ უფიქსირებს, სამაგიეროდ ეუბნება, რომ „ტუბი“ სინამდვილეში არა აქვს, მაგრამ სპეცზონაში უშვებს იმ იმედით, რომ იქ „აიკიდებს“ . სანდრას „ბიზნესს“ ნაცხროვა „ნედლეულით“ დიდი მონდომებთ ამარაგებდა. აღნიშნულ პერიოდში პატიმრების რაოდენობა 25000 ზე მეტი იყო აქედან 3000 ქალი... საქართველოს და ქართველების „სიყვარულით“ დამდნარი წყვდიადის დედოფალი სანდრა 2010 წელს როცა პატიმრების რაოდენობამ და მათმა სიკვდილიანობის ციფრმა პიკს მიაღწია ვიზიტის ფარგლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება და გზად პოლონეთში შეივლის (საინტერესოა ვის და რის ხარჯზე მოგზაურობდა განუწვეტლივ) ჯანდაცვის საკითხებზე საქართველო-ამერიკის ორმხრივ კონფერენციას დაესწრება, რომელიც საქართველოს პირველი ლედის თავმჯდომარეობით გაიმართა. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ 2011 წელს ქალთა რუსთავის მეხუთე დაწესებულებას ხათუნა კალმახელიძე სტუმრობდა „ბანდასთან“ ერთად იმ დღეს მინისტრს დაბადების დღე ქონია და „დაღლილი“ ხათუნა პარიზში „გაუტაცებია“ პრეზიდენტს. იქ როგორ მიულოცავდა დაბადების დღეს დაქანცულ მინისტრს ვინ იცის... მე სარწმუნო წყაროდან გავიგე ეს „სათუთი“ ამბავი, რომელსაც სანდრაც აუცილებლად გაიგებდა, თუმცა ნაკლებად შეიმჩნევდა ჯაშუშობა ხომ დიდ მსხვერპლს მოითხოვს... ასე რომ ჯანდაცვის საკითხებს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზეც წლების განმავლობაში ექთანი გვიწყვიტავდა, ექთანი რომელსაც ქმარი ნაცელიტის მახინჯმანებს ლამის თავზე „იმასშვებოდა“...

2010 წლიდან 2012 წლამდე კარგად მომზადდა ნიადაგი სასჯელაღსრულების სისტემაში „ტუბის“ ახალი პროგრამით პატიმრების დასაჩმორებლად და დიდი თანხების გასათეთრებლად. ქონდა თუ არა პატიმრებს ტუბი მაინც აღრიცხავდნენ, რათა“ დოცი“ და „დოც+“ პროგრამა წარმატებით შემოსულიყო ჩვენს ქვეყანაში სანდრას პატრონაჟით და ადამიანების გვამებზე და ძვლებზე სიარულით ათეულობით მილიონით შეევსო „ოჯახის“ ჯულაბა. ცნობილია, რომ ტუბერკულოზის დაავადების საშიშროება იზრდება მაშინ, როდესაც იმუნიტეტი დასუსტებულია არასრულფასოვანი კვებით, სტრესებით, ქრონიკული დაავადებებით. ამიტომ ტუბერკულოზისგან დამცველი ძალების გასაძლიერებლად საჭიროა პირადი ჰიგიენის დაცვა, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით მდიდარი საკვები, რეგულარული ფიზიკური დატვირთვა და ასე შემდეგ ასე, რომ ციხე და კოლონია ტუბერკულიოზის გასავრცელებლად და „სახეიროდ“ შესაფერისი ადგილი გახლდათ. 2012 წლის მაისში მედიის საშუალებით“ პიკასო ფერებში“ გავრცელდა ინფორმაცია თუ როგორ გახსნეს საქართველოს

პირველმა ლედიმ სანდრა ელისაბედ რულოვსმა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ახალი კორპუსი, სადაც თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვილი კლინიკა ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმის მქონე პაციენტებს მოემსახურებოდა.სიამაყით განაცხადეს, რომ ცენტრი ყველა იმ სტანდარტს აკმაყოფილებდა, რაც აუცილებელი იყო გადამდები დაავადებების გავრცელების შემცირებისა და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. 97-საწოლიანი საავადმყოფო დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური პერსონალით, რომელთაც ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმის მკურნალობაში სპეციალური გადამზადება გაიარეს. ასევე სიამაყით განაცხადეს, რომ საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამა ფუნქციონირებდა, რომლის ფარგლებშიც, დაავადების დიაგნოსტიკა და შემდგომი მკურნალობა ხორციელდება. პროგრამის ფარგლებში პაციენტები უფასოდ ისარგებლებდნენ მაღალხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით.და ყველაზე საინტერესო - ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის შენობის რეკონსტრუქცია „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია – აღჭურვის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მხარდაჭერით დაფინანსდა. ტუბერკულოზით დაავადებების სტატისტიკამ-ციხეებში სანდრას გააქტიურების შემდეგ მოიმატა. 2010-895 შემთხვევა. 2011-800-შემთხვევა. 2012 წელს 457 შემთხვევა და აღნიშნულ ორ წელიწადში 284 დაწესებულებაში გარდაცვლილი პატიმარი რამდენს სიკვდილის წინა დღეს ან რამდენიმე საათით ადრე უშვებდნენ, რომ მიცვალებული ნაკლებად „დაწეროდათ"

„მაღალკვალიფიციურ პერსონალს" რომ გესტაპოს სკოლა გაატარეს ფაქტია მეც კარგად მახსოვს და მამაკაც პატიმრებსაც ემახსოვრებათ „მაღალკვალიფიციური პერსონალი" თინა მახარაძე კოორდინატორი „ ტუბიდან" რომელიც №6 დაწესებულებაში, დამწყვდეულ საკანში პატიმრებს „დოც+" ფარგლებში „ქსდეარს" ქიმიოთერაპიით „მკურნალობდა". წარმოუდგენელია ქიმიოთერაპიით მიყენებული ტკივილების აღწერა, უჰაერობაში, შესაბამისი კვების და ყურადღების გარეშე, გაუსაძლისი ტკივილით. სანდრას ექსპერიმენტს ციხე კოლონიაში თინა მახარაძე კურირებდა. მე პირადად მქონდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ქონდათ მცდელობა ჩემი ინფიცირების. თუმცა ჯანმრთელი ორგანიზმის წყალობით გადავრჩი. მაშინდელი სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ასათიანი დაწესებულების დირექტორის კაბინეტში მარწმუნებდა რომ იქსდეარით ვიყავი ინფიცირებული არსებობდა ეპიდემიის საფრთხე და საჭირო იყო ჩემი იზოლაცია და სტაციონარში კვლევის გაგრძელება. მაშინ გამიჭირდა დამეჯერებია, რომ ადამიანები ვინც მიშას და სანდრას გვერდით იდგნენ მხოლოდ ცოფიანი მხეცის ინსტიქტით მოქმედებდნენ. გამივრცელეს დეზინფორმაცია რომ ჩემი დაავადება დაფრინავდა, რომ მქონდა ფილტვზე კიბო და რამოდენიმე დღის სიცოცხლე მქონდა დარჩენილი. ძნელია ადამიანმა წარმოიდგინოს ამ ინფორმაციის გაგების შემდეგ რა ემართება პატიმარს, ჯერ ერთი აღარც თავისუფლება უნდა, რადგან ოჯახის წევრები არ დააინფიციროს, ყოველდღიური ქიმიოთერაპიით დაუძლურებლ სხეულს, სულიც გათიშული აქვს და მისთვის ყველაფერი სულერთია იმ გაუსაძლისი ტკივილის ტაყუჩების გარდა, რომელსაც წყვდიადის დედოფალი დატრეინინგებულ ვამპირების დახმარებით ექსპერიმენტების, გამდიდრების და მხეცური ჟინის დასაკმაყოფილებლად გაყენებს... მოკლედ მყისიერად აღმოვჩნდი სანდრას გახსნილ ნაქებ საავადმყოფოში სადაც პატიმრებისთვის სამი საკანი ყოფილ მორგის შენობაში იყო განთავსებული იქ, კიდევ ერთმა დატრეინინგებულმა ექიმმა გვარად (ერისთავმა) მომახსენა რომ დაავადება რომელიც მე მჭირდა არ იკურნებოდა შეიძლება ექვსი თვე მეცოცხლა, ცოტა მეტი ან ცოტა ნაკლებიც. თუმცა სამი წელი უპირობოდ უნდა მიმეღო ქიმიური პრეპარატები. მითხრა რომ ფილტვები უკვე დაშლის ფაზაში მქონდა... უფლებადამცველმა სალომე აბულაძემ საავადმყოფოში გადაყვანიდან მეორე დღესვე მომაკითხა და კატეგორიულად მოითხოვა თოდუას კლინიკაში ჩემი გაყვანა და მაგნიტორეზონანსული კვლევის ჩატარება, დიდი ბრძოლის შემდეგ გამიყვანეს და დასკვნაში „ინატრე ფილტვი" ჩამიწერეს. „ოპერაცია ფილტვს" ყოველდღიურ რეჟიმში ეხმაურებოდა „ობიექტივი"-დან კოტე ინაშვილი." ასავალ-დასავალი" დან ზაზა დავითაია. ასევე ჩაერთნენ ჩემი მეგობრები და ფილტვის ოპერაციის იძულებით გაკეთება ვეღარ გაბედეს. (ვისაც გაუკეთეს დღეს ცოცხალი აღარ არის)თუმცა რუსთავში დამახვედრეს სპეციალურად ჩემთვის აშენებული ციხე - ციხეში. რომლის" დიზაინიც" მისვლისთანავე დავწვი და დავლეწე. ამიტომ ზამთრის გატარებამ ნახევრად დახურულ კარში მომიწია. ერთი თვის შემდეგ უარი განვაცხადე ქიმიური პრეპარატების მიღებაზე, რადგან თერმომეტრზე ტემპერატურა 34 ქვემოთ მიფიქსირდებოდა და აგვისტოში - ვიყინებოდი. წნევა 45/30 ზეც მქონია და ვერაფრით მირეგულირებდნენ. ერთ-ერთმა ექიმმა მირჩია აღარ მიმეღო ქიმიური პრეპარატები რადგან არაფერი მჭირდა და მიზეზი რატომაც მომიგონეს აღნიშნული დაავადება მე უნდა მცოდნოდა.. თინა მახარაძემ გააპროტესტა ჩემს მიერ პროგრამის მიტოვება „დოც+" 55000 ევროთი ფინანსდება (ანუ



მაგ თანხას თითო ადამიანზე თვლიდა) და დამემუქრა ორ თვეში, მკურნალობის იძულების წესით კანონს მიიღებენო და მაშინ კი ვასროლინე კუდით ქვა და ხურდათ ფსიქიატრს ყოველ კვირას მიგზავნიდა არადა მათ მიერ დოზის გადამეტებით დანიშნული.პრეპარატის ანოტაციაში ფატალურ სავარაუდო შედეგთან ერთად ხანგრძლივი დროით ცენტრალური ნერვიული სისტემის დეზორგანიზებაც იყო ნახსენები (ციკლოსერინა). იყო შემთხვევა როცა თერთმეტ პატიმარ ქალს „კოლექტიურად აღმოუჩინეს" ტუბი (ჩემს შემდეგ)თერთმეტივემ გადაამოწმა ადვოკატის დახმარებით და არცერთს არ აღმოაჩნდა. ასე, რომ ჩემს ბრძოლას მიშას და სანდრას სანატორიუმში უშედეგოდ არ ჩაუვლია. იძულებით მკურნალობის დაკანონებას ვერ მოესწრნენ რადგან ორ თვეში ნაცმოძრაობაც დამარცხდა „ტუბის აღმოჩენა" სარფიანი საქმე გახლდათ ნაცბანდისთვის იზოლაციაში აქცევდნენ დაუმორჩილებელ პატიმრებს, ათეთრებდნენ დიდ თანხას, სიცოცხლეს ართმევდნენ ახალგაზრდებს ვითომ მოურჩენელი დაავადების წყალობით, ორგანოებს აცლიდნენ და სად მიჰქონდათ დღემდე გამოუძიებელია...

სამწუხაროდ სააკაშვილის ხროვის მიერ ნაწამებ გაუბედურებულ პატიმრებს, სანდრას სასიკვდილო ექსპერიმენტიც ემატებოდა რის შედეგადაც უამრავმა პატიმარმა დაასრულა სიცოცხლე სიკვდილის ანგელოზების (ბადრაგების)მეთვალყურეობის ქვეშ. რამოდენიმე დღის წინ სოციალური ქსელის საშუალებით ნინო ჯღარკავამ მიშა „მოიკითხა" და შემაძრწუნებელი პოსტი გაავრცელა რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ- „ესეც კინოაა შე ჩასაძაღლებელოო სააკააშვილოო?თამაზ დადვანი.. ყაჩაღობაზე გაასამართლეს, უდანაშაულო იყო, ექსპერტიზები გააყალბეს, ბოლომდე სჯეროდა რომ სიმართლეს გაიტანდა, სულ მეუბნებოდა ციხე ვერ გამტეხავსო, თავს ნუ შეაწირავ მეთქი სულ ვარიგებდი, ვხედავდი შეუპოვარი და პრინციპული იყო... არ ეპუებოდა არ უთმობდა...

უზენაესის განაჩენის შემდეგ მშობლებმა დამირეკეს ძალიან ცუდად არის შედი ნახეო, რომ შევედი სავადმყოფოში იყო, დაბერებული 23 წლის, 50 წლისას გავდა, ფეხზე იდგა ძლივს, მთხოვა ჩემი შეყვარებულის სურათები დამრჩა საკანში ის წაიღონ იქიდან ჩემებმა, დაჟინებით მთხოვდა. რაღაც ტაბლეტებს მასმევდნენო, ბოლოს რომ დავუძლურდი აქ გდმომიყვანესო, მეორე დღეს შევედი, რეანიმაციაშია, ტუბერკულიოზი აქვს არ შეხვიდეო, ნიღაბი მოვითხოვე, არ მოგვცეს, მე და მეორე ადვოკატი, მაია დონაძე ვიყავით ერთად, ექპერტიზისთვის მისი ხელმოწერა მჭირდებოდა, უნდა მენახა... არ ეგონათ მაინც რომ შევიდოდით რეანიმაციაში, გამიკვირდა ასე უცბათ როგორ მოხვდა იქ, კარი შევაღე არავინ იყო, „რენიმაცია" იყო რკინის საწოლზე სასიკვდილოდ გადადებული პატიმრები...

ხმაამოუღბლად, ექიმი ვნახე მისი, თვალები გაუფართოვდა იქ რა გინდოდათო, ვინ შეგიშვათო, ეს არის მეთქი თქვენი რეანიმაცია, მიხედეთ თეთრეული მაინც დუგეთ, წამალი მაინც დაალევინეთ მეთქი... მეორე დღეს დარეკეს ადვოკატთან, დილის ცხრა საათზე გარდაიცვალაო, ახლობლებს გააგებინეთო, მე ვერ ავღწერ იმ ტკივილს ....იმ ზარს, რომლის განხორციელებაც ჩვენ მოგვიწია.... მერე... ის მახსოვს გვამს არ ატანდნენ, ხელის მოწერას თხოვდნენ ახლობელს რომ პრეტენზია არ ქონდათ, ისე არ არ ატანდნენ გვამს.. რაღაც საშინელი მარშუტკა იყო.... ეს თაზო არ არისო მესმოდა ყვირილი, შეცვლილი იყო...

ნანა ლეჟავამ გადაცემაც გააკეთა სადაც მოვყევით რა იყო მათი სანაქებო ციხის რეანიმაცია... რაზეც დაგვიბარა რამოდენიმე ხნის შემდეგ მაშინდელმა სამკურნალო დაწესებულების დირექტორმა და ადვოკატებს შეფარულად დაგვემუქრა....

ალბათ ეს იმის ნახევარია რაც იქ განვიცადეთ და გადავიტანეთ ყველამ ერთად" .-ეს ტაბლეტები სწორედ ის ქიმიური პრეპარატებია რომელსაც დოზის გადაჭარბებით იძულებით ასმევდნენ ჯანმრთელ უტეხ პატიმრებს, აბა ყველას ცემაში ხომ არ დახოცავდნენ, შემდეგ ორგანოებს ჯერ კიდევ თბილი სხეულიდან უღებდნენ და გამწარებულ პატრონს სასწრაფო წესით ხელს აწერინებდნენ, რომ პრეტენზია არ ჰქონდათ. ხო, რეანიმაციაშიც კი, ქალპატიმრებსაც ღამით ფეხზე ბორკილით აბავდნენ. ათი ვირზილა, რომ გადგას თავზე ნაოპერაციევი სად გაიქცევი? მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ფსიქოლოგიური წნეხისთვის იყენებდნენ ამ ფაშისტურ საშუალებას. არადა ძნელი წარმოსადგენია, ტკივილი, ციხე, ოპერაციით გამოწვეული დისკომფორტი და ბორკილი. ნეტა სანდრამ მიშას თვალებში თუ ჩახედა, თუმცა მათი გული და თვალი რამ გაყო ერთი ვამპირის სისხლი უბუყბუყებს ორივეს. საყურადღებოა ერთი ფაქტიც რომელიც ჯერ ტუბის ექთანს „გამოვტყუე" და შემდეგ პირადად გადავამოწმე. მოკლედ სანდრას გახსნილ ოთხმოცდაჩვიდმეტ ადგილიან საავადმყოფოში ვიღაც ხომ უნდა დაწოლილიყო? მცირე რაოდენობის ადამიანების „დაგოიმებაც" მოახერხეს თუმცა უმრავლესობა უბინაო, სოციალურად დაუცველი ადამიანები იწვნენ ღამით ისინი რვა საათზე უნდა დაბრუნებულიყვნენ შემდეგ ალაყაფის კარები იკეტებოდა. აჭმევდნენ დღეში სამჯერ მედიკამენტს არ იღებდნენ, თუმცა მიღებას იქაური წესით ექთანი ესწრებოდა. დღისით გადიოდნენ ტერიტორიიდან თითქმის ყველა გარევაჭრობით იყო დაკავებული. როგორც ზემოთ ავღნიშნე ატიპური ტუბერკულიოზის ფორმა მკურნალობის სამწლიან კურსს ითვალისწინებდა. აღნიშნულის შესახებ რასაკვირველია მედპერსონალიც საქმის ყურში იყო და ტექნიკური პერსონალიც. სანდრას ზეობის ხანაში მიღებული ფორმა იყო რამოდენიმე ადამიანს ათასობით გასამრჯელო, დანარჩენებს კაპიკები ჰოდა სწორედ ექთანმა „გამანდო" საიდუმლო რომელიც შემდეგ გადავამოწმე და სხვა თანამშრომლებმაც დამიდასტურეს და სხვა უტყური ფაქტებიც მოვიპოვე...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30
(გაგრძელება იქნება)

# „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება



### „ქართული ოცნების“ რუსთავის მაჟორიტარობის კანდიდატები მასწავლებლებს შეხვდნენ

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს'' რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრა სკოლებისა და ბაღების მასწავლებლებთან წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გაიმართა.

პაატა მხეიძემ და გიორგი ბეგაძემ ადგილობრივ პედაგოგებს საარჩევნო პროგრამა წარუდგინეს და განათლების სფეროში დაგეგმილი სიახლეები გააცნეს.

„10 წელია, განათლების სისტემაში ვმუშაობ და ვიცი, რამდენად მნიშვნელოვანია ამ ადამიანების ღვაწლი საზოგადოების, ქვეყნის და თითოეული ადამიანის ცხოვრებაში. განათლება ქვეყნის განვითარებაში არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. გამომდინარე აქედან, მომდევნო ოთხ წელს განათლების სისტემაში იქნება ძირეული რეფორმები იმისთვის, რომ განათლების ხარისხი კიდევ უფრო ამაღლდეს“, - განაცხადა გიორგი ბეგაძემ.

რუსთავის 29-ე და 30-ე ოლქების მაჟორიტარობის კანდიდატები, მანდატის მოპოვების შემთხვევაში, პედაგოგებს მეტ მხარდაჭერას დაპირდნენ.

„ქვეყნის სწრაფი განვითარების 4 პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება არის განათლება და ამ სფეროში ძირეული რეფორმებია დაგეგმილი. ჩვენი მიზანია ამაღლდეს მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟი, 2017 წლიდან გაიზრდება მასწავლებლების ხელფასები, დანერგება ახალი სასკოლო პროგრამები და სახელმძღვანელოები“, — განაცხადა პაატა მხეიძემ.

„ქართული ოცნების'' რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს ყოველდღიურად ხვდებიან.

### ილია წულაიას შეხვედრა მოსახლეობასთან

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ დიდუბის მე-16 ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატმა, ილია



წულაიამ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოსახლებასთან მორიგი შეხვედრა დიღმის მასივის IVკვარტალისა და სამტრედიის ქუჩის მაცხოვრებლებთან გამართა. შეხვედრაზე ილია წულაიამ „ქართული ოცნების'' წინასაარჩევნო პროგრამასა და განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა. ასევე, ადგილობრივ მოსახლეობას სამომავლო გეგმები გააცნო.

„ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია თითეული თქვენგანის პრობლემისა და აზრის გაგება. მე თქვენთან არ მოვსულვარ იმისთვის, რომ დაგარწუნოთ - მე მომცეთ ხმა, მხოლოდ არჩევნებამდე გესაუბროთ ლამაზი სიტყვებით და არჩევნების შემდეგ დავიკარგო. 2012 წელი იყო ოცნება და ჩვენ ეს ოცნება აგვიხდა. საქართველოს ისტორიაში პირველად უსისხლოდ, არჩევნების გზით მოხდა ხელისუფლების შეცვლა. თქვენ ეს ყველამ ერთად შევძელით, მაგრამ დღეს არის გადამწყვეტი მომენტი, ნებისმიერ პარტიას აქვს შესაძლებლობა წამოაყენოს თავისი კანდიდატურა და თქვენი თავისუფალი ნებაა თუ ვის მისცემთ ხმას, ვის გამოუცხადებთ ნდობას. თავისუფლება, სწორედ ეს არის ჩვენი მთავრობის, ჩვენი პარტია „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი მონაპოვარი. ჩვენ ყველამ ერთად მოვიპოვეთ თავისუფლება, ახლა კი დროა ყველა ოჯახში შევიდეს კეთილდღეობა.სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე არჩევნებში მონაწილება, რომ ისეთი კანონების ინიცირება მოვახდინო პარლამენტში, რომლის წყალობითაც ყველა ოჯახში შევა კეთილდღეობა“, - განაცხადა ილია წულაიამ.

### კახა კალაძე და დიმიტრი ხუნდაძე წეროვანის დევნილთა დასახლებაში მოსახლეობას შეხვდნენ

პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრები გრძელდება. პარტიის გენერალური მდივანი, კახა კალაძე ქალაქ მცხეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთან, დიმიტრი ხუნდაძესთან ერთად, წეროვანის დევნილთა დასახლებაში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ. შეხვედრაზე ისაუბრეს 4 წლის განმავლობაში ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და ჯანდაცვის სფეროში განხორციელებულ პროექტებზე.

„მთავარია ერთობა ერთსულოვნება და თქვენი გვერდში დგომა, სხვანაირად წარმოუდგენელია ამ პროექტების განხორციელება. ჩვენ ვპირდებით მოსახლეობას, რომ თვისობრივად განსხვავებული ქვეყანა იქნება, განსხვავებული ინფრასტრუქტურით, განსხვავებული შესაძლებლობებით. ეს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ თითოეულმა მოქალაქემ საბოლოოდ იგრძნოს კეთილდღეობა, ყველა ცენტრალური ავტობანი, სოფლის გზები იქნება დასრულებული, ეს ყველაფერი გვაძლევს საქაართველოში, დაახლოებით 200 000 სამუშაო ადგილის შექმნის საშუალებას, ეს რეალური გეგმაა, რასაც აუციულებლად განვახორციელებთ. ჩვენ არ გვინდა არცერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება ისე, რომ ვინმეს დედა, მამა იყოს დაჩაგრული, ეს არცერთი პატარას ცრემლად არ ღირს, ეს საქართველოში არასდროს განმეორდება, ჩვენთვის კანონი უზენაესია“, - განაცხადა კახა კალაძემ

მომავალი საქმიანობის და უკვე განხორციელებული პროექტების შესახებ ისაუბრა დიმიტრი ხუნდაძემ და მოსახლეობას მადლობა გადაუხადა თანადგომისთვის.

„ჩვენ მოსახლეობას დავპირდით სახლების დაკანონებას და ეს შესრულებულია, შევპირდით საბავშვო ბაღის მშენებლობას და შენდება, სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებას დავპირდით და ისიც მოწესრიგდა. ვეტერანებს ჭირდებათ ჩვენი მხარდაჭერა და ვპირდები მათ, რომ ჩემი პარლამენტში შესვლისთანავე შევიტან კანონპროექტს, რათა გაუმჯობესდეს მათი მდგომარეობა, თქვენ ხართ ხალხი, ვინც ყველაზე მეტად იცის მშვიდობის, თავისუფლების ფასი. დღეს უფრო მეტად ძლიერები ვართ. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენს თანადგომას და მჯერა თქვენი მხარდაჭერის“, — განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ

წეროვანის დასახლებაში გამართულ შეხვედრას დევნილ-





თამინისტრი საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი და დუშეთის, მთიანეთისა და ყაზბეგის ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატი, ზაქარია ქუცნაშვილი დაესწრნენ.

### გოგი მეშველიანი სოფელ ფოლადაურის მოსახლეობას შეხვდა

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, გოგი მეშველიანი ამომრჩევლისთვის საარჩევნო პროგრამის გაცნობასა და მათი პრობლემების მოსმენას განაგრძობს.

ამჯერად, იგი სოფელ ფოლადაურის მოსახლეობას ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატთან, დავით შერაზადიშვილთან ერთად შეხვდა.

გოგი მეშველიანმა განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. „განხორციელებული ცვლილებებითა და პროგრამებით, ჩვენმა ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ ადამიანური, პრაგმატული, თითოეული მოქალაქის ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება შესაძლებელია. ჩვენ ქვეყანა სწორი განვითარების გზაზე დავაყენეთ, საფუძველი ჩავუყარეთ წინსვლას. „ქართული ოცნების“ მთავარი მონაპოვარი თავისუფლებაა. თავისუფლების გარეშე არ არსებობს მდგრადი და განვითარებული ეკონომიკა, არ ჩნდება ინოვაციური იდეები. მხოლოდ თავისუფალი ხალხი აშენებს ძლიერ, დემოკრატიულ ქვეყანას და ქმნის კეთილდღეობას“, - განაცხადა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ბოლნისის მაჟორიტარობის კანდიდატმა, გოგი მეშველიანმა.

### ირაკლი ხახუბია მოსახლეობას შეხვდა

„მშვიდობასა და გამარჯვებაზე უკეთესს რას ვუსურვებთ ერთმანეთს?! გამჭრიახი გონება, პოლიტიკური ალღო, ულევი ოპტიმიზმი, გამორჩეული იუმორი, ერთობის შეგრძნება და აზრის თავისუფლება გურულების გენეტიკურ-ისტორიული მონაპოვარია.“ ამ სიტყვებით მიმართა ირაკლი ხახუბიამ გურიაში, ურეკის კულტურის სახლში შეკრებილ ამომრჩეველს. ჯანდაცვის მოქმედი და დაგეგმილი პროექტები, სოფლის მეურნეობის პროგრამები, ადამიანის უფლებები და რეგიონისათვის საჭირო საგზაო ინფრასტრუქტურული გეგმები. ეს არის ის მიმდინარე და სამომავლოდ დაგეგმილი პროექტები რომლებზეც „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ირაკლი ხახუბიამ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ ამომრჩეველთან შეხვედრაზე ისაუბრეს. ირაკლი ხახუბიამ ყურადღება გაამახვილა ბიძინა ივანიშვილის მიერ აშენებული **„Black Sea Arena“-ს** მნიშვნელობაზე რეგიონისათვის. იმას თუ რას ნიშნავს სახელმწიფოსათვის, და კონკრეტულად ამ რაიონის მცხოვრებთათვის ამ პროექტის განხორციელება.“ ბიძინა ივანიშვილის მიერ სახელმწიფოსათვის გადაცემული გრანდიოზული საკონცერტო სივრცე ადგილზე ტურიზის ჩქარი ტემპებით განვითარებას უწყობს ხელს“. ადგილზე ამ სეგმენტის გააქტიურება კი ირაკლი ხახუბიას განმარტებით მოსახლეობისათვის ახალი სამუშაო ადგილებითა და დამატებითი შემოსავლებით აისახება. ქართული ოცნების მაჟორიტარობის კანდიდატი აცხადებს, რომ მმართველი გუნდი ცრუ დაპირებებისა და კამათის ნაცვლად ამომრჩეველის წინაშე წარდგენილი საარჩევნო პროგრამის, სამოქმედო გეგმის საფუძველზე კონკრეტულ ვალდებულებებს იღებს.

„გურულებს მოვლენების სწორად აღქმა და პროგრესისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება გახასიათებთ. ამიტომაც, ყველა დროში ობიექტურად აფასებდით ფოთს. ფოთში მუდამ იყრიდა თავს გურიისა და სამეგრელოს მოსახლეობის ის ნაწილი, ვისაც ამ ქალაქის შესაძლებლობების სჯეროდა და სჯერა. დღესაც, აქ თავშეყრილ საზოგადოებას, ოპტიმიზმი გვაერთიანებს. 8 ოქტომბერს თქვენ ხმა უნდა მისცეთ ფოთის მაჟორიტარ კანდიდატს. 8 ოქტომბერს კვლავ სჭირდება ქვეყანას ჩვენი ერთიანობა პრინციპულ საკითხში, რათა კვლავ მივცეთ ხმა თავისუფლებას, სწრაფ განვითარებას და კეთილდღეობას, რომელიც ერთად უნდა შევქმნათ საკუთარი შრომით და მონდომებით“ – განაცხადა ირაკლი ხახუბიამ.

### ქარელის მჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიორგი თოთლაძე შეხვედრებს განაგრძობს

„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ქარელის მჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიორგი თოთლაძე ამომრჩევლებლებთან შეხვედრებს განაგრძობს. წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გიორგი თოთლაძე ამჯერად ქარელის რაიონის სოფლების — დვანის, ტახტიძირისა და დირბის მოსახლეობას შეხვდა. მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა მოსახლეობას წინასაარჩევნო პროგრამა გააცნო, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, დასაქმებისა და საპენსიო სისტემების რეფორმაზე ისაუბრა. მოსახლეობა დეპუტატობის კანდიდატს სოფლის პრობლემების შესახებ ესაუბრა. გიორგი თოთლაძე მათ ამ პრობლემების მოგვარებას დაპირდა.

### მერაბ ქვარაია – „საზოგადოების განწყობა, ერთიანობა, მხარდაჭერა გვაფიქრებინებს, რომ „ქართული ოცნება“ 8 ოქტომბერს დამაჯერებლად გაიმარჯვებს“

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ქალაქ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მერაბ ქვარაია ცოტნე დადიანის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსების და „ენგურქაღალდკომბინატის“ უბნის მოსახლეობას შეხვდა. ამომრჩეველმა „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინა. როგორც მერაბ ქვარაიამ აღნიშნა, განწყობა, რომელიც დღევანდელ შეხვედრაზეც ნათლად გამოჩნდა, ადასტურებს, რომ „ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვებს. „მოსახლეობასთან ვსაუბრობთ მათ წინაშე არსებული პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ. „ქართული ოცნება“ არის ძალა, რომელიც ამ პრობელმების მოგვარებაზე იზრუნებს. საზოგადოების განწყობა, ერთიანობა, მხარდაჭერა, რომელიც დღესაც ვიხილეთ, გვაფიქრებინებს, რომ „ქართული ოცნება“ 2016 წლის 8 ოქტომბერს დამაჯერებლად გაიმარჯვებს“, - აღნიშნა მერაბ ქვარიამ. მისივე თქმით, მმართველი პარტია გააკეთებს ყველაფერს, რათა ყველა სიკეთე, რომელსაც საზოგადოებისთვის აკეთებს ხელისუფლება, მიიღოს თითოეულმა ზუგდიდელმაც.

### ცოტნე ზურაბიანმა სათბურები დაათვალიერა

„ქართული ოცნების“ წყალტუბოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ცოტნე ზურაბიანმა გეგუთისა და პატრიგეთის თემებში სოფლის მეურნეობის სათბურები დაათვალიერა.



კანდიდატს სათბურები ტარიელ გიგიაძემ და მამია ჩხობაძემ დაათვალიერებინა. ორივე მათგანს წლიდან წლამდე სხვადასხვა სახის ბოსტნეული მოყავთ და როგორც ადგილზე ისე, საზღვრებს მიღმა ჰყიდიან.

„გიგიაძისა და ჩხობაძის ოჯახური ბიზნესი არის საუკეთესო მაგალითი შეღავათიანი აგროკრედიტის ეფექტური გამოყენებისა. ჩვენ გპირდებით, რომ კვლავ გავაგრძელებთ კონკრეტული ინიციატივებისა და პროგრამების ხელშეწყობას, რომელიც დაგვეხმარება სოფლის პროდუქციის წარმოების გაზრდასა და გასაღების ბაზრის უზრუნველყოფაში“, — ამბობს ცოტნე ზურაბიანი.

ასევე ცოტნე ზურაბიანის თქმით, იგეგმება წყალტუბოში მოღვაწე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრა. შეხვედრაზე კანდიდატი ყურადღებას ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამის ეკონომიკურ ბლოკზე გაამახვილებს.

®



# რა ბრალდებას უყენებს გარდაცვლილი პატიმრის ძმა სანდრა რულოვსს?

**„სანდრა რულოვსი, სანამ სააკაშვილს თვალებში ჩახედავს, ჩვენ ჩაგვხედოს და თავისი სიმართლე დაგვიმტკიცოს, თორემ ისეთი გამწარებული ვარ, რომ ჩემს ძმას მიწიდან ამოვთხრი და საარჩევნო კამპანიის დროს საარჩევნო შტაბში მივუსვენებ“.**



„დამტვრეული“ მეგრულით შესრულებული სიმღერა და პირობა, რომ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში აღარ იძალადებენ- სანდრა რულოვსის სავიზიტო ბარათი გახდა. „ძალიან ხშირად მიშას ამაზე ვესაუბრებოდი. მე თვალებში შეგხედავ მეთქი და ნამდვილად უნდა ვიცოდე, რაც მოხდა ცუდი, აღარ განმეორდება. დამჯერეთ, მე აქ არ ვიდგებოდი, თუ არ ვიქნებოდი დარწმუნებული, რომ ძალადობის გამეორება აღარ იქნება“, – განაცხადა კორცხელში, „ნა-



ციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის მაჟორიტარ დეპუტატად წარდგენის დროს სანდრა რულოვსმა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე წლის წინ, მიხეილ სააკაშვილის მეუღლეს რადიკალურად განსხვავებული პათოსი და პოზიცია ჰქონდა. 2004 წელს დანიური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში სანდრა რულოვსმა ბრძანა: „საქართველომ წარმოშვა ძლიერი ლიდერები. სტალინი, ბერია, გამსახურდია. შევარდნაძეც კი შეგვიძლია მივაკუთვნოთ მათ რიცხვს... ამ ლიდერთა თვალთახედვა სცდებოდა საქართველოს ფარგლებს. ჩემი ქმარიც მათ კატეგორიას განეკუთვნება. ის აგრძელებს ამ ტრადიციას. ამ ქვეყანას სჭირდება ძლიერი ხელი. პასუხიმგებლობის გრძნობა ნაკლებია... მე ვფიქრობ, რომ ჩემი ქმარი ზუსტად ის ადამიანია, ვისიც ხალხს უნდა ეშინოდეს, აქ არ არის ლაპარაკი პირდაპირ ფაშიზმზე ან რაღაც მაგდაგვარზე. თუ ვინცობაა მან გამოავლინა რაიმე სახის ექსტრემალური თვისებები, მაშინ მას ამის შესახებ მიუთითებენ.“

დაიჯერებენ თუ არა რამდენიმე წლის წინ“ძლიერი ხელის“ აუცილებლობაზე მოსაუბრე რულოვსის ტრანსფორმაციას ზუგდიდელები, უცნობია, თუმცა ციხეში გარდაცვლილი პატიმრის ძმას დიდი ხანია მისი სიტყვების აღარ სჯერა. გიორგი ჯოლოხავა ყოფილი პირველ ლედისგან მის მიმართ არსებულ ბრალდებებზე პასუხის გაცემას ითხოვს, ხოლო სამეგრელოს მოსახლეობას გონივრული და გააზრებული არჩევანის გაკეთებისკენ მოუწოდებს.

**გიორგი ჯოლოხავა:** წარმოშობით წალენჯიხელი მშენებელი-ინჟინერი გახლავართ. ჩემი ოჯახის პრობლემები 2008 წლის დასაწყისში დაიწყო, როდესაც ჩემი 58 წლის ძმა ვითომ ქურდული ტრადიციების მიმდევრობის ბრალდებით დაიჭირეს. მალე ციხიდან მაცნობეს, თქვენს ძმას ტუბერკულოზი ჭირსო და ორთაჭალის საპყრობილედან ქსანის ტუბზონაში გადაიყვანეს. თავიდან ძალიან გამიკვირდა, რადგან ჩემი ძმა 15 წლის განმავლობაში ჩემთან, თბილისში ცხოვრობდა და ავადმყოფობა არასოდეს შემიმჩნევია. მერე ვიფიქრე, ალბათ ციხის პირობებში გაცივდა თქო, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ეს მისი სიკვდილის მიზეზი გახდებოდა. ქსანში დიდხანს არ გაუჩერებიათ. მალე ციხის საავადმყოფოში, ე.წ. რეზბალნიცაზე გადაიყვანეს.

— **რატომ?**

— არ ვიცი. ჩემი აზრით, ტუბზონა იმას ნიშნავს, რომ ტუბერკულოზით დაავადებულის მკურნალობა იქვე ხდება. რაც ამის შემდეგ მოხდა, მაფიქრებინებს, რომ სრულიად ჯანმრთელი ადამიანი ქსანში იმიტომ გაუშვეს, რომ მისი სიკვდილი ბუნებრივად გამოჩენილიყო. წარმოიდგინეთ, რომ 2008 წლის დასაწყისში დაიჭირეს და 2008 წლის ბოლოს გარდაიცვალა. ეს 11 თვე სულ გადაყვანა-გადმოყვანის რეჟიმში იყო და იმდენად დასუსტდა, რომ ჩემთან შეხვედრაც არ უნდოდა. ალბათ იმიტომ, რომ ასეთ მდგომარეობაში არ მენახა. მხოლოდ ტელეფონით ვკონტაქტობდით და ფულს ვურიცხავდი.ქსანიდან ციხის საავადმყოფოში რომ გადმოიყვანეს, უკვე მომაკვდავი იყო, რაც ხმაზეც ეტყობოდა. ვერ გადავრჩებიო, მეუბნებოდა. ნოემბრის თვე იყო, როცა ციხის საავადმყოფოში ავედი, რომ ძმისთვის ჟანგბადის აპარატი შემეგზავნა. ექიმს ველოდებოდი, როცა დავინახე, რომ საავადმყოფოში სანდრა რულოვსი მობრძანდა. პატიმრების ახლობლები მისი მიმართულებით იწყევლებოდნენ, მაგრამ ისეთი დაცვა ჰყავდა, ახლოს ვინ მიეკარებოდა. ამ ამბიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ ციხიდან დამირეკეს და შემატყობინეს, რომ ჩემი ძმა გარდაიცვალა. ცხედრის წამოსასვენებლად რომ მივედი, ჩემი მანქანით შემიშვეს და არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ისეთი განცდა მქონდა, რომ ცხედრის რაც შეიძლება ჩქარა თავიდან მოშორებას ცდილობდნენ. არც საბუთი მოუციათ და არაფერი. ელვა-შესაკრავიან ტომარაში მოთავსებული ძმის ცხედარი, რომელსაც მხოლოდ სახე უჩანდა, მორგიდან გამოიტანეს და ჩამაბარეს. წალენჯიხაში, დედასთან ასეთ მდგომარეობაში ვერ ჩავიტანდი, ამიტომ ე.წ. არამიანცის საავადმყოფოში წავასვენე და ვთხოვე გვამი მოეწესრიგებინათ. ამ პროცესს თავიდან ბოლომდე დავესწარი. ამაზე საუბარი ძალიან ძნელია, მაგრამ როდესაც გვამი გაკვეთეს, არც ერთი შინაგანი ორგანო აღარ ჰქონდა და ქვიშით იყო სავსე.

— **ამბობენ,რომ ეს ციხეში მიღებული პრაქტიკაა და გარდაცვლილის სხეულის შენახვისთვის იყენებენ. ციხის ადმინისტრაციასთან თუ სცადეთ ამის გარკვევა?**

— თავიდან მეც ასე ვიფიქრე, ამიტომ არაფრის გარკვევა არ მიცდია. ეჭვები მას შემდეგ გამიჩნდა, რაც მედიით გავრცელდა ინფორმაცია სანდრა რულოვსის კავშირებზე ორგანოების ტრანსპლანტაციასთან. ამასწინათ, ინგა გრიგოლიას გადაცემაში ლალი მოროშკინას ვუსმინე და ეს ეჭვი უფრო გამიმძაფრდა. ნათქვამია, რომ კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება, ამიტომ მაშინვე თვალწინ დამიდგა ციხის საავადმყოფოში მოსული სანდრა. პატიმრის მოსანახულებლად არ მოვიდოდა და რატომ დადიოდა „რეზბალნიცაზე“? არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ სადაც კი ამ ქალბატონმა ფეხი დაადგა, ყველგან ორგანოების ტრანსპლანტაციასთან მის კავშირებზე ალაპარაკდნენ. უკვე მთელი უკრაინა ამაზე საუბრობს და ყველას ეჩვენება? ბოლოს და ბოლოს, ამ ამბავს ნათელი ხომ უნდა მოეფინოს? ჩემს ძმას ერთ წლიწადში ნერვიულობით დედაჩემიც მიჰყვა და ვინ იცის, ჩვენისთანა კიდევ რამდენი გამწარებული ჭირისუფალია. სანდრამ სანამ სააკაშვილს ჩახედავს თვალებში, ჩვენ ჩაგვხედოს და თავისი სიმართლე დაგვიმტკიცოს, თორემ ისეთი გამწარებული ვარ, რომ ჩემს ძმას მიწიდან ამოვთხრი და საარჩევნო კამპანიის დროს საარჩევნო შტაბში მივუსვენებ. ამ ქალბატონის პარლამენტში შეყვანა მისთვის დეპუტატის იმუნიტეტის მინიჭებას და ყველა დანაშაულის პატიებას ნიშნავს. რა თქმა უნდა, დეპუტატის იმუნიტეტით აღჭურვილს უბატონოდ ხმას ვერავინ გასცემს და ყველაფერი ეპატიება. ჩემთვის წარმოუდგენელია, რომ ადამიანები, რომლებმაც ამდენი უბედურება დაატრიალეს, დღეს ისევ ხელისუფლებაში მოსვლას ცდილობენ და ამას ჩემი მშობლიური კუთხის დახმარებით აპირებენ. ზუგდიდს მოაზროვნე და განათლებული ადამიანები არასოდეს აკლდა და ვფიქრობ, უნდა ხვდებოდნენ, რომ სანდრა რულოვსის არჩევა სამეგრელოს სირცხვილი და ისეთი შავი ლაქა იქნება, რომელსაც ვერასოდეს ჩამოვირეცხავთ.

გარდაცვლილი პატიმრის ძმის ბრალდებებზე კომენტარისთვის ქალთა ორგანიზაცია „ძლიერი ქალი-ძლიერი სახელმწიფოს“ ლიდერს **ლალი მოროშკინას** დავუკავშირდით:



— ამ ადამიანის ძალიან კარგად მესმის, იმიტომ, რომ არა ერთი პატიმრისგან მსმენია ციხეში სანდრას ვიზიტების შესახებ, რაც საეჭვოდ ემთხვეოდა პატიმრების გარდაცვალებას. როგორც ეს ადამიანები ამბობდნენ, მოდიოდნენ უცნობი ადამიანები, რომლებსაც ლითონის ყუთებით რაღაცეები გაჰქონდათ. ასეთი ჩვენება ძალიან ბევრია და მათ დაოქმებული სახით ვაბარებდი ციხის ადმინისტრაციაში, რომ საგამოძიებო ორგანოებში გადაეგზავნათ. ჩემი წიგნი „გისოსებს მიღმა“, რომელიც 2011 წელს

გამოვიდა, სწორედ პატიმრებისა და თვითმხილველების ნაამბობზეა აგებული და მე არაფერი დამსიზმრებია. სხვათა შორის, იმ პერიოდში სასჯელაღსრულების მინისტრს ხათუნა კალმახელიძეს ვკითხე რატომ ხდება, რომ სრულიად ჯანმრთელ პატიმარს ცოტა ხანში ტუბერკულოზი ემართება, იღუპება და მისი ორგანოები ქრება თქო და ცინიკურად მიპასუხა, რამდენ ვიღაცას ჰაერი არ ეყო და რაღაცა მოუვიდა, მე პასუხი როგორ ვაგოო. აი ეს ადამიანი დღეს არც დაჭერილია, არც დაკითხული და საერთოდ არსად ფიგურირებს. ყოველთვის ვცდილობ, რომ არ დავარღვიო უდანაშაულობის პრეზუმფცია, მაგრამ არსებობს ფაქტები, რომლებსაც შესწავლა ჭირდებათ. როდესაც ყოფილი პირველი ლედის სახელს ამდენი ეჭვები უკავშირდება, როდესაც არსებობს ჩვენებები პროკურატურაში, როდესაც „ვიკილიქსი“ აქვეყნებს ჩანაწერებს, სადაც სააკაშვილი ადეიშვილს ეუბნება, რომ სანდრას პირველ ხუთეულში შეყვანა არ ღირს, იმიტომ, რომ ცუდ რაღაცეებთან ასოცირდება, პროკურატურას სულ მცირე, იმის სურვილი მაინც უნდა გაუჩნდეს, რომ გარდაცვლილი პატიმრების მშობლებს მოუსმინოს.

— **საპარლამენტო არჩევნებამდე ერთ თვეზე ნაკლები დრო დარჩა. ასეთ მცირე დროში გამოძიების დაწყება და დასკვნების გამოტანა როგორ წარმოგიდგენიათ?**

— **ვფიქრობ, გამოძიების დასრულებამდე სანდრა რულოვსის წარდგენა უნდა შეჩერდეს. მით უმეტეს, სიაში მისი ყოფნა საერთოდ წარმოუდგენელია.. არსებობს პირდაპირი მტკიცებულებები ვინ იყო ციხის ჯალათი და ვინ აცლიდა გარდაცვლილ პატიმრებს ორგანოებს, ამიტომ, ჩემი აზრით, ახლა თავად ჭირისუფლებმა უნდა გამოიჩინონ ინიციატივა და პროკურატურას მიმართონ.** მე ვიცი, რომ ხელისუფლების შეცვლისთანავე, ამ თემასთან დაკავშირებით, პროკურატურაში ძალიან ბევრი საქმე წავიდა, მაგრამ ეს პროცესი 2012 წელშივე შეჩერდა. ამიტომ მხოლოდ იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს, ვინც ამ საშინელებას ჩადიოდა, არამედ იმათი ვინაობაც უნდა გაირკვეს, ვინც ეს პროცესი დაამუხრუჭა. ამის შემდეგ იმდენად გათავხედდნენ, რომ სანდრა რულოვსის პარლამენტში შეყვანის სურვილი გაუჩნდათ. ამ ადამიანმა რომ საქართველო სტრასბურგსა და ბრიუსელში წარადგინოს, გაუგონარი ცინიზმი და დანაშაული იქნება იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც უსამართლოდ იჭერდნენ, აწამებდნენ და ხოცავდნენ.

ნელი თორდია
571 35 36 88

# რატომ არის სიმშვიდე იქ, სადაც „რესპუბლიკელები“ არიან?

„რესპუბლიკელების“ მადა და მედროვეობა ახალი თემა არ გახლავთ, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი ზღვარი... მაშინ, როცა 2016 წლის აგვისტომდე საქართველოს მთავრობაში სამი „რესპუბლიკელი“ იყო და პარლამენტში, „ქართული ოცნების“ შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი ფრაქცია ჰქონდათ, საუბარი იმაზე, რომ თურმე, ცუდიდან უარესობისკენ მივდივართ, ცოტა არ იყოს, უნამუსობა და თვალებში ნაცრის შეყრაა.



იქ, სადაც არიან რესპუბლიკელები, შეიძლება იყოთ ძალიან მშვიდადო, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა... ოლიმპიური სიმშვიდით გადევნებდით თვალს ოთხი წლის მანძილზე, ბატონო დავით... აჰა და კონსტიტუცია არ მოგწონდათ და შეცვლას აპირებდით, მაგრამ მარგველაშვილისადმი სიყვარულმა, თუ რაც ჰქვია, გადაგწონათ... კოალიციაში თავს კარგად და კომფორტულად ვგრძნობთო, გვაიმედებდით, მაგრამ, მოახლოვდა არჩევნები და პირში წყალი გვქონდა ჩაგუბებული სამწელნახევარიო...ახლა თუ ვთქვითო... იმისთანას ვიტყვითო...

პირში ჩაგუბებულო წყალსა თუ ჯიბეში ჩაბუდებულ ფულზე საუბარი არ გვინდა, შორს წაგვიყვანს, მაგრამ, აბა, რას იქადნებით, რა გაქვთ სათქმელი, თქვით და თქვენც დაისვენებთ და ჩვენც...

თუ რამე უნდა თქვათ, ახლა არ მოგწონთ და მუდამ აქილიკებთ, ცვლილებების შეტანა შეგეძლოთ და არ შეიტანეთ...

ახლაა დრო, თქვათ, რას ინახავთ გულის კუნჭულში...

მაგრამ, ეტყობა, არაფერი გაქვთ სათქმელი, თორემ იტყოდით, ვინ ან რა დაგაკავებდათ? და ეს თქვენი უკუდო დაქადნება იმ ზღაპარს მაგონებს: მთვარიანი ღამე არ არის, თორემ დავიმალებოდიო...

არაო, უსუფაშვილმა, ტყუილი ეგაო, რას ჰქვია თითი თითზე არ დაგვიდია პარლამენტში ყოფნის დროსო, რას ჰქვია საქმე არ გვიკეთებიაო, გვედო თითი თითზეო... თითის თითზე დადება კი არ შველის მარტო, ბატონო, პაწე უნდა გაასავსავო ის თითები კიდეც, ცოტა მაინც რომ ეშველოს საქმეს... საერთოდაც, დავანებოთ ამ თითებს და ხელისგულებს თავი, კი, ბატონო, გედოთ თითები იქ, სადაც საჭირო იყო, გვჯერა, გვჯერა... მაგრამ საქმე გვინდა ვნახოთ თქვენი გაკეთებული, მაინც რას გვამადლით და რითი ვართ ვალში, იმის ნახვა გვსურს, თორემ, ახლა, ნაცარქექიასაც კი ედო ხოლმე თითი თითზე ნაცრის ქექვის დრო მაგრამ, რა გაქექა რო?

კანონებს თუ იღებდით, გენაცვალე, მოსმენებზე, ფარულ ჩაწერებზე თუ კანონპროექტებს ადგენდით — ნუ, როგორც დაზარალებული, როგორც მხარე, ამას უფრო ასეთი შავი ლაქა, არც ჩემს ცხოვრებაში ყოფილა არასოდეს, არც ერის ცხოვრებაშიო...

ახლა, ყველა აწეულ ფეხს თუ ერს დავაბრალებთ, გაწყდება ამდენი ცოდვის ზიდვით ერი და ცოდოა...

კადრები შემაძრწუნებელი იყოო, უნდა გამომჟღავნდეს, ვინ უყურებდა და ვინ ერთობოდაო... არა, ვინ ერთობოდა — ეგ ვნახეთ უკვე და ვინ უყურებდა, ეგ გაგერკვიათ, ბატონო, მე ვიყავი პარლამენტის თავმჯდომარე, მე მქონდა ფრაქციები, თუ მე მქონდა ენა ზურგზე გადადებული ოთხი წლის წინ და უკეთეს ქვეყანასა და კონსტიტუციას მე გპირდებოდით, თუ რაშია საქმე?!

ეჰ, გაუჭირდათ რესპუბლიკელებს... ძალიან გაუჭირდათ... ისე



უნდა თქვათ, ახლა, როცა გეუბნებიან, რომ რესპუბლიკური პარტია მატერიალური უზრუნველყოფის გამო შეუერთა კოალიციას და თბილი სკამების დატოვება გიჭირთ, იმ სკამების, რომლებიც ხალხის მხარდაჭერით კი არ მოგიპოვებიათ (არ გქონდათ ხალხის მხარდაჭერა და იმიტომ), იმ სკამების, რომლებზეც საქმის საკეთებლად დაგსვეს...

ახლა, როცა გეუბნებიან, რომ „რესპუბლიკელები“ საკუთარი ცხვირის იქეთ (და მინდა გითხრათ, ძალიან მოკლე ცხვირი გქონიათ) ვერაფერს ხედავთ და ქვეყნის ბედიღბალი წიხლზე გკიდიათ... ახლა, როცა კაცობასაც კი გიწუნებენ, არათუ პოლიტიკოსობას...

ახლა, როცა მიგითითეს, რომ იმ კონსტიტუციაში, რომელიც ასე საკუთარი ოჯახის გადასარჩენად აკეთებდით და მე თუ არ გადამახდევინებთ ამ კანონების ვალს, კარგს იზამთ...

ინგა გრიგოლიას გადაცემაში ბრძანდებოდა სტუმრად ბატონი დავითი... დაზარალებულებზე ჰკითხა ინგამ... აი, იმ დაზარალებულებზე, სექსი რომ ჰქონდათ ვიღაც-ვიღაცეებთან გათხოვილ ქალებს... იმ დაზარალებულებზე, ქმარიც რომ ჰყავდათ, საყვარლებიც და კიდევ ბიჭუნები... მერე რომ ვიდეობი დაიდო, ზოგის ვიდეო კარგად გაზიარდა, ზოგის ვიდეო დადებითანავე აიღეს და გააქრეს... ჰოდა, ამ დაზარალებულებზე ჰკითხა ინგამ ბატონ დავითს და ბატონმა დავითმა თავი ჩაქინდრა: ბევრი საშინელება გამომივლია, სამოქალაქო ომიც ვნახე, მაგრამ გაუჭირდათ ოკეანის გამოღმა მოკავშირეს პოვნა, რომ ოკეანეს გასცდნენ და ამერიკული ჯარის ბაზებს განვათავსებთ საქართველოშიო — დაგვპირდნენ თუ დაგვაშინეს... სად გაგონილაო, სადაო, პარტიამ, ან პოლიტიკოსმა რომელიმე ქვეყნის ჯარი მოიწვიოსო?

მეტი საქმე არა აქვს, ამერიკის ჯარს თავქუდმოგლეჯილი გამორბის, უსუფაშვილი მეპატიჟებაო, პრინციპში, ისევე, როგორც პუტინს არა აქვს მეტი საქმე, რუსული პენსიები დაარიგოს საქართველოში...

ან ნატოს ჯარი მაინც გეთქვათ, რაღა ამ ამერიკას მიასკდით... თქვენს გარდა, არავინ იცის ინგლისური, თუ როგორაა საქმე? პრინციპში, სანამ ამერიკელებს თქვენს ნათქვამს გადაუთარგმნიან, არჩევნებიც დასრულდება და მერე მათი პასუხი უკვე უინტერესოა, ჰო?

ან, ქვეყანაში როცა უკანონოდ გყავს დაბანაკებული რუსის ჯარი, ამერიკის ჯარი შემოგყავს? და იმ ტერიტორიებს რას უპირებ? სამუდამოდ კარგავ? ან, სანამ ამერიკის ჯარი დაბანაკებას მოასწრებს, რუსი დაგაცდის და გაგიღიმებს? პოლიგონად გინდათ იქცეს საქართველო?

ისე, თქვენ თუ პარლამენტში ისხდებით, გარეთ გინდ პოლიგონი ყოფილა, გინდ საციგურაო მოედანი, გინდ შიმშილი და გინდ სიცივე... მთავარია, ყველანი მშვიდად ვიქნებით, იმიტომ რომ, როგორც ბატონი დავითი ბრძანებს, სადაც რესპუბლიკელები არიან, იქ სიმშვიდეა...

რა ვქნა, კიდევ ერთი ანეგდოტი გამახსენა ამ ძალადსიმშვიდემ: ექიმ ცოლს ქმარი სთხოვს: სანამ სამსახურში წახვალ, ფაღარათის წამალი დამიტოვეო, ცოლიც დაუტოვებს. სამსახურში მისული ქალი აღმოაჩენს, რომ, ქმარს პაციენტისთვის გადადებული ძლიერი, დამამშვიდებელი საშუალება დაუტოვა შეცდომით და აღელვებული ურეკავს: საყვარელო, ფაღარათის წამლის მაგივრად დამამშვიდებელი აბი მომიცია და აბა, როგორ ხარო? ქმარი მშვიდია, როგორც არასდროს — კარგად ვარ ძვირფასო, კი ჩავისვარე, მაგრამ არ ვნერვიულობო...

ჰოდა, თუ თქვენი ოთხწლიანი მუშაობა ასე უნაყოფოა, რომ ცუდიდან უარესობისკენ მივდივართ; თუ მაინც ვერ მოერიეთ იმ კონსტიტუციას, რომელსაც გარედან ამდენი წელი ემუქრებოდით, მანდამდე თუ მოვედი, ჰაი, ჰაიო; 35 წელია, თუ ის მაინც ვერ დაიმახსოვრეთ, რომ არ გყავთ, ბატონო, ამომრჩეველი, არ გყავთ; თუ ქართველი საზოგადოება ისეთი ბნელი გგონიათ, რომ ამერიკის ჯარით მოაწონებთ თავს ან დააშინებთ; თუ იმ ადამიანის ლანძღვა გგონიათ გმირობა, ვინც საშუალება მოგცათ საქმე გეკეთებინათ და ასე შემდეგ უსასრულოდ — ჩასვრა ჰქვია მაგას, პაწე კუთხურად რომ გითხრათ და რაღა გამშვიდებთ, გენაცვალე, რაღა არ განერვიულებთ???

თამუნა კუშელავა
555 46 08 04

# „პუსტა-პუსტა" კაცი

**ირაკლი ოქრუაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა და თავდაცვის მინისტრადაც კი მოგვევლინა „მხედართმთავრის" როლში, სინამდვილეში მაინც „პუსტა-პუსტა" კაცია და ასეთად დარჩება სიცოცხლის ბოლომდე**



ყოფილი ნაციონალი რომ არ არსებობს (ისევე, როგორც არ არსებობს ყოფილი „კაგებეშნიკი"), ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში, ეტყობა, მას შემდეგ დარწმუნდა, რაც მისმა „დიდმა" მეგობარმა ირაკლი ოქრუაშვილმა საჯაროდ განაცხადა, ეგ ტელევიზია რეალურად მე მეკუთვნის და ამის დამადასტურებელი ხელშეკრულებებიც არსებობსო. ამ „აღიარების" შემდეგ ბუნებრივად გაჩნდა კითხვა, თუ მართლაც თქვენ გეკუთვნოდათ ბატონო ოქრუაშვილო, აქამდე რატომ იყავით გასუსული, როცა ხალვაშსა და „რუსთავი-2"-ის დღევანდელ მფლობელებს შორის სასამართლო დავამ, მარტო საქართველო კი არა, ლამის მთელი მსოფლიო შეაზანზარა? ამ ლოგიკურ კითხვას, ირაკლი ოქრუაშვილმა ინგა გრიგოლიას გადაცემაში ასეთი პასუხი გასცა: ადგილობრივ დონეზე სასამართლო დავა რომ



დასრულდებოდა, მერე ვაპირებდი სიმართლის გაცხადებასო. „სიმართლის გაცხადების" დაჩქარებაში დიდი როლი ვიცე-პრემიერ კახი კალაძეს, თურმე, უთამაშია, რომელმაც არ „გაითვალისწინა" ოქრუაშვილის პირობა, გორის საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც მისი პარტიის წევრია, არ შეეხოთო და ბატონი მეტრეველი თანამდებობიდან გადაუყენებიათ. სხვათა შორის, ინგა გრიგოლიაც დაინტერესდა, არ ფიქრობთ, რომ თქვენი ეს განაცხადება შანტაჟს გავსო, თუმცა ოქრუაშვილს ასე არ ეჩვენება. მე არ ვიცი, ვის რა ეჩვენება, მაგრამ ოქრუაშვილის განცხადებას რომ შანტაჟის სუნი უდის, აშკარაა.

ჩვენ არ მოვყვებით ოქრუაშვილსა და ხალვაშს შორის მტყუან-მართლის გარკვევას, ეს არც არის წინამდებარე სტატიის მიზანი, უბრალოდ ბიზნესმენ ხალვაშის ადვოკატის, პაატა სალიას კომენტარს შემოგთავაზებთ, რომ მისი მარწმუნებლის განცხადებით, ზემოხსენებული ხელშეკრულება ბუნებაში არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, ხალვაშს ამგვარ დოკუმენტებზე ხელი არ მოუწერია. სანამ ხელშეკრულებისა და კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნის ორიგინალებს არ გავეცნობით, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, ოფიციალური დავის შემთხვევაში, ოქრუაშვილს აუცილებლად მოუწევს ამ დოკუმენტაციის წარმოდგენაო, განგვიცხადა პაატა სალიამ.

საკითხავია, საიდან ჰქონდა ის მილიონები ბატონ ოქრუაშვილს, რომელიც ასესხა ხალვაშს, თუ როგორც იყო, მას 2000 წელს ეროსი კიწმარიშვილიც „გადაურჩენია", რა ბიზნესი ჰქონდა ამისთანა, მით უმეტეს, რომ 90-იანი წლების მიწურულიდან, საჯარო მოხელე გახლდათ, მაგრამ მან ამ ეტაპზე პასუხისგან თავი შეიკავა. ისე, ოქრუაშვილის ტელეინტერვიუმ, საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილში „აღიარებითი ჩვენების" შთაბეჭდილება დატოვა.

ოქრუაშვილის „საქმენი საგმირონი" ამერიკულ ენერგოკომპანია „ეიიეს"-თან გაფორმებული კაბალური ხელშეკრულებით იწყება, ამ ხელშეკრულების შემდგენ-შემოქმედი სწორედ იურისტი ოქრუაშვილი გახლდათ. ამ კომპანიის ქართული ენერგობაზრიდან განდევნასა და რუსული „რაოესით" ჩანაცვლებასაც ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორებს უკავშირებდნენ, ხალხი მაშინ იმასაც ამბობდა, მოქკავშირის ახალგაზრდულ ფრთას რომ ჰკითხო, პროდასავლელები არიან, პრაქტიკულად კი რუსეთის ინტერესები გაატარესო, ყოველ შემთხვევაში მათი მაშინდელი პროტესტი არავის ახსოვს. ოქრუაშვილი მეორედ მაშინ გახდა „პოპულარული", როცა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა, ბარათაშვილის ხიდთან სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა საგზაო პოლიციის ოფიცერს, თანაც მამისტოლ კაცს. იმ პერიოდში ბატონი ირაკლი იუსტიციის მინისტრის მიხეილ სააკაშვილის მოადგილე გახლდათ. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ პრეზიდენტის გავლის დროს ამ მარშრუტზე სხვა ავტოტრანსპორტს მოძრაობა ეკრძალებოდა, მაგრამ „რეფორმატორმა" მინისტრის მოადგილემ სხვებთან გატოლება იუკადრისა. პოლიციელის მოთხოვნის დაუმორჩილებლობისთვის, მით უმეტეს მისი ფიზიკური შეურაცხყოფისთვის ამ ბატონს პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, მაგრამ ეს საქმე „ჩაფარცხეს". კონტროლის პალატის ყოფილი შეფი, აწ განსვენებული სულხან მოლაშვილი რომ სააკაშვილის პირადი პატიმარი იყო და მისი მაქინაციების გამომზეურებას ემსხვერპლა, ვფიქრობთ, ნაციონალებისა და მისი სატელიტების გარდა, არავინ დავობს. კონტროლის პალატამ, რომელსაც სახელმწიფო უწყებების ფინანსური კონტროლი ევალებოდა, იმ პერიოდის აუდიტიც ჩაატარა იუსტიციის სამინისტროსა და დედაქალაქის საკრებულოში, როცა ამ უწყებებს მიხეილ სააკაშვილი ხელმძღვანელობდა და იქ ძალზე სერიოზული ფინანსური დარღვევები აღმოაჩინა, დადგინდა, რომ მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ვითომდა ხმალამოღებული ებრძოდა კორუფციას, თვითონაც ყურებამდე იყო გარეული ბინძურ მაქინაციებში. ბატონი ოქრუაშვილი სააკაშვილის შეფობის დროს, ერთგან მინისტრის მოადგილე ბრძანდებოდა, მეორეგან კი საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სულხან მოლაშვილთან ერთად მაშინ კონტროლის პალატის რამდენიმე თანამშრომელიც დაიჭირეს, რომლებსაც მოლაშვილი საწინააღმდეგო ჩვენების მიცემას აიძულებდნენ, ვინც „თანამშრომლობაზე" არ დათანხმდა, გისოსებს მიღმა გამოამწყვდიეს. რამდენიმე ხნის წინ ერთ-ერთმა რეპრესირებულთაგანმა, კონტროლის პალატის საგანგებო დავალებათა სამმართველოს ყოფილმა უფროსმა გოჩა ჩაგელიშვილმა ინტერნეტგამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა როგორ აიძულებდნენ თავისუფლების სანაცვლოდ სულხან მოლაშვილის დადანაშაულებას, როგორ გააქრეს „ვარდოსნებმა" ამ უწყების არქივი და ა.შ. სააკაშვილის მინისტრობისას იუსტიციის სამნისტროც ჩაგელიშვილის სამსახურს უნდა შეემოწმებინა, მაგრამ დატვირთულობის გამო, მათ ამის გაკრთება ვერ შეძლეს, ამიტომ გეგმიური შემოწმება იმ დეპარტამენტმა განახორციელა, რომელიც ძალოვან სტრუქტურებს უწევდა კონტროლს, დარღვევებიც (მითვისება და სხვა ფინანსური დარღვევები) მათ აღმოუჩენიათ. ეტყობა იმდენად სერიოზული და მასშტაბური დარღვევები იყო, რომ სააკაშვილი ამ შემოწმების მერე, თურმე ერთი თვე იმალებოდა. ჩაგელიშვილი მოლაშვილის დაპატიმრებიდან რამდენიმე თვეში დააკავეს, როცა იგი უკვე წამოსული იყო კონტროლის პალატიდან.

მოლაშვილის დაჭერამდე ვმსჯელობდით, როგორ შეგვენარჩუნებინა კონტროლის პალატის არქივი, ქსეროასლების გადაღებასაც ვაპირებდით, რადგან ძალიან ღირებული მასალა იყო, მაგრამ, რომ დავითვალეთ, ოთხი მილიონი ფურცელი აღმოჩნდა, მათი ასლების გადასაღებად არც რესურსი გვქონდა და არც ტექნიკაო, – ამბობს ოქრუაშვილი. ჩაგელიშვილი იხსენებს როგორ მიიყვანა ნაცხელისუფლებამ ორი სატვირთო „კამაზი" კონტროლის პალატასთან, რომლებშიც აღურიცხავად ყრიდნენ დოკუმენტაციას. როგორც ჩანს, ნაციონალებმა ჯერ თავიანთი საწინააღმდეგო მტკიცებულებები „გააქრეს" და მერე გულმოცემულებმა შეუტიეს კონტროლის პალატის შეფსა და მის მოუსყიდველ თანამშრომლებს.

„საერთო გაზეთი" კონტროლის პალატის ყოფილ თანამშრომელს გაესაუბრა, რომლის ვინაობის გამხელისგანაც ობიექტური მიზეზების გამო, ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ, ის სააკაშვილის საკრებულოს თავმჯდომარეობის დროს უზარმაზარი თანხების გადახარჯვაზე საუბრობს, ეს ძირითადად საწვავსა და მობილურ ტელეფონებს ეხება. საინტერესოა, ისეთ რა „მარშრუტებს" ასრულებდნენ ან რა „სახელმწიფოებრივ" საქმეებს აგვარებდნენ მობილური ტელეფონით სააკაშვილი და მისი მარჯვენა ხელი ოქრუაშვილი, ტონობით საწვავს რომ „მოიხმარდნენ" და დღეში თითოეული 1000 ლარზე მეტს რომ ხარჯავდა სატელეფონო საუბარზე. ჩვენი წყარო ციხის ბუნტის პერიოდს იხსენებს, მაშინ თვითონაც პატიმარი იყო, როგორ გამობრძანდა ბატონი ოქრუაშვილი თავდაცვის მინისტრის რანგში განცხადებით, თუ პატიმრები არ დაშოშმინდებიან, ციხეებში ჯარს ჩავაყენებ, მერე მარტო „დუბინკა" კი არა, ტყვიებიც იქნებაო. საქმიანი ურთიერთობიდან გამომდინარე, რამდენჯერმე შევხვდი ოქრუაშვილს, მართალია, ბაჩო ახალაიას დონეს ვერ „ქაჩავს", მაგრამ სადისტურ თვისებებს არც ეგ უჩივისო, აცხადებს წყარო.

თუ გავიხსენებთ ირაკლი ოქრუაშვილის შიდა ქართლის გუბერნატორობის პერიოდს, რომელიც იმით დაამახსოვრა საზოგადოებას, როგორ „ებრძოდა" ე.წ. ბორდელებს, ისე, კაცმა რომ თქვას, რა გუბერნატორის საქმე იყო ვითომდა პროსტიტუციასთან ბრძოლა, გავიხსენებთ ავადსახსენებელ ტელედაჭერებს, როცა ხალხს საძინებლებში უვარდებოდნენ და ნიფხავ-პერანგის ამარა გამოყავდათ ტელეკამერების წინ, რომელთა „შემოქმედებასაც" სწორედ ბატონ ოქრუაშვილს „ბრალდებდნენ", ვფიქრობთ, ჩვენი რესპოდენტის მიერ გაკეთებულ შეფასებაში ეჭვი აღარ შეგეპარებათ.

სწორედ ოქრუაშვილის შს მინისტრობის დროს გამოჰყარეს ამ უწყებიდან ათასობით პროფესიონალი, რომლებიც ქუჩაში მოკრეფილი საეჭვო კადრებით ჩაანაცვლეს. ბუტა რობაქიძის მკვლელობაც და პატრულის „პრესტიჟის" შესანარჩუნებლად მისი კრიმინალად



გამოცხადებაც ოქრუაშვილის №1 პოლიციელობის პერიოდს უკავშირდება. თბილისი მაინც პატარა ქალაქია და ყველამ გაიგო, როგორ მიუცვივდნენ ფორმიანები ბუტას მამიდას, რომელმაც გაბედა და რომელიღაც ჩინოსანს დაურეკა, ხომ მოგვიკალით ბუტა და ყაჩაღობას რაღას აბრალებთო. ეს ყველაფერი თავის დროზე ჩემთან ინტერვიუში აქვს ნათქვამი ბუტას ბაბუას, აწ გარდაცვლილ ამირან რობაქიძეს და არც ამ სტატიის მოძიებაა პრობლემა.

მოგვიანებით, სააკაშვილის „მარჯვენა ხელმა“ ოქრუაშვილმა ოპოზიციონერის მანტია მოისხა და 2007 წლის სექტემბერში ტელეიმედით შთამბეჭდავი გამოსვლისას, ისიც ბრძანა, ერთი ნაბიჯი გვაშორებდა საქართველოს ერთ-ერთი დაკარგული ტერიტორიის დაბრუნებას, რომ არა სააკაშვილის უუნარობა და სიმხდალე: ხელისუფლების დაკარგვის შიშით შეპყრობილმა სააკაშვილმა ვერ მიიღო პოლიტიკური და ისტორიული გადაწყვეტილებაო. მიხეილ სააკაშვილი რა „უშიშარი გმირიც“ არის, ყველას კარგად მოგვეხსენება ბატონო ირაკლი, მაგრამ 2004 წლის ზაფხულის „ჰუმანიტარულ შტურმად“ მონათლული სამარცხვინო ასე ვთქვათ, საბრძოლო ქმედებაც მწარედ გვახსოვს, რომელმაც 15 ქრთველი ვაჟკაცის სიცოცხლე იმსხვერპლა, არც ცხინვალის ცენტრში დაჩოქებული ჩვენი პოლიციელები დაგვვიწყებია. ეს ყველაფერი





ხომ თქვენს სინდისზეც არის, ბატონო ოქრუაშვილო და იმის ნაცვლად თავი ჩაღუნოთ და მორიდებით იქცეოდეთ, ტელეეკრანებიდან გაფხორილი გვიბღვერტ ხოლმე, თითქოს საქართველოს თქვენი პროცენტიანი ვალი ჰქონდეს. ეგ თქვენი „საქართველოს გაერთიანების“ მცდელობაც რომ იმავე შედეგით დამთავრდებოდა, როგორითაც 2008 წლის აგვისტოს ომი დამთავრდა, არც მაგაში გვეპარება ეჭვი. ამიტომ ცრუბაქიაობა საჭირო არ არის.

„იმედის“ ეთერში ოქრუაშვილის ხსენებულ გამოსვლას, მიხეილ სააკაშვილმა „თავისებურად“ უპასუხა, მას თავდაცვის მინისტრობისას ქრთამის აღებაში, ფულის „გათეთრებასა“ და სამსახურებრივ გულგრილობაში დასდო ბრალი და დაიჭირა. სულ მოკლე დროში, ნიკა გვარამიას პროკურატურამ ირაკლი ოქრუაშვილის ვიდეო-აღიარება გაავრცელა, სადაც ირაკლი-ბატონმა ხელისუფლებისადმი წაყენებული ყველა ბრალი უკან წაიღო და თავად აღიარა წაყენებული ბრალდებების ნაწილი, კერძოდ, სამსახურებრივი გულგრილობა. მოგეხსენებათ იგი ამ აღიარებიდან მალევე 10 მილიონი ლარი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს და საფრანგეთში „გადააპორტირეს“. „ავი ენები“ მაშინ ამბობდნენ, გირაოს თანხა ქიბარ ხალვაშმა გადაიხადაო. ხელისუფლების შეცვლამდე ირაკლი ოქრუაშვილს საქართველოში ფეხი არ ჩამოუდგამს, ევროპის შუაგულში, ერთ-ერთ ძვირადღირებულ ქალაქში, პარიზში ცხოვრობდა და არც თუ შეჭირვებულად. კვლავ იბადება კითხვა, რა სახსრებით ახერხებდა ოქრუაშვილი საფრანგეთში შეუჭირვებლად ცხოვრებას? თუ ისევ იმ „ავ ენებს“ დავუჯერებთ, ნაციონალებმა გვარიანად „გამზითვული“ გაუშვეს ევროპაში და არც ვიზის მიღებაზე გასჩენია პრობლემა.

26 მაისის ტრაგედიის წინა დღეებში „საერთო გაზეთმა“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით, „ქართული პარტია“ - „სახალხო კრებაში“ შეგზავნილი ტროას ცხენი“, სადაც ოქრუაშვილის პოლიტიკურ „მოღვაწეობაზე“ იყო საუბარი, მოგეხსენებათ, იგი ყოფილ მშობლიურ პარტიას „მრისხანების დღის“ მოწყობით ემუქრებოდა, თუმცა ბოლო მომენტში სამშობლოში დაბრუნება და „მრისხანების გამოვლენა“ გადაიფიქრა. კიწმარიშვილი და ა.შ. მართლაც ხან აქედან უტრიალა „ქართულმა პარტიამ“ „სახალხო კრებას“, ხან იქიდან და ვერაფერს რომ ვერ გახდა, ბოლოს ჯიქურ მიეჭრა — საქართველოა გადასარჩენი, საქართველოს გამო ყველამ უნდა დავივიწყოთ პირადი წყენა, ერთად ვიხსნათ ჩვენი სამშობლოო, ერთი სიტყვით, ნინო ბურჯანაძეს შერიგების გარდა სხვა გზა არ დაუტოვეს. ყოველი შემთხვევისთვის ქალბატონი ნინო „საქმის კურსში“ ჩააყენეს, ერთად ყოფნა კი აუცილებელია, მაგრამ „ქართულ პარტიას“ 25 მაისს აქვს გამოცხადებული მრისხანების დღე ავლაბარში და სააკაშვილის რეჟიმიც ამ დღეს დამთავრდებაო. მაინც და მაინც 25 მაისს, ანუ იმ დღეს, როცა ირაკლი ოქრუაშვილი ჩამოვა და მრისხანებით შეპყრობილი ქართველი ხალხი „ქართული პარტიის“ ხელმძღვანელობით სააკაშვილს კუდით ქვას ასროლინებსო“. ამ პარტიის ლიდერ-შიფს, ფაქტობრივად იმის თქმა უნდოდა, რომ „სახალხო კრება“ და მისი ლიდერები რისი მაქნისები ხართ, მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია სააკაშვილის დამარცხებაო, რასაც ცხადია, ქალბატონი ბურჯანაძეც მიუხვდა. მათ ჯერ იყო და ნინო ბურჯანაძემ არ დაგვასწროსო, 21



მაისს დაანონსებული რევოლუციის საპირწონედ, 9 მაისს კახეთში დანიშნეს თავიანთი რევოლუცია, იქ რომ არაფერი გამოვიდა 25 მაისი გამოაცხადეს მრისხანების დღედ. ეს „განრისხებული“ ხალხი ეტყობა დროებით მხოლოდ იმიტომ დაშოშმინდა, რომ ირაკლი-„მხედართმთავრის“ ჩამოსვლას ელოდა, ოღონდ ის ვერ გავიგეთ რა „მარშრუტით“ მოევლინებოდა სამშობლოს და რა ჰქონდა „ბაგაჟში“. ეკა კვესიტაძის თანამეცხედრე, შეთავსებით შსს-ს მაღალჩინოსანი შოთა უტიაშვილი იმუქრებოდა, ჩამოვა და დავიჭერთო. საღად მოაზროვნე ხალხს რა გამოლევს საქართველოში, რომელთა პროგნოზიც შემდეგ ბუნებრივია, გამართლდა. ეს ხალხი ამბობდა, ოქრუაშვილი არსაიდან ჩამომსვლელი არ არის... ბურჯანაძეს აგიჟებს ამ განცხადებებით, თორემ რისი ჩამომსვლელია ეგ მშიშარა, ორი დღე ვერ გაძლო ციხეში, ვინც ოდესმე მისალმებია, ყველა ჩაუშვა! თუ მოხდა სასწაული და მართლა ჩამოვიდა, ჩათვალეთ, რომ სააკაშვილისა და მერაბიშვილის ნებართვითა და დასტურით, რაღაც განსაკუთრებული დავალების შესასრულებლად, რაც სხვა არაფერი შეიძლება იყოს, გარდა ერთისა — დაშალოს, დაფანტოს, დეზორგანიზაცია შეიტანოს ოპოზიციის რიგებში და ხალხის მრისხანებას კალაპოტი შეუცვალოს. ასეთ ექსტრემალურ სიტუაციებში გამოსაყენებლად გაუშვეს ეგ ემიგრაციაში და თავისი მილიონებიც თან გაატანეს. დასჭირდებათ — დაუძახებენ, გამოიყენებენ და კვლავ გაუძახებენ ქვეყნის გარეთო.

„ოქრუაშვილი წესიერი კაცივით, გულდამწვარი პატრიოტივით ლაპარაკობს, რომ არ იცოდე, ვერც მიხვდები, რომ ის კაცია, რომელიც სააკაშვილის ყველა ბრძანებას მორჩილად ასრულებდა და მისი ყველაზე საყვარელი და სამაგალითო მინისტრი იყო. ამ ყველაფრის გააზრება-გაანალიზების შემდეგ, შეიძლება მართლაც მიხვიდე იმ დასკვნამდე, ოქრუაშვილი მიშას და ვანოს „ნასედკაა“, ხოლო „ქართული პარტია“ ტროას ცხენი, რომელსაც რომელსაც ხან „სახალხო კრებაში“ შეაგორებენ, ხან სხვაგან - როგორც საქმე და საჭიროება მოითხოვს იმის მიხედვით. 24 მაისს ოქრუაშვილმა განაცხადა არ ჩამოვდივარო, რითაც კიდევ ერთხელ განგვიმტკიცა ეჭვი, რომ „ქართული პარტია“ და ოქრუაშვილი ხელისუფლების ფარული მოკავშირეები არიან და „სახალხო კრების“ დასაფლავება აქვთ დავალებული. „ქართულმა პარტიამ“ უდიდესი ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა და სულში ჩააფურთხა საქართველოს“.

„საერთო გაზეთი“ №21 (150), 25-31 მაისი, 2011 წ.

ცხადია, „მთავარსარდლის“ ჩამოუსვლელობის გამო, დიდი რიხით დაანონსებული „მრისხანება“ ჩაიშალა, რასაც რუსთაველის გამზირზე სისხლიანი დარბევა მოჰყვა. ვფიქრობთ, 2011 წლის შემდეგაც ირაკლი ოქრუაშვილის ფსიქოპორტრეტი დიდად არ შეცვლილა. საბედნიეროდ, დღეს სხვა ხელისუფლებაა, რომელიც იმედია არ დაუშვებს მავანთა პროვოკაციული გამოხდომების გამო, ქვეყანაში ვითარების არევას და გართულებას.

ირაკლი ოქრუაშვილის „საგმირო“ საქმეთა ჩამონათვალში არ უნდა გამოგვრჩეს ე.წ. ერგნეთის ბაზრობის გაუქმება-განადგურება, რომელიც მხოლოდ ბაზრობის ფუნქციას არ ასრულებდა. გარდა იმისა, რომ 1991 წლის მიწისძვრის შედეგად დაზარალებულმა, უკიდურესად გაჭირვებულმა ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომ იტყვიან სული მოითქვა, ამ ბაზრობამ ისე დააახლოვა ქართველები და ოსები, რომ საბოლოო შერიგებას აღარაფერი უკლდა. ოსების დახმარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქტების რუსეთში ექსპორტი. 2000 წელს, როცა რუსეთმა საქართველოს მიმართ სავიზო რეჟიმი შემოიღო და ჩვენს მძღოლებს ხილის, მათ შორის, ციტრუსისა და ბოსტნეულის გატანა უჭირდათ, ეს პროდუქტები ერგნეთის ბაზრობამდე მიჰქონდათ სატვირთო ავტომანქანებით ქართველებს და იქიდან ოსებს მიჰქონდათ რუსეთისკენ. ვითომდა კონტრაბანდის წინააღმდეგ „მებრძოლმა“ ნაციონალებმა, ოქრუაშვილის ინიციატივითა და „მეთაურობით“, ბაზრობა კი გააუქმეს, მაგრამ აღურიცხავი საქონლის შემოდინება არ აღუკვეთიათ, უბრალოდ რიგით ადამიანებს მოუსპეს ლუკმა-პურის შოვნის საშუალება და თავად აიღეს „მონოპოლია“, ერთი სიტყვით, „ბობოლა“ კონტრაბანდისტებად იქცნენ. ალბათ, ნებისმიერი გორელი გეტყვით, რომ ამ „სფეროს“ ოქრუაშვილი და მისი მარჯვენა ხელი, შიდა ქართლის გუბერნატორი მიხეილ ქარელი „კურირებდნენ“. 2007 წლის სექტემბერში, როცა ირაკლი ოქრუაშვილი დააკავეს, ტყვიავში მისი სახლის ჩხრეკა ჩაატარეს, ამ ღონისძიებაში ფინანსური პოლიციაც მონაწილეობდა, მოგვიანებით, ნაცნობმა თანამშრომელმა მითხრა, ოქრუაშვილის ორსართულიანი სახლი რუსული წარმოების კვების პროდუქტებით იყო გამოჭედილიო.

ირაკლი ოქრუაშვილი, მიხეილ სააკაშვილის მარჯვენა ხელი, მისი უსაყვარლესი მინისტრი, მისი ფავორიტი, სიცოცხლის ბოლომდე დარჩება „ნაციონალად“, რადგან, როგორც წერილის დასაწყისში ვთქვით, ისე, როგორც არ არსებობენ ყოფილი „კაგებეშნიკები“, ასევე არ არსებობენ ყოფილი „ნაციონალები“.

— მიშა, სადაც არ უნდა იყო, მე მოვალ და თვალებში ჩაგხედავ, — ასე დაემუქრა ირაკლი მიშას რამდენიმე წლის წინათ.

ოქრუაშვილი ამ მუქარას აუცილებლად შეასრულებს — მივა მიშასთან, თვალებში ჩახედავს და ეტყვის: — მიშა, მაპატიე, თუ რამე გაწყენინე... მე დავბრუნდი და ამის შემდეგ არასოდეს წავალ შენგან... ჩვენ ხომ ძმები ვართ.

დიახ, ისინი ძმები არიან, ერთი ბანდიტური საძმოს წევრები, რომლებსაც ერთად უკეთებიათ უამრავი ბანდიტური საქმე და, ალბათ, მომავალშიც იგივეს გააკეთებენ.

და ბოლოს: ადამიანი შეიძლება გახდეს მაღალჩინოსანი, გახდეს მინისტრი, გახდეს პრეზიდენტი, მაგრამ, როგორც კაცი, იყოს „პუსტა-პუსტა“, ცარიელი, ფუღურო...

ირაკლი ოქრუაშვილიც, მიუხედავად იმისა, რომ მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა და თავდაცვის მინისტრადაც კი მოგვევლინა „მხედართმთავრის“ როლში, სინამდვილეში მაინც „პუსტა-პუსტა“ კაცია და ასეთად დარჩება სიცოცხლის ბოლომდე.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 77

# ძლიერი რეგიონები



ვანი

### ვანი – ფერეთაში სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები მიმდინარეობს

ვანის მუნიციპალიტეტის ფერეთას ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები რამდენიმე დღეა ინტენსიურად მიმდინარეობს.

სოფელ ფერეთაში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი 419 400 ლარიდან 65 დასახელების სამუშაო შესრულდება. სოფელში მობილიზებულია სპეციალური ტექნიკა, მიმდინარეობს გზის მოხრეშვისა და მოასფალტების სამუშაოები.

ვახტანგაძეების საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოსაწყობად 32 000 ლარი დაიხარჯა. გზის მოასფალტების სამუშაოები მიმდინარეობს ასევე ზალიკიანების საუბნო გზაზე, რომელიც უახლოეს დღეებში დასრულდება. ამ გზის საპროექტო ღირებულება 15 000 ლარია. გზის მოასფალტების სამუშაოებს ფერეთაში შპს „გორკემი“ ახორციელებს.

ფერეთაში ალავიძეები-დიაკონიძეების უბანში სტიქიის შედეგად დანგრეული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად 70 000 ლარი დაიხარჯება.

სამუშაოებს ხიდმშენი კომპანია შპს „ზიმო“ ახორციელებს.

პარალელურად, სოფელ ფერეთაში მოეწყობა 12 საბოგირე გადასასვლელი, 10 ცხაური, შეკეთდება სტიქიის შედეგად დაზიანებული საუბნო გზები და ამოიწმინდება სანიაღვრე არხები.

როგორც სპეციალისტები აცხადებენ მიმდინარე სამუშაოები ვადების დაცვით და ხარისხიანად სრულდება.

### სავაჭრო-სამრეწველო პალატის წამომადგენლების შეხვედრა საჩხერელ მეწარმეებთან

საჩხერის მუნიციპალიტეტში მოქმედ მეწარმეებს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წამომადგენლები შეხვდნენ და მუნიციპალიტეტში საწარმოო და ბიზნესსფეროში არსებულ პრობლემებზე იმსჯელეს.

ძირითადად საკითხები გადასახადების სისტემას, დამატებით ღირებულების გადასახადების შემცირებას, საბანკო სექტორსა და ხე-ტყესთან დაკავშირებულ ბიზნესსექტორს შეეხებოდა. საკითხი საჩხერის ტურისტული პოტენციალის გაზრდას და მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურასაც შეეხო.

შეხვედრა, რომელსაც საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე და მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის უფროსებიც ესწრებოდნენ, კითხვა პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.

### თელავში მოსახლეობის სკრინინგული კვლევის უფასო სერვისი ამოქმედდა

„C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს დაავადების გავრცელების 90 პროცენტით კლებას და C ჰეპატიტით გამოწვეული სიკვდილიანობის სულ მცირე 65 პროცენტით შემცირებას, ქ. თელავში, ალადაშვილის №2-ში, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ ამოქმედდა მოსახლეობის სკრინინგული კვლევის უფასო სერვისი.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ პროგრამაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 57 მილიონი ლარი იხარჯება, ხოლო მთლიანად პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო უსასყიდლოდ 15 მილიარდი დოლარის ღირებულების მედიკამენტებს მიიღებს.



ახმეტა

### აბრეშუმის მწარმოებელთა კოოპერატივი ახმეტაში

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე დავით ფოცხვერიშვილი სოფ. ზემო ხოდაშენში აბრეშუმის მწარმოებელთა კოოპერატივს ესტუმრა. საწყის ეტაპზე კოოპერატივს სახელმწიფოსგან 2000 ძირი თუთის ნერგი გადაეცა. იგეგმება დამატებითი მიწების იჯარით გადაცემა, რათა წარმოების მასშტაბები და, შესაბამისად, დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდოს.

### დევნილთა და განსახლების მინისტრი ლაგოდეხში

სოზარ სუბარმა ლაგოდეხში დევნილთა და განსახლების სამინისტროს მიერ დევნილი და ეკომიგრანტი ოჯახებისთვის შესყიდული კერძო სახლები დაათვალიერა.

2013 წლიდან დღემდე, სამინისტრომ „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში კახეთის რეგიონში კერძო სახლი 43 დევნილ ოჯახს შეუსყიდა.

კერძო სახლებთან ერთად სამინისტროს ბენეფიციარები მიწის ნაკვეთების მფლობელებიც გახდნენ, რაც მათთვის დამატებით შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ დევნილი და ეკომიგრანტი ოჯახები საცხოვრებელ ადგილსა და სახლს თავიანთი სურვილის მიხედვით არჩევენ.

სახლების შესყიდვის პარალელურად მიმდინარეობს 2004-2009 წლებში ეკომიგრანტი ოჯახებისთვის გადაცემული საცხოვრებელი სახლებისა და მიწის ნაკვეთების დაკანონების პროექტი.

### რთველი–2016 აქტიურ ფაზაშია

სიღნაღის მუნიციპალიტეტში რთველი აქტიურად მიმდინარეობს. ამ დროისთვის 4500 ტონა ყურძენი უკვე დაკრეფილი და გადამუშავებულია.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ყურძენი სამ ქარხანაში — წნორში, ჭანდარსა და გურჯაანში ბარდება.

წელს რქაწითელის ფასი 80 თეთრია, ხოლო საფერავის — ერთი ლარი.

### ამბროლაურში ღორის საწარმოს მშენებლობა იწყება

კომპანია „რაჭული ღორის“ დამფუძნებლის, როსტომ კობახიძის ინფორმაციით, ქარხნის მშენებლობა დეკემბერში დასრულდება, პროდუქცია ბაზარზე კი მომავალი წლიდან გამოჩნდება. საწარმო ამბროლაურში აშენდება და მასში დაახლოებით 15 ადამიანი დასაქმდება.

წლიური წარმადობა 20 ტონა იქნება. პროდუქცია სრულად ქართული ღორის ხორცისგან დამზადდება.



ამბროლაური

რაჭაში ღორის საწარმოს მშენებლობისთვის 350 000 დოლარი დაიხარჯება. მეწარმეს თანხის 50 პროცენტი სესხად აქვს აღებული, 40 პროცენტი გრანტია, 10 პროცენტი კი სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოდან მიღებული თანადაფინანსება.

### „არიკ ჯგუფი“ ფოთში ხუთვარსკვლავიან სასტუმროს ააშენებს

ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპირო ზოლში, „არიკ ჯგუფი“ ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს აშენებას გეგმავს. შესაბამისი მემორანდუმი სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორსა და კომპანიის პრეზიდენტს შორის უკვე გაფორმდა.

„ეს მემორანდუმი დიდი მშენებლობების დაწყების წინაპირობაა. ინვესტორი ძალიან მალე შეუდგება მშენებლობას. ჩვენ ერთად გვექნება პრეზენტაცია და საზოგადოებას გავაცნობთ, თუ რას გეგმავს „არიკ ჯგუფი“ ჩვენს რეგიონში. ყველანაირად შევუწყობთ ხელს ინვესტიციების შემოსვლას“, — განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ მხარის გუბერნატორმა.

მემორანდუმის გაფორმებამდე სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია „არიკ ჯგუფის“ პრეზიდენტ აფრაზ რავარისთან ერთად ფოთში იმყოფებოდა. გუბერნატორმა და ქალაქის მერმა ირაკლი კაკულიამ ინვესტორს მალთაყვის სანაპირო ზოლი დაათვალიერებინეს და პროექტის შესახებ ესაუბრნენ.

„საქართველოში, კახეთში 2500 ჰექტარზე უკვე გვაქვს ინვესტიცია განხორციელებული და ეს კარგი გამოცდილებაა ჩვენთვის. რაც შეეხება მემორანდუმს — ეს არის ინდუსტრიულ-ტურისტული პროექტი, რომლის შესახებ მოლაპარაკებები მიმდინარეობს გუბერნატორთან, საქართველოს მთავრობასთან. ჩვენი ძირითადი მიმართულებებია აგროსექტორი და ტურიზმი. დარწმუნებული ვარ, რომ პროექტი იქნება წარმატებული და იგი უახლოეს ვადებში დასრულდება. ვაპირებთ, აქ წარმოებული ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით გავუმასპინძლდეთ ტურისტებს. რაც შეეხება დასაქმებას, კახეთის მსგავსად, მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას ვაპირებთ“, — განაცხადა „არიკ ჯგუფის“ პრეზიდენტმა აფრაზ რავარიმ.

ირანულ-ამერიკული კომპანიის წარმომადგენლები აბაშაში, წყემის პარკში მწვანე სასტუმროების ქსელის შექმნასაც გეგმავს. ინვესტორები რეგიონში მოცვის მოყვანასა და გადამამუშავებელი საწარმოს აშენებასაც აპირებენ.·

### სენაკის მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვით პრობლემებზე მსჯელობენ

აბაშას საავტომობილო გზების დეპარტამენტის ნაპირდაცვითი სამმართველოს უფროსი თეიმურაზ კაპანაძე და მისი მოადგილე რევაზ საჯაია ეწვივნენ. მათ ადგილზე შეისწავლეს

# ძლიერი საქართველოსთვის


ახალციხე

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო საავტომობილო ავტომაგისტრალის აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. მარნის გადასახვევიდან მარჯვენა მხარეს, მდინარე ცხენისწყლის სანაპიროზე დაახლოებით 1,5 კმ გზის მონაკვეთის რღვევასთან დაკავშირებული საკითხები და შეაფასეს დამატებითი ნაპირდაცვითი ღონისძიებების გატარების მიზანშეწონილობა.

## გამოფენა „ფრაგმენტები ისტორიიდან“ სვანეთის მუზეუმში

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში გაიხსნა ცნობილი ქართველი მხატვრების, ქეთევან მატაბელისა და გია გუგუშვილის ერთობლივი გამოფენა „ფრაგმენტები ისტორიიდან“.

გამოფენაზე წარმოდგენილია: ქეთი მატაბელის სხვადასხვა დროს შექმნილი ნამუშევრები, ასევე იმ ნამუშევრების ნაწილი, რომლებიც შესრულდა პროექტის — „მე ვხედავ თითებით“ — ფარგლებში, გია გუგუშვილის ფერწერული ტილოები.

გამოფენა ერთი თვე გაგრძელდება.

სვანეთის მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში, მუზეუმის ლექციათა ციკლის „საუბრები მუზეუმში“ ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა მხატვრებთან და ასევე ქეთევან მატაბელის მასტერკლასი „შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი თანამედროვე ხელოვნებაში“.

## ახალციხე — ივლიტაში გზის რეაბილიტაცია დაიწყო

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ივლიტაში საავტომობილო გზის მონაკვეთისა და სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

პროექტის ფარგლებში, საავტომობილო გზაზე ასფალტბეტონის ორფენიანი საფარი დაიგება და რკინაბეტონის სანიაღვრე არხი მოეწყობა. იგეგმება აგრეთვე სოფლის ხიდის რეაბილიტაციაც.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, სამუშაოებს კი ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „არალი“ ასრულებს.

## ბორჯომის კეთილმოწყობა

ბორჯომში გზების დაზიანებული მონაკვეთებისა და კორპუსების ეზოების მოასფალტება დასრულდა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში დვირი-საკირის გზის მონაკვეთზე ორმოულების შეკეთება დასრულდა. დაზიანებულ მონაკვეთებზე ასფალტბეტონის საფარი დაიგო. დღეს ადგილობრივებს უკვე მოწესრიგებული გზით შეუძლიათ სარგებლობა.

პროექტის ფარგლებში გზები კიდევ შვიდ ობიექტზე მოწესრიგდა.

„ძირითადად რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქ ბორჯომში მდებარე კორპუსების შიდა ეზოებსა და ჩიხებს. სამუშაოები ყველა ობიექტზე დასრულებულია, გარდა 300 არაგველის ქუჩისა, სადაც საყრდენი კედილის მშენებლობის დასრულებისთანავე განახლდება გზის დაგება“, — აღნიშნა გამგებელმა.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 84 000 ლარით დაფინანსდა. მუნიციპალიტეტის მასშტაბით გზების რეაბილიტაცია მომავალშიც გაგრძელდება.

## დმანისი — „გახდი აქტიური მოქალაქე“

ამ პროექტის ფარგლებში გაიმართა ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდების სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებას, მათი ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურების საქმიანობაში ჩართულობის ხელშეწყობას.

ტრენინგ-ბანაკის შემდეგ ახალგაზრდებს მიეცათ დავალება საკუთარ სოფელში, მუნიციპალიტეტში, მხარეში მოახდინონ პრობლემის იდენტიფიცირება, შესწავლა, თანამოაზრეთა მობილიზება, პროექტის შედგენა, განხორციელება და ანალიზი. გამარჯვებული პროექტების პრეზენტაცია და დაჯილდოება რეგიონალურ ახალგაზრდულ ფორუმზე გაიმართება.

ტრენინგ-ბანაკი დაბა ბაკურიანში ხუთი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში ქვემო ქართლის შვიდივე მუნიციპალიტეტის IX-XII კლასების წარჩინებული მოსწავლეები და მათი ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ.

## მარნეულის მუნიციპალიტეტში „სამოქალაქო ბიუჯეტის“ გამარჯვებული პროექტები გამოვლინდა

2016 წლის „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში შემოსული 135 საპროექტო განაცხადიდან გამოვლინდა 51 გამარჯვებული პროექტი, რომლებიც 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდება.

შეგახსენებთ, რომ „სამოქალაქო ბიუჯეტი“ არის პროცესი, რომელიც ბიუჯეტის განაწილებასა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობას გულისხმობს.

წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან პროექტისთვის გამოიყო 1 500 000 ლარი, რაც მოქალაქეთა მიერ არჩეული პროექტების რეალიზებას მოხმარდება.


მარნეული

## ყურბან ბაირამი მარნეულის მუნიციპალიტეტში

მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები მარნეულის ადმინისტრაციულ ერთეულებს ეწვივნენ, სადაც მუსლიმ მოსახლეობას ყურბან ბაირამის დღესასწაულის დადგომა მიულოცეს.

გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნაბი აბდულაევი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ქალაქ მარნეულისა და სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდნენ და სპეციალურად ამ დღესასწაულისთვის შეწირული საქონლის ხორცი შეჭირვებულ ოჯახებს დაურიგეს.

ყურბან ბაირამი, ანუ მსხვერპლშეწირვის დღესასწაული, მარხვის თვის რამაზან ბაირამიდან 70-ე დღეს აღინიშნება და სამ დღეს გრძელდება.

## ტყვიავში, საოკუპაციო ზოლის მახლობლად, საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა

რეგიონებში საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა გრძელდება. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავში საზოგადოებრივი ცენტრი გახსნა. საქართველოში ის რიგით 36-ეა.

საოკუპაციო ზოლის მახლობლად საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ინიციატივით დაიწყო. მეჯვრისხევში, ორსანტიასა და რუხში უკვე მოქმედებს საზოგადოებრივი ცენტრები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო სერვისები შეუფერხებლად მიეწოდებოდეთ კონფლიქტით დაზარალებულ მოქალაქეებს. ტყვიავის საზოგადოებრივი ცენტრი რიგით მეოთხე საზოგადოებრივი ცენტრია, რომელიც საოკუპაციო ხაზთან ახლოს მდებარეობს. ცენტრი სოფლების: ფლავისმანის, მარანას, ფლავის, ტირძნისის, ბროწლეთის, ერგნეთის, თერგვისის, მეღვრიკისის, მერეთის, კარბის, ქერეს, ზარდიაანთკარის, ბუბუტიაანთკარის, კოშკას, დიცის, ქორდის, არბოს, ძევერას, სათემოს, ქიწნისისა და შერთულის 20 000-მდე მცხოვრებს მოემსახურება.

ახლად გახსნილ საზოგადოებრივ ცენტრში ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდა. ცენტრი მოსახლეობას დროისა და თანხების დაზოგვის საშუალებას მისცემს.

ტყვიავის საზოგადოებრივი ცენტრის გახსნით ამ სოფელში არა მხოლოდ საჯარო სერვისები, არამედ „მაგთისა“ და „ლიბერთი ბანკის“ მომსახურებაც გახდება ხელმისაწვდომი, რაც პენსიონერებს — პენსიის სოფლიდან გაუსვლელად მიღების, ახალგაზრდებს კი უკაბელო ინტერნეტით უფასოდ სარგებლობის საშუალებას მისცემს.

სოფელ ტყვიავის საზოგადოებრივ ცენტრში იმუშავებს უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები და ვიდეოკონფერენციის აპარატურა. აქვე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა. საზოგადოებრივი ცენტრის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზით სარგებლობა მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებსაც შეეძლებათ.

ტყვიავის გარდა, საზოგადოებრივი ცენტრის მომსახურებით კიდევ 35 სოფლის მოსახლეობა სარგებლობს. დღეისთვის საზოგადოებრივი ცენტრები ფუნქციონირებს მუხაესტატეში, გეგუთში, მეჯვრისხევში, კაჭრეთში, ხიდისთავში, ნუკრიანში, კორბოულში, ღორეშაში, კაზრეთში, შილდაში, ორსანტიაში, ქვემო ნატანებში, კაბალში, ლენტეხში, დაბა ჩაქვში, ხრეითში, სადახლოში, რუხში, იორმუღანლოში, დიდ ჯიხაიშში, მარტყოფში, შაშიანში, სართიჭალაში, გომში, რუისში, ჭალადიდში, ხევში, მანგლისში, კოდაში, ფოკაში, ნიგოითში, ჯვარში, შორაპანში, ყვარელწყალსა და არხილოსკალოში.

საზოგადოებრივი ცენტრი საჯარო და კერძო სექტორის წარმატებული თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია, რომელიც მნიშვნელოვნად ზოგავს ადგილობრივთა დროსა და ფინანსებს. საქართველოს მასშტაბით მოქმედ საზოგადოებრივ ცენტრებში 200-მდე ადგილობრივი მოსახლეა დასაქმებული და ამ დრომდე ამავე სამსახურების მეშვეობით 250 000-მდე სერვისი გაიცა.

# რა ხდება? ცესკოში არაკვალიფიცირებული ადამიანები მუშაობენ?



გვესაუბრება ადამიანის უფლებათ დაცვის საერთაშორისო ობსერვატორიის ხელმძღვანელი გრიგოლ გაგნიძე.

**— ბატონო გრიგოლ, უფლებადამცველის თვალით როგორ შეაფასებთ წინასაარჩევნო გარემოს საქართველოში?**

— როგორც ვნახეთ, რამდენიმე პოლიტიკური გაერთიანება მოხსნეს რეგისტრაციიდან. საინტერესოა, თავიდანვე რატომ არ სწავლობენ დოკუმენტებს ისე, რომ ხარვეზი მერე არ აღმოჩნდეს. რა ხდება, არაკვალიფიცირებული ადამიანები მუშაობენ ცსკო-ში?

რაც მოხდა, ჩემი აზრით, ჩრდილს აყენებს დემოკრატიულ არჩევნებს. ნუთუ არავის აინტერესებს, რამდენი ამომრჩეველი ეყოლებოდა პრორუსულ პარტიებს.

როდესაც პოლიტიკოსები ამა თუ იმ პარტიის დისკრედიტაციის მიზნით პოლიტიკური ორიენტაციების თვალსაზრისით განცხადებებს აკეთებენ, ეს რამდენადმე ცსკო-ზე ზეწოლადაც შეიძლება ჩაითვალოს.

რაც შეეხება „ნაცმოძრაობას“. თვით პარტიამ რაც ჩაიდინა, იმის პატიება არაფრით არ შეიძლება და ის ადამიანები, რომლებიც გამოეყვნენ „ნაცმოძრაობას“, არ არიან ნდობის ღირსი. მათაც ეკუთვნით პასუხისმგებლობა იმაზე, რაც პარტიამ ჩაიდინა.

არ მესმის სახელისუფლებო პარტიების წარმომადგენლების, რომლებიც ამბობენ, ბოლო 9 წელიწადს არ შევეხებითო. ამით ხელს უწყობენ მათ ხელახალ რეაბილიტაციას.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა 2004-12 წლებში სამართლებრივი შეფასება გააკეთა, რომ ქვეყანაში 200-ზე მეტი პოლიტიკური პატიმარი ჰყავდა ხელისუფლებას. დოკუმენტში სხვა ფაქტობრივი გარემოებებიც ჩანს, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო მთავარი არგუმენტი ცსკო-ს მიერ „ნაცმოძრაობის“ რეგისტრაციიდან მოხსნისთვის, თუმცა ამ საკითხს არავინ აყენებს.

ამბობენ, უცხოური ლობები ჰყავთო და ა. შ. ვთქვათ, ჰყავთ, მაგრამ დემოკრატიაზე თუ ვლაპარაკობთ და სამართლიანი სახელ;მწიფო თუ გვინდა, სამართლიანად უნდა მოვექცეთ ყველა პოლიტიკურ გაერთიანებასა და ჯგუფს. თუ ხელის გადაგრეხვის პრინციპით მივუდგებით, რა მნიშვნელობა აქვს, რუსეთი გაატარებს პოლიტიკურ ზეწოლას და დიქტატურას, ევროპა თუ ამერიკა?!

მე უფლებადამცველი ვარ და მომხრე გახლავართ სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის.

თუ სამართლებრივად არ იქნება დაცული თითოეული ადამიანი თავიანთი პოლიტიკური შეხედულების გათვალისწინებით, მაშინ რა საჭიროა, ფილმებს რომ იღებენ და წიგნებს რომ წერენ პოლიტიკური ზეწოლების, წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე?!

დღეს „ნაცმოძრაობის“ მომხრეები აცხადებენ, რომ წამება და ზეწოლა ციხეებში ახლაც არის. ჯერ ერთი, ეს არის მტკნარი ტყუილი და მეორეც, თუ ვინმე ფლობს ასეთ ინფორმაციას დოკუმენტურად, აქვს ვიდეოკადრები და ინახავს, ეს სისხლის სამართლის დანაშაულია.

ასეთ დემაგოგიას რომ ლაპარაკობენ — ციხეებში ცემა-წამება არ იყოო, იმას რატომ არავინ კითხულობს, სანდრა რულოვსი ბოლო 2 წელიწადი საქართველოში ცხოვრობდა თუ არა და რატომ არ აქცევს ამ გარემოებას ყურადღებას ცსკო?

საარჩევნო კოდექსის 135-ე მუხლში ნათლად არის დაფიქსირებული, მაჟორიტარად ვერ დარეგისტრირდება პირი, რომელიც ბოლო 2 წლის განმავლობაში არ ცხოვრობდა საქართველოში.

ცსკო-ში განმიცხადეს, რომ ასე ღრმად დეტალებში არ შედიან. მაშინ ყველას შეუძლია დაწეროს განცხადება და დარეგისტრირდეს, მაგრამ რუსეთში რომ იყოს პირი ნაცხოვრები, მაშინ, ალბათ, დიდ სკანდალს გამოვკრავდით ხელს. აი, ეს არის ტენდენციური და არასამართლიანი მიდგომა. პარტიები იდეოლოგიის გამო მოხსნეს და რუსეთში ნაცხოვრებ ადამიანს დაარეგისტრირებდნენ? ეს ხომ აბსურდია. ეს არ არის დემოკრატია. 35 000 ხმა არის საჭირო იმისთვის, რომ პარტიამ საარჩევნო ბარიერი გადალახოს. თუ რუსეთის მომხრე პარტიებს ამდენი ამომრჩეველი ეყოლება, ე. ი. ანგარიში უნდა გავუწიოთ. გვაინტერესებს საზოგადოებას, რამდენი მომხრე ჰყავს ამ იდეოლოგიის პარტიებს.

გასაგებია, რომ დემოკრატიის კუთხით ნამდვილად გაუმჯობესდა მდგომარეობა, წინა რეჟიმის დროს ცსკო-ში რეგისტრაციას გაივლიდნენ კი არა, ჯაშუშის იარლიყით საპატიმროში აღმოჩნდებოდნენ, მაგრამ იგივე დევნად ხომ შეიძლება ჩაითვალოს განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის პარტიების მონაწილეობის აკრძალვა არჩევნებში?!

ჩემი ინფორმაციით, „ნაცმოძრაობა“ 8 ოქტომბრისთვის არეულობას ამზადებს. უბნების დარბევისთვის, პროვკაციებისთვის ამზადებენ ზონდერებს, თავზეხელაღებულ ხალხს, რათა გამოიწვიონ არეულობა, ჩრდილი მიადგეს არჩევნების დემოკრატიულ მიმდინარეობას, რომ მერე გაყალბებაზე ილაპარაკონ.

ენდიაის და აირაის კვლევებით, „ნაცმოძრაობას“ ვითომდა მაღალი პროცენტული მაჩვენებლები აქვს. სინამდვილეში კვლევების ეს შედეგები ყალბია და მიმართულია იმ მიზნისკენ, რომ კვლევების შედეგებმა კატალიზატორის როლი ითამაშონ საზოგადოებაში.

„ნაცმოძრაობამ“ მშვენივრად იცის, იმდენ ხმას ვერ მიიღებს, რამდენსაც მიჩვეულები იყვნენ, ამიტომაც ცდილობენ, ჩამოეკიდონ საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებს და თქვან მერე, რომ არჩევნები გაყალბდა. მერე გამოიყენებენ თავიანთ ზონდერებს. ეს არის მათი მოქმედებების სტილი. ასე რომ, წინ საინტერესო მოვლენები გველის, იმედია, მმართველი პარტია გაართმევს თავს პრობლემებსა და პროვოკაციებს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# მალე ქალაქს მანქანების ნიაღვარი წალეკავს

ადრე, წლების წინ, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე სამუშაოდ გამოუცდელ მძღოლს არავინ მიიღებდა. ამისთვის პიროვნებას, სულ მცირე, სამწლიანი უწყვეტი სამუშაო სტაჟი სჭირდებოდა. ახლა? დღეს მხოლოდ ჩვენთვის და თქვენთვის კი არა, პატივცემულო მკითხველო, ყველასთვის გაუგებარია, ვინ „ტაქსაობს“ თბილისში. ამის შესახებ ჩივიან გამოცდილი, მართლაც პროფესიონალი მძღოლები. ერთმა ნაცნობმა, რომელიც რამდენიმე ათწლეულია მუშაობს ტაქსის მძღოლად, კერძო საუბრისას მითხრა: „ზოგიერთი მანქანის სალონში ისეთ სიბინძურეს წააწყდები, თქმაც გეუხერხულება ადამიანს. რამდენიმე დღის წინ მანქანით მივდიოდი. ჩემს წინ მიმავალმა მანქანამ კლიენტი ჩაისვა. რამდენიმე მეტრი გაიარეს, უცებ გაჩერდა ის მანქანა, კლიენტი გადმოხტა, ორივე ხელის ქნევით გამაჩერა. სიმართლე გითხრა, შემეშინდა, რაიმე უბედურება ხომ არ მოხდა-მეთქი. თურმე მძღოლს ნასკები გაურეცხავს და იქვე, წინა საქარე მინასთან აშრობდა. კლიენტი გადარეული იყო. გასაგებია, ხალხს უჭირს, მაგრამ რაღაც ელემენტარული წესები, მათ შორის, მოძრაობის, ხომ უნდა იცოდეს ადამიანმა, რომელსაც ტაქსისტობა უნდა?!“

მოძრაობას თბილისის ქუჩებში ზოგიერთი სამარშრუტო ტაქსის მძღოლიც ართულებს. რამდენიმე დღის წინ პირადად ვმგზავრობდი და სულ რაღაც 20 წუთში ჩვენი მანქანის მძღოლის მიზეზით ხუთჯერ (!) გადავრჩით ავარიას!

მართლაც პროფესიონალები მუშაობენ ავტობუსებზე, თორემ 12-15 საათი საჭესთან, მით უფრო, ასეთ ქაოტურ მოძრაობაში, როგორი გასატარებელია, მოგეხსენებათ. სამწუხაროდ, ისანში მოხდა ავარია, რისი მიზეზიც, სავარაუდოდ, მძღოლის გადაღლა უნდა იყოს. თბილისის ავტობუსების პრობლემებზე ჩვენი გაზეთი არაერთხელ წერდა, მაგრამ არავინ შეგვხმიანებია. იქნებ, ახლა მაინც მოიცალოს ჩვენთვის ქალაქის ხელისუფლებამ და გვითხრას, როგორ და როდის მოგვარდება არსებული უამრავი პრობლემა.

მოძრაობის წესების დაცვაზე პატრულის ეკიპაჟები ზრუნავენ, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ყველგან ყოფნას ვერ ასწრებენ. ამით სარგებლობენ ზოგიერთები, განსაკუთრებით, საღამოს საათებში და იწყება მანქანების შლიგინი. ზოგიერთი მძღოლი დრიფტსაც (მანქანის ერთგვარი „ცეკვა“) აწყობს. ამასთან, ისეთ ადგილზე, სადაც, ადვილი შესაძლებელია, მძიმე ავარია მოხდეს. აქვე სათქმელია, რომ, სადაც რბოლებს და ტრიუკებს აწყობენ, იქვე პოლიციის განყოფილებაა. შენობას ნაცხროვის ხელისუფლებამ 70-ზე მეტი 60-წლიანი წიწვოვანი ნარგავი შესწირა. მაშინდელი ქალაქის სოდ-ის და კუდ-ის უფროსები მოსახლეობას, ვინც ამას აპროტესტებდა, დაჭერით ემუქრებოდნენ.

თბილისში განსაკუთრებით თვალშისაცემია მოძველებული მანქანების სიმრავლე და მათი ტექნიკური გაუმართაობა. ზოგიერთი დაზიანებული მაყუჩით დადის და ადამიანს გეგონება, ტანკმა გაიარაო. განსაკუთრებით ღამის საათებშია მძიმე მოსასმენი აუტანელი ხმაური, რომელსაც გაუმართავი მანქანები გამოსცემენ.

სამწუხარო ფაქტია, მაგრამ საქართველოს დედაქალაქში ტრანსპორტის მოძრაობის საკითხი მოსაგვარებელია. მართალია, ნაცბანდამ უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა, როდესაც გააუქმა ავტოინსპექცია, მაგრამ დღეს აშკარად გამოჩნდა, რომ აუცილებელია მოძრაობის კონტროლი.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ბეჭდებისა და გულების მბრძანებელი

**ამ ადამიანმა საკუთარი ჯადოსნური სამყარო შექმნა, რომელიც მილიონობით მკითხველს მოსწონს. ამ ზღაპრულ სამყაროში, რომელიც სრულებით არ ჰგავს იმას, ჩვენ რომ ვცხოვრობთ, არსებობს ერთი არსებითი განსხვავება – იქ სიკეთე ყოველთვის ამარცხებს ბოროტებას. და ბევრი ადამიანი, რომელსაც რეალური ცხოვრების სისასტიკემ დაღალა, სიამოვნებით „გადადის“ ამ გამოგონილ სამყაროში...როგორ მოახერხა ჯონ რონალდ რუელ ტოლკიენმა ამდენი ადამიანის გაბედნიერება?**



## ობოლი ბიჭუნა ბირმინგემიდან

რონალდ ტოლკიენი, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ინგლისელი, სინამდვილეში აფრიკის სამხრეთით, ქალაქ ბლიუმფონტეინში დაიბადა 1892 წლის 3 იანვარს. ბიჭუნას მამა ინგლისის კოლონიაში ბანკის მმართველი გახლდათ. ორი წლის შემდეგ რონის უ,ცროსი ძმა გაუჩნდა.

რონის პირველი ცხოვრებისეული შთაბეჭდილებები აფრიკის უდაბნოებთან და აუტანელ სიცხესთან იყო დაკავშირებული. როცა ბიჭუნა სამი წლის გახდა, დედამ ბავშვების სამშობლოში წაყვანა და იქ რამდენიმე ხნით დარჩენა გადაწყვიტა. მალე აფრიკიდან სამწუხარო შეტყობინება მოვიდა — ბიჭუნების მამა ტვინში სისხლჩაქცევისგან გარდაიცვალა.



ტოლკიენების ოჯახი ინგლისში დარჩა. ისინი ბირმინგემის მახლობლად, მიყრუებულ პროვინციაში დასახლდნენ. დედამ მდინარის ნაპირას დაიქირავა ბინა. აფრიკულ სავანას ნარცისებით მოფენილი მინდვრები ჩაენაცვლა, გვალვა კი ინგლისურმა ნისლმა და წვიმებმა შეცვალა.

რონალდს მოეწონა ინგლისური პროვინციის მშვიდი ცხოვრება და ცხელი სამშობლო სამუდამოდ დაივიწყა. ბიჭები ახალ ცხოვრებაში ჩაეფლნენ, რომელშიც დედას ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. იგი საკუთარი შვილების მეგობარი, მათი გამოცდილი და ბრძენი მასწავლებელი გახდა. დედა ასწავლიდა ბიჭებს უცხო ენებს, ხატვას, წერას, ისტორიას. ამ გაკვეთილებმა შესანიშნავად მოამზადეს რონი ბირმინგემის კინგ ედვარდსის სკოლაში სწავლისთვის, სადაც ოჯახი 1900 წელს გადავიდა.

მიღწეული წარმატებებისა და ენების მიმართ განსაკუთრებული მიდრეკილებების წყალობით რონალდმა სკოლის სტიპენდია მოიპოვა. იმავე პერიოდში დაიწყო მან ბერძნულისა და შუასაუკუნეების ინგლისური ენის შესწავლა. 1904 წელს ბიჭების დედა დიაბეტური კომით გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან ბავშვები თავის მოძღვარს, მამა ფრენსის მორგანს ჩააბარა. მეურვე წესიერი და პატიოსანი ადამიანი აღმოჩნდა, იგი ზრუნავდა ბიჭუნებზე, ამრავლებდა მათ მცირე ქონებას, კეთილად ექცეოდა მათ და ბრძნულ დარიგებებს აძლევდა.

ბიჭუნების ცხოვრება ძალიან რთული აღმოჩნდა. ისინი იძულებულნი იყვნენ, შორეულ ნათესავ ქალთან ეცხოვრათ, რომელიც მათ ძალიან მკაცრად ექცეოდა. რონი შვებას ძველ ენებში ეძებდა და საკუთარ ენებს იგონებდა.

## ერთგული ტოლკიენი

ძმების სულიერმა მოძღვარმა და მეურვე ხედავდა, რომ ბიჭუნებს ნათესავ ქალბატონთან ურთიერთობა ზიანს აყენებდა და გადაწყვიტა, ისინი მისის ფოლკნერის პანსიონში გაეგზავნა. რონი აგრძელებდა ენების შესწავლას, კითხულობდა ძველ ტექსტებს. იგი ძალიან უყვარდათ, როგორც მხიარული ადამიანი და კარგი სპორტსმენი. 16 წლის ასაკში მან შეძლო სამუდამოდ დაეპყრო მასზე სამი წლით უფროსი გოგონას, ედიტ ბრეტის გული.

ედიტიც იმავე პანსიონში ცხოვრობდა. ორი ადამიანის მეგობრობა უფრო დიდ გრძნობაში გადაიზარდა და მალე რონალდის მეურვე ძალზე შეშფოთდა, ბიჭუნა ხომ ჯერ ძალიან ახალგაზრდა იყო.

მამა მორგანმა ბიჭები პანსიონიდან წაიყვანა. რონალდს აუკრძალეს ედიტის ნახვა და მასთან მიმოწერა. მეურვემ რონის განუცხადა, რომ მას ცხოვრებაში ერთი მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა — ოქსფორდში ჩაბარება. ამასთან, უნდა მოეპოვებინა სახელობითი სტიპენდია, რადგან პრესტიჟულ უნივერსიტეტში სწავლის ქირის გადახდის საშუალება არ გააჩნდა.

რონალდი ისე იყო დამწუხრებული საყვარელ გოგონასთან დაშორებით, რომ სწავლა მიატოვა და უნივერსიტეტში ვერ მოხვდა. დამრიგებელთან მკაცრი საუბრების შემდეგ რონალდმა დაიწყო გაძლიერებულად მეცადინეობა, 1911 წელს მან ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდები და უფასო განყოფილებაზე მოხვდა. ახალგაზრდამ სწრაფად გაითქვა სახელი სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის თავისი არაჩვეულებრივი მრავალმხრივი ნიჭიერებით.

როგორც კი ტოლკიენი 21 წლის გახდა, იგი საყვარელი ქალიშვილის მოსაძებნად გაემართა, რომლიც შესახებაც ამდენი წლის განმავლობაში არაფერი იცოდა. როცა რონმა გოგონას მიაგნო, აღმოჩნდა, რომ იგი გათხოვებას აპირებდა. რონალდთან შეხვედრის შემდეგ ედიტმა ნიშნობა გააუქმა.

ახალგაზრდების ერთგულებამ მკაცრი მოძღვარის გულიც მოალბო და 1916 წელს მან რონალდ ტოლკიენს და ედიტ ბრეტს ჯვარი დაწერა...

## ახალგაზრდა პროფესორი

ქორწილის შემდეგ ტოლკიენი მალევე ომში გაგზავნეს, სადაც ბევრი სირთულე გადაიტანა. მოგვიანებით იგი ჯადოსნური ბეჭდის ეპოპეის ერთ-ერთი თავგანწირული გმირის შესახებ იტყვის: „სემ სკრომბი ჩემი თანამებრძოლების კრებითი სახეა, რომლებთანაც ჩემი ადამიანური თვისებებით ახლოსაც ვერ მივალ“.

ამბობენ, რომ ნამდვილმა მწერალმა უნდა გადაიტანოს შიმშილი, ომი და სიყვარული. მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, რონალდს ისეთი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა მიღებული, რომ აუცილებლად წერა უნდა დაეწყო.

და დაიწყო ტოლკიენის შემოქმედებითი მოღვაწეობა... ამავე დროს იგი ასწავლიდა უნივერსიტეტში, თავადაც სწავლობდა ანგლოსაქსურ და ინგლისურ ლიტერატურას, ძველ ინგლისურ და ძველ სკანდინავიურ ენებს, ადგენდა ლექსიკონებს, 1924 წელს კი ლიდის უნივერსიტეტის ყველაზე ახალგაზრდა პროფესორი გახდა. მას პირადი ცხოვრებაც დალაგებული ჰქონდა — იმავე წელს ედიტ და რონალდს უკვე მესამე ვაჟი შეეძინათ (მოგვიანებით ეყოლათ კიდევ ერთი ვაჟი და ქალიშვილი).

მიუხედავად იმისა, რომ უკვე ბევრი ნაწარმოები შექმნა, ტოლკიენის სამწერლო მოღვაწეობა ფართო პუბლიკისთვის ჯერ ცნობილი არ იყო. მისი ცხოვრების მთავარი წიგნების სიუჟეტები ჯერ მწერლის გონებაში იქმნებოდა და მხოლოდ ათეული წლების შემდეგ დაიწერა ეპოპეა საოცარი სამყაროს შესახებ.

ტოლკიენი ფანტეზის ჟანრის ფუძემდებელი გახლდათ, ყველა სიახლე კი ძნელად პოულობს გზას.

## „ბერენი“ და „ლუჩიელი“

გავიდა ბევრი წელი, ვიდრე ტოლკიენის ფანტაზიის წყალობით შექმნილი უცნაური და მამაცი გმირები მილიონობით ადამიანმა შეიყვარა. მის მიერ შექმნილ სამყაროს ბევრი ადამიანი დედამიწაზე საუკეთესოდ თვლის.

მწერალს ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა, იქმნებოდა ჯადოსნური ბეჭდის შესახებ მისი ეპოპეის გაგრძელებები, იღებდნენ ფილმებს... გაჩნდა ტოლკიენის კულტი, რომელიც დღესაც არსებობს. მისი ნაწარმოებების თაყვანისმცემლები თამაშობენ სცენებს მისი წიგნებიდან, მონაწილეობენ როლურ თამაშებში და საყვარელი გმირების სახელებს ირქმევენ...

ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა ტოლკიენიც. ისინი ერთ საფლავში დაასაფლავეს. მათი სახელების გარდა საფლავის ქვაზე კიდევ ორი წარწერაა „ბერენი“ და „ლუჩიელი“. ისინი სამუდამო სიყვარულისადმი მიძღვნილი ტოლკიენის ეპოპეის გმირები არიან, რომელიც ყველაფერზე იმარჯვებს. მწერლის ხუთივე შვილი და მისი თაყვანისმცემლები თვლიან, რომ ამ გმირებში ტოლკიენი საკუთარ თავს და ედიტს გულისხმობდა, რომლებსაც ასე დიდხანს უყვარდათ ერთმანეთი...

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22

**ტაქსი გამოძახებით**
0322 300 308; 0322 450 450;
558 300 088
დაბალი ტარიფები,
მაღალკვალიფიციური,
კომფორტული მომსახურება 24
საათის განმავლობაში

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

## ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

(გაგრძელება. დასაწყისი „საერთო გაზეთი #15)

რას ერჩოდა რუსეთის უზარმაზარი იმპერია საქართველოს მიყრუებულ მთაში არსებულ ამ ორ პატარა სოფელს, მართლაც რომ საინტერესოა... ერჩოდა კი არა, მართლაც რომ პირისაგან მიწისა აღგავა?

ხალდე — სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთში, კალას თემში. მას შემდეგ რაც რუსეთის იმპერიამ აკრძალა ხალდეში დასახლება და თვით „ხალდეს“ ხსენებაც კი, მას „ახალი იფრარი“ დაარქვა. ხალდეს გმირებს დღესაც დიდი პატივით მოიხსენიებენ სვანები. მათზეა შექმნილი შესანიშნავი სიმღერა-ფერხული „გაულ-გავხე“. (წელს, 2016 წლის 26 აგვისტოს შესრულდა ხალდეს დაქცევის 140 წელი)

ფუტიეთი — სოფელი ამბროლაურის რაიონში, სხვავას თემში. დღემდე ადიდებენ ფუტიეთის სახელსა და დანიშნულებას ფუტიურები (არა — ფუტიელები, ფუტიეთელები ან ფუტელები), როგორც გრაალის მცველებს იბერთა შტოდან, სადაც იმალება კაცობრიობის საიდუმლოს ფესვები, საიდანაც „ეფუტით“ გმოძღვრავს „მელქისედეკი, ქრისტეს სამღვდელო მარადი ძალა“. (მელქისედეკის შესახებ მოკლედ, მაგრამ ოდნავ მოგვიანებით განვმარტოთ)

კოლხეთში არგონავტების შემოსვლის ეპოქაში, როცა გაბატონებული იყო მზის თაყვანისცემა, ამ რელიგიის კანონიკით, ფუტიეთი, სიხამთის „ნაეკლესიავით“ კოლხთა ქვეყნის უმთავრეს საკულტო ცენტრს წარმოადგენდა. აქ იყო უმაღლესი ქალ-ღვთაების, ფუტის (ფასიანეს) ტაძარი, სადაც ქურუმი იყო თვით მზის შვილის, მეფე აიეტის გრძნეული ქალიშვილი მედეა.

ბიბლიის ძველ აღთქმაში, ახლო აღმოსავლეთის ყველა ერები იხსენიება, თუმცა გაკკრითაც კი არაფერია ნათქვამი იბერებზე ან კოლხებზე, არადა, ბიბლიაში აღწერილ ისტორიულ პერიოდში, გნებავთ იბერია, გნებავთ — კოლხეთი, მყარი ეთნოკულტურები იყო ახლო აღმოსავლეთში... ისიც ფაქტია, რომ ხალდეველებს და ფუტიელებს სისტემატურად ვხვდებით ბიბლიის ძველი აღთქმის ანალებში...

სწორედ რომ გონივრული ეჭვი ჩნდება — რუსეთის იმპერიის სამხედრო პირებმა არაფერი იცოდნენ, ასრულებდნენ საბრძოლო დავალებას, მაგრამ იქნებ ვიღაცამ დროულად „იზრუნა“ XX საუკუნის გარიჟრაჟზე, რომ არ მომხდარიყო ედენას თეოკულტურული „არქივის“ საკაცობრიო გამომზეურება და მაქსიმალურად დამარხა მიწისქვეშეთში? რატომაც არა? თუ მეცნიერულად საფუძვლიანია იბერთა გაიგივება ხალდეველებთან, ხოლო კოლხებისა — ფუტიელებთან, იბერ-კოლხთა ისტორია იგივე ხალდე-ფუტიელთა ისტორია ყოფილა. ეს ხომ თეოგასაღებია ედენას საკაცობრიო თეოკულტურაში შემონახული, რომელსაც შეუძლია ბიბლიური ისტორიების უცნობ ფაქტებში ნათელის შესატანად? რაც ზუსტად ერთი საუკუნის წინ რუსეთის იმპერიის სამხედრო ექსპედიციების საეჭვო მიზნად ჩანს „ედენას ტევრში“, სწორედ საუკუნენახევრის თავზე იმავე მიზანს ხომ არ ემსახურება ამჟერად ამ მხარის დატბორვის იდეა?

რატომ სურთ ვიღაცებს, რომ მოისპოს კითხვები და შესაბამისად ინტერესი:

რატომ ეწოდება შუმერულ ედენას ებრაულად ედემი (სამოთხე) და სად მდებარეობს ეს ადგილი დედამიწაზე?

რა არის და სად არის „ეფუთი“?

რატომ განისვენა წმინდა ნინომ ბუდეში (ბოდბეში)?

რატომ არის მთელ ისტორიულ კოლხეთში მრავალძალის წმინდა გიორგი უპირველესი მადლიძლიერების?

რატომ ერქვათ იბერებს ხალდეველები და კოლხებს — ფუტიელები?

რატომ არ იხსენიებიან ბიბლიაში არც კოლხები და არც იბერები?

რატომ ეწოდებოდა „ოქროს საწმისის“ კოლხეთის უმთავრეს „უზენაეს საყდარს“ — „ბარა“ და სად მდებარეობს იგი?

რატომ იხსენიებიან ბიბლიაში სისტემატურად ხალდეველი და ფუტიელი?

რატომ არის რაჭა თეოისტორიული თვალსაზრისით აბსოლუტურად თეთრ ლაქად ქცეული?

რატომ უწოდებდნენ ძველი ბერძნები რაჭას „ამარანტებს“ — ამონ-რა-ატონ! ძველი ეგვიპტელები კი „ფუნტის“ ანუ „ღმერთების ქვეყნად“ მოიხსენიებდნენ; შუამდინარელები „ედენას ტევრად“ და „ცოცხალი კაცის ქვეყნად“?

კითხვები უთვალავია და ნაცვლად იმისა, რომ პასუხებს ვეძებდეთ, ისეა საქმე „გამოწყობილი“, რომ საკუთარი მიწა-წყლიდან სხვაგან, ყველგან, გარდა საქართველოსი, სახეტიალოდ გვერეკება თითქოს ვიღაც და ამავდროულად, ტვინსაც გვიგლესს...

(ანდრია პირველწოდებულმა, რა თქმა უნდა, ლაზეთიდან (არა — აჭარიდან, ისტორიის კიდევ ერთი დამახინჯება) შემოდგა ფეხი. გასათვალისწინებელია პირველ ქრისტიან განმანათლებელთა მეთოდი — ისინი ცდილობდნენ უპირველესად ელვაწათ იქ, სადაც იყო მოსაქცევი ქვეყნის უზენაესი საყდარი, ანუ „ბარა“, ამიტომ არის მოხსენიებული წყაროებში მის მიერ განათლულ მხარეთა შორის ფუსტელებიც, ანუ დასავლეთ საქართველოს დიდი კავკასიონის მცხოვრებნიც.

ასტრალურ ღვთაებათა კანონიკით, კოლხეთის ქვეყნის „უზენაესი საყდარი“ ანუ ბარა“, მდებარეობდა ხიხამთის მასივზე, მრავალძალის ზონაში. ცხადია, ამ პირველი განმანათლებლის ისტორიული ნაკვალევი დღემდე აშკარად იკვეთება მრავალძალი-ბარი-ფუტიეთის საღვთო ისტორიულ ზონაში)

ფუტიეთის პირველი ხსენება ასურეთის მეფის ტიგლათფილესერის წარწერაში გვხვდება, ხოლო ამაზე გაცილებით ადრე, პროტოქართველთა წინარე სახელი ფუტი გვხვდება ძველ ეგვიპტურ და ძველი აღთქმის ძეგლებში. მოგვიანებით, ბერძნული წყაროები იხსენიებენ კოლხეთის კავკასიონის მთიანეთში (რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი) მობინადრე ფუ(ს)ტელებსაც. ბიბლიის ძველი აღთქმა განსაკუთრებით ხშირად იხსენიებს ბიბლიური ნოეს უკანასკნელი შვილიშვილის შთამომავლებს — ფუტიელებს.



კასტელის მიერ დახატული ქართველი მეომარი

ბერძნული ფასიანეს იდენტური კოლხური ფუტი დღემდე შემოინახა მეგრულმა, სვანურმა და რაჭულმა მეტყველებამ — ფუტი — ეფუტი — ფუტიეთი...

ფუტიეთი (ფუტი) უძველესი, მზის თაყვანისმცემელ პროტოქართველთა ეთნოტოპონიმია, ფუ(ს)ტი კი სამხედრო-სარწმუნოებრივი ორდენის დასახელება. სოფელ ფუტიეთის ფუნქცია იყო კოლხთა გრაალის, იგივე ეფუთის, ანუ ბერძენთა მიერ „ოქროს საწმისად“ მონათლული მისტიური ცოდნის წიგნის შენახვა და გარეშეთა ხელყოფისაგან დაცვა. სოფელ ფუტიეთის სახით იმ დროს კოლხეთის მთავარ საკულტო ტაძარს მცველი გარნიზონი ჰყავდა. ღამე სამხედრო დაცვა „ტალები“ ანუ ტავრები რჩებოდნენ. (სულხან-საბას განმარტებით „ტალა არს, რომელ მოგზაურსა ღამე უდარაჯებს“)

ფუსტელთა საიდუმლო ორდენის ფუნქცია არ გამოჰპარვია იტალიელ მისიონერს დონ ქრისტეფორო დე კასტელს (აღმოსავლეთმცოდნე, თეატინელთა ორდენის წევრი, პატრი. საქართველოში ჩამოვიდა პატრ ანტონიო ჯარდინასა და ბერ კლაუდიოსთან ერთად) როდესაც კოლხ მთიელთა მხარეს აღწერდა. მათ შორის ნიშანდობლივია, რომ ამ ორდენის წევრებს ის „იანის“ სახელით მოიხსენიებს. ეს კი ის „იანია“, რომელიც სამხედრო-სარწმუნოებრივი ორდენის კუთვნილების დამახასიათებელი ტიტული იყო და გვარების დაბოლოების სახით კოლხეთის დიდი კავკასიონის მთიანეთის მკვიდრმა მოსახლეობამ დღემდე მოიტანა.

სხვათაშორის, ფუ(ს)ტელთა თეოგეოგრაფიული მხარე, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც ინარჩუნებდა ძველ ფუნქციას და გარეშე მტრების შემოსევების დროს საეკლესიო-სამონასტრო ქონების დაცვა-გადარჩენაზე ზრუნავდა მთაში გახიზვნით. 1819-1820 წლებში საეკლესიო აჯანყების დროს ფუ(ს)ტის რაინდთა გმირული თავგანწირვით სვანეთში გაიხიზნა 280 ჯორკიდებული საეკლესიო განძი. 1820 წლის 30 მაისს სოფელ ზემო საზანოში განძის გადატანას შეეწირა 700 ფუსტი რაინდი, ხოლო 1820 წლის 3 ივნისს სოფელ ფუტიეთში — 2000 ფუსტი რაინდი.

სკანდეს ციხიდან მიემართება უძველესი სამხედრო-საქარავნო გზა სვანეთისა და რაჭის მთიანეთში. სწორედ სკანდეა კარიბჭე ფუსტელთა საევაკუაციო გზისა. ციხეზე გადიოდა სამეფო შარა, რომელსაც „თამარის შარასაც“ უწოდებენ. იგი იწყება ზემო იმერეთში სოფელ საზანოს გავლით, გაივლიდა საჩხერეს და მთავრდება სვანეთში. საზანო ისტორიულ წყაროებში XVIII საუკუნიდან ჩნდება როგორც საეკლესიო სოფელი, რომელიც გელათის მონასტერს ეკუთვნოდა. სვანეთში დღემდეა ქრისტიანული კანონიკით აგებული და უძველესი ქრისტიანული ხატებით, ჯვრებითა და ფრესკებით შემკული ფუ(ს)ტის ტაძრები, ტერმინი „ფუსტი“ კი „უფლის“ სინონიმად მოიაზრება...



სოფელი ხალდე

(გაგრძელება იქნება)



# კროსვორდი



შვეულად: 1. სპეციალური აგრეგატი, რომელშიც ტარდება ტემპერატურის რეჟიმი, გამოყენებული მიკრობიოლოგიური პროდუქტების დასამზადებლად. 2. [illegible], რომელშიც [illegible] ტემპერატურა [illegible]. 3. [illegible] მომღერალი [illegible]. 4. გოგოლის „მკვდარი სულების" პერსონაჟი. 5. ფრანგი მხატვარი, რომლის სურათებიც ყველაზე ძვირად იყიდება. 6. [illegible], სადაც [illegible] ოლიმპიური კომიტეტი [illegible]. 7. არაბული სარეცხი [illegible]. 11. ქართველი მწერალი, „ქალი სარკეში" და „[illegible]" ავტორი. 13. რუსეთის [illegible] მდ. [illegible]. 14. [illegible], რომელიც [illegible]. 16. [illegible], რომელიც [illegible]. 17. ძვ. წელ. ქართველი ტომები. 22. ირანის შაჰის ტახტიდან ჩამოგდების თარიღი ... 23. [illegible]. 24. [illegible], რომელიც [illegible]. 26. [illegible]. 27. [illegible], [illegible] ქარხანა. 29. ბრაზილიის სახელმწიფო ქალაქი. 30. „ვეფხისტყაოსნის" გმირი.

თარაზულად: 5. რაიმე [illegible] ან [illegible] ნაწარმოებისა და [illegible] ნაწყვეტი. 8. [illegible], რომელიც [illegible]. 9. მაღაზის, [illegible] ნაწყვეტი [illegible]. 10. [illegible]. 12. [illegible] ქალაქი. 15. [illegible], რომლებიც [illegible] სახლებზე [illegible] და [illegible]. 16. [illegible]. 18. [illegible]. 19. [illegible]. 20. [illegible]. 21. „[illegible] წრის" [illegible] ... 25. [illegible]. 28. [illegible] „[illegible]" [illegible] ... 31. [illegible] „[illegible]". 32. [illegible]. 33. მდ. [illegible] და სამხ. [illegible]. 34. [illegible]. 35. [illegible]. 36. [illegible]...

# ლაბირინთი

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მ | მ | ზ | მ | თ | ა | ნ | ი | ი | ო | ბ | ი | მ | ი |
| მ | ლ | ა | ლ | ფ | ი | მ | ს | ტ | რ | ა | დ | რ | შ |
| რ | ა | ბ | ი | მ | ქ | ნ | ა | შ | თ | ი | ა | მ | ა |
| ქ | დ | ა | ი | დ | ს | შ | ო | თ | ა | შ | ა | ი | ტ |
| უ | რ | ი | ფ | მ | ი | ნ | ი | ფ | ო | მ | ი | რ | ი |
| შ | ლ | მ | ი | უ | ნ | დ | ო | ნ | ნ | ა | ს | ა | ა |
| ფ | მ | ს | ტ | ი | კ | ი | უ | ი | ი | ფ | ი | ი | ბ |
| ა | ხ | ა | რ | ქ | უ | ტ | დ | ფ | ი | ა | მ | ნ | რ |
| რ | მ | ა | ს | ო | ქ | ი | ო | ა | ბ | რ | ფ | ო | ა |
| ა | ს | თ | ო | ვ | ი | რ | მ | ვ | რ | ი | მ | ზ | ი |
| პ | ა | ი | ფ | ა | რ | მ | მ | ა | ი | ბ | მ | ა | ა |

1. საკმევლის ჭურჭელი. 2. ბრაზილიელი ფეხბურთელი. 3. ფირნიში. 4. შამპანურის ბოთლის საცობის დამჭერი მოწყობილობა. 5. წარსულში ჯგუფ „ქუინის" ვოკალისტი. 6. გალერეა სანქტ-პეტერბურგში. 7. ქალაქი უკრაინაში. 8. იაპონური ჭიდაობა. 9. პერსონაჟი „ვეფხისტყაოსნიდან". 10. [illegible] სამღვდელო. 11. ქალაქი შვეიცარიაში. 12. ანბანში „თ"-ს სახელი. 13. დაბალი ფართო დივანი. 14. [illegible] ცხოველი. 15. საქონლის [illegible] ფაშა. 16. ღვეზელი. 17. ცხენების ჯოგი. 18. ამაღლებული სცენა მსახიობებისა და მუსიკოსებისათვის. 19. [illegible]. 20. ეკრანის ნაწილი. 21. კვალი, ნარჩენი. 22. კაბის გრძელი, უკანა კალთა. 23. გამა. 24. მსოფლიოს უდიდესი [illegible]. 25. [illegible]. 26. დიდი მუსიკალური ნაწარმოები ორკესტრისათვის. 27. — [illegible]. 28. [illegible] - [illegible] ენა.

# შიფრვორდი



| | |
|---|---|
| ა-15 | ს-10 |
| ბ- | ტ- |
| გ- | უ-2 |
| დ- | ფ- |
| ე- | ქ- |
| ვ- | ღ- |
| ზ- | ყ- |
| თ- | შ- |
| ი-8 | ჩ- |
| კ- | ც- |
| ლ-6 | ძ- |
| მ-19 | წ- |
| ნ-13 | ჭ- |
| ო- | ხ- |
| პ- | ჯ- |
| ჟ- | ჰ- |
| რ- | |

# ქუთაისში საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობა იწყება



ქუთაისი საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციას იბრუნებს – საქართველოს შუაგულში, კავკასიის რეგიონში უდიდესი, თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და უახლესი ლაბორატორიებით აღჭურვილი საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობა იწყება. ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქისა და თბილისში განლაგებული ტექნოლოგიური ცენტრის საერთო ბიუჯეტი, ამ ეტაპზე, 1 მილიარდ ევროს შეადგენს და მას სრულად აფინანსებს ფონდი „ქართუ“.

ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის პროექტის პრეზენტაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაესწრო. გიორგი კვირიკაშვილმა სიტყვით მიმართა





ღონისძიების მონაწილეებს და პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა: „აქ, ქუთაისში, ფუძნდება უდიდესი და ყველაზე თანამედროვე საგანმანათლებლო ცენტრი, აშენდება საუნივერსიტეტო ქალაქი, რომელიც უპრეცედენტო საგანმანათლებლო ცენტრი იქნება მთელ ჩვენს რეგიონში. ქუთაისის არჩევა ახალი საუნივერსიტეტო ქალაქის ადგილად არ არის შემთხვევითი. ქუთაისია ის ქალაქი, სადაც საუკუნეების წინ არსებობდა გელათის აკადემია, რომელმაც იმ ეპოქაში თავის თავზე იტვირთა უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქცია,“ – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერის განმარტებით, ქუთაისისთვის ისტორიული საგანმანათლებლო კერის ფუნქციის დაბრუნების იდეა ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის, რომელმაც საზოგადოებას მოსაზრება პირველად 2011 წელს გაუზიარა, როდესაც თავისი „პირველი წერილი“ გამოაქვეყნა, თუმცა თავად იდეა ბევრად უფრო ადრე გაჩნდა.

გიორგი კვირიკაშვილის ინფორმაციით, 60 000 სტუდენტზე გათვლილი საუნივერსიტეტო ქალაქი 140 ჰექტარზე გაშენდება, შენობების საერთო ფართი კი 1 მილიონი კვადრატული მეტრი იქნება. მისივე თქმით, მშენებლობის დროს გამოყენებული იქნება მაღალი ეკოლოგიური სტანდარტები, განახლებადი ენერგიების სისტემები, „მწვანე ტექნოლოგიები“ და ყველაფერი გაკეთდება საიმისოდ, რომ მშენებლობის ადგილზე არსებული ბუნება სრულად იქნას შენარჩუნებული.

სიტყვით გამოსვლისას პრემიერმა ყურადღება გაამახვილა საუნივერსიტეტო სწავლებაზე და ხაზი გაუსვა, რომ უნივერსიტეტის მთავარი პროფილი ტექნოლოგიური და ტექნიკური მეცნიერებები იქნება. მან იმედი გამოთქვა, რომ უახლესი ინფრასტრუქტურა, უმაღლესი კვალიფიკაციის ქართველი და უცხოელი პროფესორ-მასწავლებლები, თანამედროვე სასწავლო და კვლევითი პროგრამები, მსოფლიოს წამყვან უნივერისტეტებთან ერთობლივი სასწავლო პროგრამები და ერთობლივი კვლევები უნიკალურ შესაძლებლობებს მისცემს როგორც ქართველ, ისე უცხოელ სტუდენტებს.

გიორგი კვირიკაშვილი მიიჩნევს, რომ საუნივერსიტეტო ქალაქის დაარსება სრულ თანხვედრაშია ქვეყნის განვითარების სახელმწიფო ხედვასთან. მისი განმარტებით, დღეს მთავრობა უკვე მუშაობს იმისათვის, რომ განათლების სისტემა გახდეს თანამედროვეობას მორგებული, ეკონომიკის საჭიროებებზე ორიენტირებული, სრულად იქნას გამოყენებული ადამიანური რესურსები ქვეყნის სწრაფი განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობისთვის.

„მოგეხსნებათ, რომ მსოფლიოში დღეს უკვე ტენდენციად იქცა საუნივერსიტეტო ქალაქებში ბიზნესინკუბატორების, ინოვაციური პარკების, სტარტაპკომპანიების ჩამოყალიბება და განვითარება. ბევრი გამოგონება და წარმატებული ბიზნესი სწორედ უნივერსიტეტების წიაღში იბადება და ვითარდება. იცით, რომ ჩვენ უკვე დავიწყეთ სტარტაპების პროექტების სახელმწიფო დაფინანსება, ქართველი მეწარმეებისა და ახალგაზრდა ინოვატორების ხელშეწყობა და, დარწმუნებული ვარ, რომ ამ უნივერისტეტშიც ბევრი საინტერესო პროექტი დაიბადება,“ – აღნიშნა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქი და თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი – ეს ორი უდიდესი პროექტი ერთად, სერიოზულ ბიძგს მისცემს ქვეყანაში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარებას. მან კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა იდეის ავტორს, ფონდ „ქართუს“დამფუძნებელს, ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქს, ისევე როგორც თბილისში მდებარე ტექნოლოგიურ ინსტიტუტს, საჩუქრად გადასცემს სახელმწიფოს.



„ორივე ამ გრანდიოზული პროექტის ღირებულება ერთი მილიარდი ევრო გახლავთ და მას მთლიანად აფინანსებს ფონდი „ქართუ“. მთელ ციკლს, საუნივერსიტეტო ქალაქის დაპროექტებიდან და მშენებლობიდან დაწყებული, მისი აღჭურვითა და ფუნქციონირებით დამთავრებული, უზრუნველყოფს ფონდი „ქართუ“. და ეს მხარდაჭერა გაგრძელდება, სანამ უნივერსიტეტს და სახელმწიფოს არ ექნება საკმარისი რესურსი იმისათვის, რომ საკუთარი ძალებით შეინახონ საუნივერსიტეტო კომპლექსი. მინდა კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა გადავუხადო ბატონ ბიძინა ივანიშვილს ამ ისტორიული პროექტებისთვის, რომელიც ნამდვილად ექნება უდიდესი მომავალი და მთლიანად შეცვლის განათლების სისტემას. ეს არის მისი მხრიდან ძალიან დიდი საჩუქარი ქართველი ხალხისთვის, ჩვენი მომავალი თაობებისთვის ჩადებული ინვესტიცია, რომელიც ათმაგად, ასმაგად დაგვიბრუნდება ყველას, მთელ საქართველოს!“ – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის პროექტის პრეზენტაციას ფონდ „ქართუს“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, საქართველოს მთავრობის წევრები, საერთაშორისო და სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სტუდენტები და მეცნიერები დაესწრნენ.

საქართველოს საუნივერსიტეტო ქალაქი მოიცავს: მთავარ კამპუსს, რომელშიც გაერთიანდება სასწავლო სივრცეები, მრავალდარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, სტუდენტების და მოწვეული პროფესორ-მასწავლებლების საცხოვრებელი სივრცეები, ასევე სპორტულ ინფრასტრუქტურას, გასართობ და სარეკრეაციო ზონას.

60 000 სტუდენტზე გათვლილი საუნივერსიტეტო ქალაქი გაშენდება 140 ჰექტარ ფართობზე, შენობების საერთო ფართი იქნება 1 მილიონი კვადრატული მეტრი.

ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქი უზრუნველყოფს ქვეყანას ყველა იმ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რომლებიც ესაჭიროება საქართველოს ეკონომიკას სწრაფი განვითარებისთვის.

ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის ნაწილი იქნება თბილისში განლაგებული საქართველოს ტექნოლოგიური ინსტიტუტი და ადრონული თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, მისი უნიკალური კვლევითი ინფრასტრუქტურით.

ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის, თბილისში განლაგებული ტექნოლოგიური ინსტიტუტის და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაპროექტებას, მშენებლობას, აღჭურვას და ფუნქციონირების დაფინანსებას უზრუნველყოფს ფონდი „ქართუ“. ორივე მეგაკომპლექსი დარჩება სახელმწიფოს საკუთრებაში და როგორც ტექნოლოგიური ინსტიტუტი თბილისში, ისე ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქი იქნება სახელმწიფო დაწესებულება.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com